
619
1998/2









# დროშა

№ 3 - 4 1998

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვაჟა-ფშაველა**

## ქართული კლასიკური პოეზიის მცირე ანთოლოგია

### გაზაფხული

კიდევ ველირსე გაზაფხულს,
ციდამ მანანის დენასა;
ბუნების გამოღვიძებას,
ფრინველთ საამო სტვენასა, —
გუშინ მეგონა, დავმუნჯდი,
დღეს ისევ ვიდგამ ენასა.
ყურს ვიღა უგდებს ამ დროსა
პირად ჭირს, კერძო წყენასა?!
მშორდება, თუ რამ ჭკვაზედა
ან გულზე ჟანგი მდებოდა...
გული აძგერდა სხვარიგად:
ვნახე, ზამთარი კვდებოდა.
მტარვალად გამომცქირალი
მთებზე ყინული დნებოდა;
და ჰა, სულ-გულის სიცოცხლე
სამარიდამა დგებოდა!
აყეფებულან ხევები,
ცეცხლს აკვესებენ პირითა;
ვის მუქარაზე მიდიან,
ვის აკვესებენ ჭირითა?
იქნება მაყრები იყვნენ,
მეფე მიჰყავნდეთ ლხინითა?
კართანას უცდის არაგვი
ვეფხვი ალმასის კბილითა;
„მოვიდეს, ვინაც ვაჟია!“
ადრტვინებული ჟინითა.
უროს სცემს სალსა კლდეებსა,
გაუმაძღრებსა ძილითა.
ამდგარა ამირანიცა,
კლდეში დაბმული ჯაჭვითა.
დაუბღუჯია ხმლის ვადა
მოუღალავის მაჯითა,
კვლავ სთელავს დედამიწასა
თვალ-გაუწვდენის ლაჯითა:
სისხლს იძევს, ვინაც ტყვეობის
გმირი აწამა ბაჟითა.
საცა გავხედნებ, ყველგანა
ზღვა მოვარდნილა მწვანისა,
გულისა გამგულებელი,
დამათრობელი თვალისა.
დღეს სამოთხეში ვნეტარობ,
დარდი არა მაქვს ხვალისა.
იამაც მომცა სალამი,
დამ კვლავ ძმა იცნო თავისა.
გვერდს უდგა დიაკონაი,
როგორ ამაყად ჰყვავისა!..
მონა ვარ, მონა ბუნების,
ღონე არა მაქვს დავისა!

№ 3-4 1998 (697)
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# დროშა

შინაარსი:

ჯანსუღ ჩარკვიანი. ლექსები.
ნუნუ კუპრეიშვილი. მინისტრი 27 წლისაა.
ლამარა ბაბუა. იმედის სხივი.
გრიგოლ ლორთქიფანიძე. მოუშუშებელი იარა.
ჯუმბერ ჯიშკარიანი. სამშობლოს სიყვარულმა ჩამომიყვანა
გურამ ბედოშვილი. ხიზანი (მოთხრობა).
თამაზ ნატროშვილი. სტალინმა დაარქვა ორლოვი.
ეთერ ჯაფარიძე. სიმღერა — სიცოცხლის თანამგზავრი.
თეა კანდელაკი — ლექსები (ჭაშნიკი).
გოჩა დანელია. ქალი — სიყვარული, ქალი — სტიმული...
შოთა ნოზაძე. ტერორი ჩაიშალა.
გიორგი შატბერაშვილი. კონსტანტინეს სტუმრობა.
ბაბილონის დაკიდული ბაღები
დავით ყანდაშვილი. გეყოფა, ჰამლეტ, გამყოლი ტირის.
გურამ შენგელია. სულიერი მამები თავს დებდნენ.
ლუჩანა მოდენეზი. პინგ-პონგის ბურთი (უცხოური ნოველა)
ამბები, ამბები, ამბები...
კროსვორდი.

## სარედაქციო კოლეგია

ჯანსუღ ჩარკვიანი – თავმჯდომარე, გულნარა ბახტაძე – პასუხისმგებელი რედაქტორი, ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.

# წიგნიდან

## ჯანსუღ ჩარკვიანი

### „მოთმინებითა შენითა“

შენი ლამაზი საუფლო,
შენი მდინარე, შენი მთა,
წაგართვეს, მაგრამ რა ვუყოთ, —
„მოთმინებითა შენითა“.

ხიზანმა უნდა იხიზნოს,
ცრემლმა უნდა თქვას ცრემლითა,
შენ კიდე უნდა იფხიზლო —
„მოთმინებითა შენითა“.

ხარ შეპყრობილი, სნეული,
უსჯულოების სენითა,
მაგრამ მაგრდება სხეული,
„მოთმინებითა შენითა“.

იმ საუკუნო სატანჯველს,
ეშმაკი ეშმაკს შეირთავს,
შენ განერიდე ალქაჯებს,
„მოთმინებითა შენითა“.

სიცოცხლე სამზადისია,
სული იმ სოფელს შენივთდა,
გზად ვარდისფერი ნისლია —
„მოთმინებითა შენითა“.

უზენაესთან საუბრობს
ქართველი, ღმერთის ენითა,
შენ მოიპოვებ საუფლოს —
„მოთმინებითა შენითა“.

### მამას

ცხრაასრვა წლიდან დრო გვიდგას ათვლის,
რაც დღემდე ბეწვის ხიდად გაიდო,
დღეს გახდებოდი ოთხმოცდაათის,
გამორჩეული კაცო — რაინდო.

ხან მზეში ვიდექ, ხან ქარი ქროდა,
ვიყავ რისხვა თუ ვიყავ მაშვრალი,
მე შენი რიდი და შიში მქონდა,
მე შენს წინაშე სულ დამნაშავეს.

ამობრწყინებულ ვარსკვლავში გხედავ
გვერდი ძველებურ დაიმქუხარე,
შენს გვერდით ვუმზერ ჩემს ძვირფას დედას,
ნათელმოსილს და დიდად მწუხარეს.
შემომეპარა შიში ბებრული,
ჩამავალი მზის ვუმზერ ტატნობებს,
დამტოვე ასე ცეცხლმოდებული,
მხეცთა საჯიჯგნად როგორ დამტოვე.

ვდგევარ სიმართლის ხანჯლად და ფარად
და ვუძლებ დროის ამხნის წამებას,
რაც დამიტოვეთ, თანა მდევს მარად, —
სიმდაბლე, ცრემლი და მღვიძარება.

### გაწბილებული

გულმდუღარების
ცრემლითა ხარ
გაწბილებული,
შეშვენის განა
ჭირთათმენა
ყმაწვილს ბებრული?

ისე ბებერსაც
არ შეშვენის
ხმა ყმაწვილური,
ორთავე დროში,
უფლისაგან
ხარ განწირული.

მშობელ მიწაში
მძლე ხესავით
ვერდანერგულო,
გაიგე-მეთქი,
ორგულთან და
მტერთან ერთგულობ.

გაიგე, კაცო,
ამ ქვეყანას
კაცად სჭირდები,
ბრძანა რუსთველმა:
მოჰკვდები და
გაცაწბილდები.

### რა ლამაზი ხარ

რა ლამაზი ხარ (ღმერთმა დალახვროს),
ვუმზერ და ვტირი ამ საბალახოს,
ჩუმად, სიჩუმეს ხელი არ ახლოთ,
საით, ღრუბელო, მზის საბალახო...
ვაი, სიცოცხლევ, როგორ გალაღდი,
როგორ გალაღდი, როგორ ამაღლდი,
ამაღლებული მოსჩანს სამარხი,
რას იზამ ახლა, სეტყვას დამახლი
თუ ციდან ოქროს ჩანჩქერს დამაღვრი?
შეხედე, მუხა ტოტებს არა ხრის,
ტუჩებში კოცნის სიოს ბალახი,
ნეტა, სიკვდილი ღირს თუ არა ღირს?

### დამკვიდრება

თემურ კენჭაძეს

ახლა წარმართთა,
დროა, რას იზამ,
ბნელმა ნათელი
ლამის გასრისა.

ბნელში გატრუნულ
ტაძარს შესცივდა,
ქრისტე ხმას გვაწვდენს
ნაზარეთიდან.

უფლის სახელი
არს ნათლის მჩენი,
მიირთვით პური —
ხორცია ჩემი.

უფლის სახელი
არს ნათლის მჩენი,
მიირთვით ღვინო —
სისხლია ჩემი.

ღამე დღისაგან
სანამ გაგვყრიდეს,
კაცი კაცობით
უნდა დამკვიდრდეს.

### სოფელი ბარი

თენგიზ არჩვაძეს

ღვინოს ვსვამთ, არა ყავასა,
ვილხენთ, სიცოცხლით — ერცახით,
ქვე მიხარია, ყანასა,
ბარში ქვეყანას ეძახით.

ჩვენო აწმყოვ და წარსულო,
მღერს შენი მარნის ბარაქა,
ამ სიმაღლეზე ასულო,
ქვე ბარი ვიღამ დაგარქვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შე მშვენიერო, შე ღვთისავ,
შენს ზეით კიდე შქმერია,
ბარო, სახელი შენთვისა,
შქმერელებს დაურქმევიათ.

გიმღერი ხელებგაშლითა,
ჩემს სულს შენი მზე სულ ახლავს,
მთაში ბარსა და ბარში მთას,
მხოლოდ რაჭაში თუ ნახავ.

## ჩემი ზესტაფონი ხარ

ჩემო ივერიისავ,
ჩემო ერთგულებისავ,
ვარდისავ და იისავ,
ყმაწვილის და ბებრისავ,

შენი ცრემლის წვიმა ვარ,
ცრემლმა ფერი იცვალა,
შენ ნუ მკითხავ, ვინა ვარ,
თავად გეტყვი, ვინცა ვარ.

ჩემო სადილ-სამხარო,
შენი გულის სენი ვარ,
რატომ ჩემი არ ხარო —
კი ბატონო, შენი ვარ.

შენი დასალოცი ვარ,
შენი დასაწყევლი ვარ,
შენი ლოცვის ბორცვი ვარ,
შენი ყანის მწყერი ვარ.

შორეული გგონივარ,
რადგან შორშორ დავდივარ,
შენი ზესთას ფონი ვარ,
შენი ცოდვა-მადლი ვარ.

შენი დედასპური ვარ,
შენი წყაროს წყალი ვარ,
შენი სიყვარული ვარ,
შენი მომღერალი ვარ.

ქვეყნის მზეთა ტოლი ხარ,
შორეული გგონივარ,
ჩემი ზესტაფონი ხარ,
შენი ზესთას ფონი ვარ.

## ადამ და ევა

(ცისფერული)

კაცმა რომ თქვას,
სუყველაფერს
უნდა თავის ნიჭი,
როცა ბიჭი
ბიჭზე აფრენს,
გოგო ხდება ბიჭი.
და ისეა
სამწუხაროდ,
უნდა იყოს როგორც,
როცა გოგო
გოგოს ყვარობს,
ბიჭი ხდება გოგო.

ადრე ევას
ევა ერქვა,
ადამს ჰქონდა ძლევა,
რა ვქნათ,
როცა ღმერთმა შექმნა
ადამი და ევა?

## „ჩასწვდით სულს ამერიკულს"...

— გსურს თუ ძაან არა გსურსო —
„ჩასწვდით ამერიკულ სულსო",
—ნეტა, რას შეირგებ შაქრად,
შენი ქართული თუ გაქრა?
სხვა გზა არასოდეს არ გცნობს,
ისევ შენსას ჩასწვდი, კაცო...
გახსოვს, გუშინდელი რისხვა? —
ისიც სულმა გვიყო სხვისამ.

## „პატრიოტი"

ზის ამბიციით, და სადაც ზის,
ბატის ცოდნით ზის,
აქვს ვაშინგტონში
ლექციები პატრიოტიზმის.
იცის, იქედან დაბრუნებულს
ელის პატივი
და ენატრება საქართველო
ემიგრანტივით.

## „ეზოში ავი ძაღლია"

მიტოკავს ნერვი სამწვერა,
ვაი, გონება დაგვღლია,
ვუმზერ ინგლისურ წარწერას, —
„ეზოში ავი ძაღლია".

ვახმე, ქაჯობამ გვაჯობა.
შუბლზეც ეშმაკის დაღია,
კაცს არ მოუვა ქაჯობა,
როცა გონება საღია.

## ისტორია

ხან მეფეს ვლანძღავთ,
ხან კიდე „ცეკას"
და ჩვენი გზებიც
ერთურთს კვეთავენ,
ამერიკულად
ვმღერით და ვცეკვავთ,
ქართულად დედას
ვუკლავთ ერთმანეთს!

## მინაწერი საფლავის ქვაზე

აი, მივედი, მზე ჩავიდა,
მორჩა გზაწვრილი,
აწი შენია, მეცხრე ცაც და
ფრთაგაშლილობაც,
მე ვიყო ყვავი,
ოღონდაც შენ გახდი არწივი —
ბახალასავით მომიგონე,
მამაშვილობას.

1996 წ. 18 დეკემბერი

## ღირსება

ჩამხობილ მიწას
დამხობია ზეცის თავანი,
მე რა ვიცოდი,
ჭირთათმენა იყო მთავარი?
დღეს ჭრილობიდან
რომელ სისხლსაც
დაღვრის სხეული,
სწორედ იგია —
ღმერთო ჩემო,
არღირსეული.

1997-1998 წლები



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მინისტრი 27 წლისა

რამდენიმე წლის წინათ ვინმეს რომ ეთქვა, მალე 26 წლის მინისტრი გეყოლებათო, ილუზიად მოვნათლავდით. დღეს კი აღარ გვიკვირს ხელმძღვანელ პოსტებსა თუ ტრიბუნის სათავეებთან მდგარი ღირსეული ახალგაზრდა თაობა. თუმცა სკეპტიკოსებიც მრავლად არიან, რომლებიც ვერა და ვერ შეგუებიან „გამოუცდელთა“ „აღზევებას“. მავანთა გასაგონად ვიტყვით, ვინ იცის, კომუნისტების დროინდელი „გაცვეთილი “ ლოზუნგი „ახალგაზრდობა — იმედი ხვალის“, იქნებ ყველაზე უკეთ ჩვენს დროს მოერგოს.

მიხეილ ჭკუასელს — დღეს უკვე 27 წლის ფინანსთა მინისტრს, ვფიქრობთ, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. თავისი ასაკით იგი პირველი „რეკორდსმენი“ მინისტრია არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის მასშტაბითაც. არც ის იყო, ალბათ, შემთხვევითი, გასული წლის საუკეთესო მინისტრად რომ დაასახელეს; ჩვენი პარლამენტის არსებობის ისტორიაში ხომ მისი მინისტრობის საწყის ეტაპზე მიმდინარე წლის ბიუჯეტი გასული წლის დეკემბერში იქნა მიღებული.

დანარჩენზე კი მისი პასუხებიდან შევიტყობთ.

**—ბატონო მიხეილ, რას გვეტყვით თქვენს შესახებ, უფრო კონკრეტულად კი, რა დაედო საფუძვლად თქვენს საზოგადოებრივ წინსვლას?**

— დავიბადე თბილისში 1970 წლის 10 სექტემბერს. ვსწავლობდი მე-14 საშუალო სკოლაში. რაოდენ გასაოცრადაც არ ჟღერდეს, ეკონომისტობა მე-5 კლასში გადავწყვიტე. ჩემს წინადადებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. სკოლა მედალზე დავამთავრე და იმავე წელს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობით. საღამო განყოფილებაზე ჩავირიცხე და მუშაობა დავიწყე მაუდ-კამვოლის კომბინატში ზეინკლად. შრომის ანაზღაურება გამომუშავებითი მქონდა; მახსოვს ერთხელ ყველაზე დიდი ხელფასი 223 რუსული მანეთი ავიღე. ეს მაშინ საკმაოდ სოლიდური თანხა იყო.

მეორე კურსიდან დღის დასწრებულ განყოფილებაზე გადავედი და ჩემი ზეინკლობა არცთუ ცუდი შედეგით — მეორე თანრიგოსნობით დასრულდა.

საინტერესო კურსი ვიყავით. სულ რამდენიმე თვეში დავინახეთ, რომ სწავლების მეთოდიკა და სისტემა მოძველებული და მიუღებელი იყო. ყოველთვის სიამაყით ვიხსენებ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად ფაკულტეტზე არაერთი სიახლე დავნერგეთ. ჩვენი ინიციატივით შეიქმნა ახალი სპეციალობა — „მაკროეკონომიკა“, მერე კათედრასაც ეს სახელი ეწოდა.

უნივერსიტეტის შემდეგ წარჩინებით დავამთავრე მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. ვმუშაობდი საქართველოს პარლამენტის აპარატში, შემდეგ TBC ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

**— დღევანდელ თქვენს პოსტს წინ საკმაოდ პასუხსაგები სამსახური უძღოდა — გურიის მხარის გუბერნატორობა.**

— ყველაზე საინტერესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში გურიაში გატარებული ორი წელი გახლდათ. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ეს ჩემი ცხოვრების ნამდვილი უნივერსიტეტი იყო.

**— რას გვეტყვით იმ გუნდზე, რომლის წევრიც თქვენ გახდით?**

— ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ნებისმიერი საქმიანობისას, მით უფრო პოლიტიკაში, გუნდის პრინციპია. პირველი კურსიდან მწვანეთა პარტიაში შევედი და აქტიურ პოლიტიკაში ჩავერთე. აქ დამხვდა საერთო იდეით შეკრული გუნდი. დღემდე მომყვება მაშინდელი განცდა. მე ყოველთვის ვგრძნობ მათ მხარდაჭერას, რადგან თვითონაც მისი წევრი ვარ. ჩვენ მთელი შეგნებით ერთად ვართ, ერთ საქმეს ვაკეთებთ და არა იმიტომ, რომ დღეს საქართველოს მოქალაქეთა კავშირი პოლიტიკურ სცენაზე წამყვანი ძალაა, მთელი პასუხისმგებლობით ხმამაღლა ვამბობ, რომ მის ძლიერებას მტკიცედ შეკრული, ერთიანი გუნდი განაპირობებს.

**— დამეთანხმებით, გაკეთებული ზღვაში წვეთია იმ უამრავ პრობლემასთან შედარებით, რაც თქვენს სფეროშია მოსაგვარებელი. ჩამოგვითვალეთ, თუნდაც ნუსხის სახით, რა შეძელით და რის გაკეთებას აპირებთ?**

— დღეს ქვეყანას საბოლოოდ აღდგენილი ფინანსური წესრიგი სჭირდება, ხოლო ქვეყნის ბიუჯეტის დაბალანსების უზრუნველყოფაში წლიდან წლამდე იზრდება საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი და ეს ტენდენცია შენარჩუნებული იქნება მომავალშიც. თუ 1995 წელს საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტის შემოსავლების 50-55% შეადგენდა, 1998 წლისათვის საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზებში საგადასახადო შემოსავლებს 71% უკავიათ. ეს

კი ხელს უწყობს ქვეყნის ბიუჯეტის უპირატესად საკუთარი შემოსავლებით დაბალანსების უზრუნველყოფას. წინასწარი პროგნოზით 1998 წლისათვის ბიუჯეტის ხარჯების 84 პროცენტზე მეტი საკუთარი რესურსებით დაიფარება, თუმცა ეს ზღვარი არ არის და სხვა განვითარებული ქვეყნების დარად მომავალში ჩვენს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 87-90 პროცენტს მიაღწევს.

ბოლო დროს საგადასახადო ორგანოების მიერ ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა სამეწარმეო საქმიანობის გარკვეული სფეროები მოიცვა, მაგრამ ჯერ კიდევ არის დარჩენილი დარგები, რომლებშიც საბიუჯეტო შემოსავლების საკმაოდ დიდი ნაწილი იმალება. როდესაც ბიუჯეტის შემოსავლების რეზერვებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ყველა სფერო, ეს იქნება ვაჭრობა, მომსახურება, საწვავი, სპირტი, ალკოჰოლი, სამშენებლო მასალები, ავეჯით ვაჭრობა და სხვა, რაც დღეისათვის მოქმედებს და ბიუჯეტის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. თითოეულ მათგანში ჯერ კიდევ დაბალია აღრიცხვის დონე, ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო ოპერაციებს, ფალსიფიცირებული პროდუქციის დამზადება-რეალიზაციის ფაქტებს; არარეგისტრირებულ, ულიცენზიო სამეწარმეო საქმიანობის შემთხვევებს და ა.შ. ყოველივე ჩამოთვლილი „ჩრდილოვანი" ეკონომიკის მკვებავ წყაროდ გვევლინება, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტი უზარმაზარ თანხებს ზარალობს, ილახება ქვეყნისა და თითოეული ადამიანის ინტერესი.

რეალური სურათი კი მაინც შემოწმებებმა დაგვანახა. ამ ეტაპზე შესწავლილ იქნა ვაჭრობის, მომსახურების, ხორბლის, ფქვილისა და პურპროდუქტების წარმოება-რეალიზაციის სფეროები...

არ ყოფილა თითქმის არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანში საგადასახადო კანონმდებლობის და შესაბამისად ბიუჯეტის იგნორირებას არ ჰქონოდა ადგილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროებიდან ხაზინაში რომ უნდა შედიოდეს, მისი ყველაზე მცირე 70% სულ სხვა დანიშნულებით მიდის და მავანთა ჯიბეებში ილექება. ძნელად აღსაქმელია, თუ რაოდენ დიდ დანაკარგებს განიცდის ბიუჯეტი ერთი შეხედვით ესოდენ ლამაზად და მიმზიდველად გაფორმებული ობიექტების არაკანონიერი საქმიანობის შედეგად. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს საკმაოდ სერიოზულ ფაქტებთან.

შემოწმების შედეგებმა ცხადყო, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად მილიონობით ლარს კარგავდა მხოლოდ იმ ობიექტებიდან, რომლებიც ამჯერად იქნა შემოწმებული, და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უამრავ, ჯერ კიდევ შეუმოწმებელ სფეროსა და საწარმოში ანალოგიური სიტუაციაა შექმნილი, ნათელი გახდება თუ რაოდენ დიდ თანხებს ზარალობს სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად.

ეს კი გარკვეულწილად დაუსჯელობის ატმოსფერომ განაპირობა. ამიტომაც საკმაოდ დროული და ეფექტური აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართვა და მათი დახმარება ფინანსური დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ღრმად ვარ დარწმუნებული, როგორც ჩვენს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ყოველი საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი და დამნაშავენი თავისას მიიღებენ.

რაც გაკეთდა, ეს მხოლოდ დასაწყისია, ჩვენ გავაგრძელებთ და ბოლომდე მივიყვანთ ამ მეტად რთულ და დაძაბულ პროცესს. ნურავინ იფიქრებს, რაიმე ზემოქმედებამ, ანდა წინააღმდეგობამ ხელი აგვაღებინოს ქვეყნის ძლიერებისათვის, ფინანსური წესრიგისა და ბიუჯეტისათვის ამ უთუოდ აუცილებელი ამოცანების განხორციელებაზე.

**— რას გვეტყვით მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა შესახებ?**

— სოციალური დაცვის ღონისძიებებში ერთ-ერთი მთავარი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაა. მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, გამოიძებნა სათანადო რესურსები და მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების საპენსიო უზრუნველყოფა. იგი თითქმის სამჯერ გაიზარდა და მისი თვიური ოდენობა განისაზღვრა 35-45 ლარის ოდენობით. ასევე გაგრძელდება სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვილ სამხედრო მომსახურეთა გადიდებული პენსიების დაფინანსება, რომელთა საშუალო ოდენობა თვეში 70-80 ლარია.

რაც შეეხება იმ პენსიებს, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდიდან გაიცემა, მათი ოდენობა წლის განმავლობაში 20% გაიზრდება და 15-16 ლარს მიაღწევს.

ასევე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელება.

იმ ლტოლვილთა შემწეობა, რომლებიც არაორგანიზებულად არიან ჩასახლებული, თვეში 15 ლარს მიაღწევს. ამასთან, ორგანიზებულად ჩასახლებული თითოეული ლტოლვილის კომუნალური მომსახურებისათვის სახელმწიფო იხდის ყოველთვიურად 8,3 ლარს, ქალაქებში ელექტროტრანსპორტით უფასოდ მგზავრობისათვის თითოეულ ლტოლვილზე ექვს ლარს. ლტოლვილთა ერთდროული დახმარებისათვის მიმდინარე წელს დამატებით გათვალისწინებულია 1,5 მილიონი ლარი. ლტოლვილი ოჯახის ბავშვები განთავისუფლებული არიან X დაXI კლასებში სწავლის საფასურისაგან.

1998 წლის ბიუჯეტით ინვალიდთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 8,2 მილიონი ლარი. აგრეთვე საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის ზრდა დაახლოებით 20 პროცენტით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში ინფლაციური პროცესები ნორმალიზებულია, რეალური ხელფასის ზრდა საგრძნობი გახდება.

**— რა არსებით წინაღობებს ხვდებით ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისას?**

— ხდება ხოლმე, რომ გვებრძვიან სხვადასხვა ხერხებითა და სხვადასხვა სიმაღლეებიდან. გვაბრალებენ ბიზნესის ჩახშობას, იმას, რომ დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაუფრთხილებლად შევდივართ ობიექტებზე და ძალით გვინდა გამოვიჭიროთ მეწარმეები. მაგრამ მეორე მხრივ ამ ბრალდებებით, აგრესიული რეაგირებებითა და უარყოფითი შეფასებებით თვითონვე გამოააშკარავეს თავიანთი თავი, თვითონვე გამოაცხადეს, რომ მოქალაქეების ხელფასებს, პენსიებს, ლტოლვილთა და უმუშევართა დახმარებებს და თუ სიმართლე გინდათ, აფხაზეთის და საერთოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საჭირო თანხებს ითვისებენ.

**— ნათქვამია „ჭირმა თავი არ დამალაო"... „ოპონენტებმა" თქვენთვისაც მოიცალეს. რა რეაქცია გაქვთ მათ მიმართ?**

— ვეთანხმები ოპონენტებს, რომლებიც მინისტრის მიზერულ ხელფასზე საუბრობენ და, რატომღაც ავიწყდებათ, რომ სანამ მიხეილ ჭკუასელს ფინანსთა მინისტრად დაამტკიცებდნენ, იყო ფინანსისტი, ბანკირი და ძალიან კარგად იცის, ბიზნესის თეორიაცა და პრაქტიკაც. იცის, როგორ უნდა „აკეთო" (და არა „იშოვო") ფული. რაც შეეხება მოუსყიდველ გუნდს, დღეს ბევრი ფიქრობს, რომ საქართველოში აღარ არიან სუფთა ადამიანები. საბედნიეროდ, ასეთი ხალხი არსებობს, რომელთათვისაც მთავარია იდეა და სახელმწიფოს ინტერესებიდან დანახული საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა. მათ კარგად იციან, რომ თუ მთლიანობაში არ მოგვარდა ყველა პრობლემა, გადასახადების დამალვითა და ქრთამით შეძენილი ყველა ამქვეყნიური სიკეთე ერთ მშვენიერ დღეს თავზე დაემხობათ.

**— ბატონო მიხეილ, რა დროს უთმობთ ოჯახს, ხართ თუ არა ყურადღებიანი შვილი, მეუღლე, მამიკო?**

— ყოველდღიური ეკონომიკური და პოლიტიკური ბატალიების ფონზე ცხოვრების ყველაზე ნათელი და ლამაზი წერტილი ჩემი ოჯახია: მშობლები, მეუღლე და ორი წლის გიორგი, რომლისთვისაც სულ ერთია, სად და რისთვის ვმუშაობ, მისთვის მთავარია, ხშირად ხედავდეს და ეთამაშებოდეს მამას.

სამწუხაროდ, არარეგლამენტირებული სამუშაო დღის გამო, ხშირად მიწევს მათი სამართლიანი საყვედურის მოსმენა.

**— და ბოლოს, დაღლილი და შეჭირვებული ადამიანები იმედის თვალით შემოგცქერიან. რას ეტყვით მათ საიმედოს და გასახარს?**

— ყველამ უნდა გაითავისოს, რომ თითოეული მოქალაქის უპირველესი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, მისი ეკონომიკური ფუნქცია გადასახადების გადახდაა. იმავდროულად, მოქალაქის უფლებაა, ანგარიში მოსთხოვოს სახელმწიფოს, რაზე დაიხარჯა მის მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხა. მოგვარდეს ეს პრობლემა, დამყარდეს ფინანსური დისციპლინა და ამის შემდეგ თამამად შეგვეძლება საუბარი საქართველოსა და მისი მოსახლეობის ბედნიერ მომავალზე.

ესაუბრა **ნუნუ კუპრეიშვილი**

**P.S.** ბატონო მიხეილ, ფენა, რომელსაც კითხვა უყვარს, თითქმის უსახსროა, წიგნი, ჟურნალი და გაზეთი კი თავისუფლად შეიძლება წყალთან, ჰაერთან და სინათლესთან გავაიგივოთ. იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენი ყურადღება მწერლებს, პრესის მუშაკებსა და მათ შორის ჩვენც არ მოგვაკლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იმედის სხივი

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირი ევროპის რადიოს, კინოს, ტელევიზიის, ჟურნალისტთა და პოლიგრაფისტთა ფედერაციის წევრი გახდა. პარალელურად იგი მიიღეს ევროპის ხელოვანთა პროფკავშირული ორგანიზაციის წევრადაც.**

**გთავაზობთ ლამარა გაგუას საუბარს ამ პროფკავშირის თავმჯდომარესთან სპარტაკ ხატიაშვილთან.**

*— ბატონო სპარტაკ, მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობისა და ევროპის ფედერაციის წევრობა, ალბათ, დიდი აღიარებაცაა და პასუხისმგებლობაც.*

— გეთანხმებით, კავშირის ხელმძღვანელობის წინაშე ეს მართლაც დიდ ამოცანებს აყენებს. ამავე დროს ეს საშუალებას გვაძლევს უფრო გამოცდილი მსოფლიო პროფკავშირების საქმიანი პარტნიორი გავხდეთ.

*— რა პრიორიტეტს ანიჭებს ეს ფაქტი თქვენს პროფკავშირს?*

— ძალზე ბევრ სიკეთეს გვპირდება. დავიწყებ კავშირის პრობლემებით, რომელთა გადაჭრა აგერ უკვე ხუთი წელია არ ხერხდება. კერძოდ, კუთვნილი ქონების — პროფკავშირების სასახლის, პროფსაბჭოს, თბილისის ზღვაზე მდებარე პროფკავშირული სასწავლო ცენტრის შენობების დაბრუნება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ შალვა დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლის დაბრუნება მოხერხდა. იგი დღეს კვლავ აღორძინდა და ჩადგა კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა სამსახურში.

*— სხვა პრობლემებიც გაქვთ, როგორ ფიქრობთ მათ გადაჭრას?*

— დასაბრუნებელი გვაქვს საქართველოს სოცუზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ერთიან სახელმწიფო ფონდში თავმოყრილი თანხების 10-125. მოსაგვარებელია პროფკავშირებში ტექნიკური ინსპექციის სამსახურის აღდგენის, საქართველოს მოსახლეობის „ახალი ტიპის ბეგარისაგან“ სავალდებულო-სადაზღვევო შენატანის უშუალოდ ხელფასიდან 1% ოდენობით გათავისუფლების საკითხი და სხვ. ამ პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება ჩვენი უფლებები, რომელიც მოგვენიჭა, როგორც მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობისა და ევროპის ფედერაციის წევრებს.

*— მაინც რა უფლებებია ასეთი?*

— ისინი ჩამოყალიბებულია ახლახან პარიზში გამართულ მსოფლიო ფორუმზე მიღებულ რეკომენდაციებში მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა ფედერაციისა და იუნესკოს მიერ. იგი საკმაოდ დიდი და შთამბეჭდავი დოკუმენტია, რომელიც ეხება ხელოვანთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების და მათი შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას.

*— როგორც ვიცი, ამ ფორუმს თქვენც ესწრებოდით.*

— დიახ, ვესწრებოდი. გადაწყდა, რომ დაფუძნდეს იუნესკოსა და ხელოვანთა ფედერაციის ერთობლივი მსოფლიო პარლამენტი. იგი განიხილავს იმ სახელმწიფოთა საკითხებს, რომლებიც ხელყოფენ კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციათა თუ კერძო პირთა უფლებებს. ნაკლებად იზრუნებენ მათი სოციალური უფლებების დასაცავად. ამ პარლამენტში ჩვენი კომიტეტიც მიიღებს მონაწილეობას. ვფიქრობთ, ასეთი ძლიერი მექანიზმის ამუშავების შემდეგ მაინც ვთხოვთ ჩვენს ხელისუფლებასა თუ მთავრობას, ყურადღება მიაქციოს ჩვენი კავშირის მიერ დაყენებულ სამართლიან მოთხოვნებს.

*— თუ გრძნობთ ხელისუფლების მხარდაჭერას?*

— რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მხრივ. თუ ასე გაგრძელდა, მომავალშიც შევძლებთ ჩვენი კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა და მათი ოჯახების დახმარებას, მათთვის შვებულების პერიოდში ნორმალური დასვენების და მკურნალობის პირობების შექმნას.

*— სხვები თუ გეხმარებიან?*

— როგორ არა. ყველა სამინისტროსთან, კორპორაციასა და დეპარტამენტთან დადებული გვაქვს გენერალური ხელშეკრულება, გვაქვს პარტნიორული ურთიერთობები სოციალური დაცვისა, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ერთიან სახელმწიფო ფონდთან. სწორედ ისინი იჩენენ განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენი კულტურისა და მუშაკებისა და მათი ოჯახებისადმი. ჩვენი კავშირის წევრების ათასამდე ბავშვი დაისვენებს ჩვენი კავშირის ბავშვთა და მო-

ზარდთა დასასვენებელ ბაზებში ცხვარიჭამიაში, ქვიშხეთში, დაბა ჩითახევში. კავშირმა გამონახა გზები და საშუალებები და ისევე, როგორც შარშან და შარშანწინ წელსაც შეისყიდა დასასვენებელი საგზურები საქართველოს კურორტებზე ჩვენი კავშირის წევრებისათვის.

*— კიდევ რა გაკეთდა კავშირის წევრებისათვის?*

— გასულ წელს დარიგდა ჰუმანიტარული წამლები. ძირითადად გიპერტონიით, დიაბეტით, კუჭის წყლულითა და კანის სხვადასხვა დაავადებებით შეჭირვებული წევრებისათვის. მუშაობა ამ მხრივ კვლავაც გრძელდება და ვფიქრობთ, უახლოეს დროში შევიძენთ ჩვენი დარგის პროფკავშირის წევრებისათვის „პოლისებს". ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ყველას, ვინც ამ საქმეში თანადგომა და დახმარება გაგვიწია, დიდი მადლობა გადავუხადო.

*— ხელში ჩამივარდა თქვენი კავშირის დარგობრივი გაზეთი „ქომაგი". იგი ერთდროულია თუ სისტემატურად გამოვა?*

— ჩვენ შევძელით გამოგვეშვა გაზეთი. ვფიქრობ, მისი დაარსება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცხოვრებაში. ეს ორგანო უნდა გახდეს ჩვენი კავშირისათვის ახალი ტიპის ურთიერთდამაკავშირებელი ხიდი თითოეულ პირველად პროფორგანიზაციასთან. გაზეთი გამოვა ჯერჯერობით თვეში ერთხელ.

*— თუ შეიძლება, მიამბეთ თქვენს კავშირთან ახლახან შექმნილ ალ. ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოების თაობაზე?*

— საზოგადოების შექმნისა და მოღვაწეობის მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს ქართველი ერის სულიერ და ფიზიკურ აღორძინებაში. იზრუნოს ქართული ისტორიული და კულტურული ძეგლების აღდგენისათვის. მზრუნველობა გაუწიოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ნაკლებადუზრუნველყოფილ ქართულ ოჯახებს. საზოგადოება აპირებს დაარსოს თბილისში ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. წარმოაჩინოს ალექსანდრე, ნინო, ეკატერინე, სალომე ჭავჭავაძეების მოღვაწეობა, შეისწავლოს და პოპულარიზაცია გაუწიოს მათ. ჩაფიქრებულია ფილიალების შექმნა ზუგდიდსა და წინანდალში.

*— ბატონო სპარტაკ, მავანს მიაჩნია, რომ პროფკავშირმა მოჭამა თავისი დრო.*

— ვინც ასე ფიქრობს, ძალიან ცდება. დღეს, როდესაც საქართველოში დემოკრატიაზე დაყრდნობით მთელი ძალისხმევით მიმდინარეობს ახალი ეკონომიკური ფორმაციის მშენებლობა, კერძოდ კი სახელმწიფო თანდათანობით გადადის კაპიტალისტურ რელსებზე, მიმდინარეობს განსახელმწიფოებრიობის პროცესი, ფეხს იკიდებს კერძო საკუთრება. ბუნებრივია, ჩვენი დამოუკიდებელი პროფკავშირი ცდილობს, თანდათანობით ჩამოაყალიბოს როგორც ახალი ტიპის პროფკავშირი. თავის ძირითად მიზნად უნდა დაისახოს მშრომელთა სამართლებრივი და სოციალეკონომიკური ინტერესების დაცვა, თანდათანობით გამონახოს ახალი გზები და ეძიოს ახალი მიმართულებები.

და საერთოდ, დღეს მთელ კაპიტალისტურ სამყაროში სწორედ პროფკავშირებია მშრომელთა ინტერესების გამომხატველი და დამცველი, მომავლის ორგანიზაციები.

---

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს თურქულ კომპანია „შიშეჯამთან" ერთად ქსნის მინის ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელება. მათი მონაწილეობა აღნიშნულ პროექტში 9 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციებით განისაზღვრება. საქართველოს ბაზარზე ქარხნის პროდუქციისადმი მოთხოვნილება ამჟამად მისი სრული წარმადობის 30 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი პროდუქცია ექსპორტირებული იქნება სხვა ქვეყნებში.

***

ყვარლის რაიონის ეკონომიკაში მალე, ალბათ მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის ერთობლივი ქართულ-იტალიური საწარმო „კვაპელი", რომლის დამფუძნებლები არიან იტალიის ქალაქ სულოფრიორისა და ყვარლის ფიზიკური პირები. საწარმოს საწესდებო კაპიტალი 400 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს.

დაიწყო და წარმატებით გრძელდება საწარმოო კორპუსის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვის სამუშაოები. ერთობლივი საწარმოს ძირითადი მიზანია ტყავნედლეულის გადამუშავება და პირველ ეტაპზე ქვეყნის შიდა ბაზრის ათვისება.

თელავის აეროპორტიდან ავიარეისები უკვე რეგულარულად ხორციელდება.

ავიაკომპანია „ჯორჯია-ექსპრესი" ერთადერთია კახეთში, რომელიც შეასრულებს ავიაგადაზიდვებს აეროპორტიდან „თელავი".

უკვე განხორციელდა რეისი „თელავი—დუბაი—თელავი" და ჩაერთო მსოფლიოს საავიაციო მაგისტრალში.

***

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტიდან გვატყობინებენ, რომ რუსეთის მხარეს გადაეცა საქართველოს მიმდებარე წყლების, ფოთისა და ბათუმის საზღვაო აკვატორიის ქართული მხარის მიერ დამოუკიდებლად დაცვის ეტაპობრივად განხორციელების გრაფიკი. უკვე შექმნილია ფოთის სასაზღვრო დივიზიონი, რომელიც ფოთის აკვატორიის დაცვას განახორციელებს.

***

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა წელიწადში 45-47 მილიონი ლარის პროდუქციას გამოუშვებს. ინგლისური ფირმა „ფაინორლთან" დადებული ხელშეკრულებით ქარხანა წლის მანძილზე ინგლისს მიაწვდის 120 ათას ტონა როგორც საშუალო ნახშირბადიან, ასევე სილიკატურ მანგანუმს. საწარმოს პროდუქცია იგზავნება თურქეთსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში.



**როგორც ცნობილია, გრიგოლ ლორთქიფანიძე იყო დემოკრატიული საქართველოს სამხედრო მინისტრი, რომელიც საბჭოური ოკუპაციის შემდეგ დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს. იქ, სუზდალის ციხეში, დაიწერა „ფიქრები საქართველოზე“, რომელიც პოლიტიკური ესსეს ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.**

**ვბეჭდავთ ნაწყვეტს გრიგოლ ლორთქიფანიძის წიგნიდან: „ფიქრები საქართველოზე“.**

# მოუშუშებელი

■ რუსეთის მთავრობას ძლიერ კარგად ესმოდა ყოველმხრივი მნიშვნელობა ძველი მესხეთისა, ასევე კარგად ესმოდა ეს რუსთა იმპერატორებს, როგორც ოსმალთა ხონთქრებს და სპარსთა ყაენებს. ძველი მესხეთი (სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი, შავშეთი და სხვა) ხომ სული და გული იყო ძველი საქართველოსი, ის იყო ქართლოსიანთა ტომის ციხე-სიმაგრე, წმინდა საყდარი და სინათლის შკოლა. ეს ხომ დღესაც ერთი ვეებერთელა ეროვნული სასაფლაო და ისტორიული მუზეუმია, სადაც უხვადაა გაფანტული ქართველი ერის შემოქმედებისა და დიდების ძეგლები, ეს ხომ ის უზარმაზარი ქართული აკადემიაა, სადაც დაუღალავად მჭერმეტყველობენ საქართველოს საქმეთა და სახელის შესახებ უამრავი მუნჯი ძეგლები, აქ ხომ ყველაფერი, ქვა და ლოდი, მიწა და ბალახი მეტყველია და მოუთხრობენ ისინი ერთსა და იმავეზე, ქართლისა ბედზე, უამბობენ ისინი იმ დიდ ჭირსა და ლხინს, გამარჯვებასა და გაჭირვებას, რომელსაც განიცდიდა და განიცადა ქართველთა ერმა თავის ისტორიულ გზაზე. ძველი მესხეთის მნიშვნელობა ყველა და ყოველგვარ საქართველოსათვის პირდაპირ განუსაზღვრელი და დაუფასებელი იყო და არის: არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ მესხეთის საქართველოში ყოფნა და მესხეთის ქართულობა, ეს საქართველოს ყოფნა-არყოფნის კითხვა იყო არა მარტო წარსულში, არამედ მომავალშიაც, მაგრამ ამაზე შემდეგ...

ვისაც საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოკვლა უნდოდა, მას უნდა მესხეთი მოეგლიჯა საქართველოსაგან და ქართველი ერიდან, ასედაც იქცეოდა და მოიქცა ისლამი. ვისაც სურს, რომ საქართველო არ აღორძინდეს და არ გაიმართოს წელში ეროვნულ-პოლიტიკურად, მან არ უნდა მისცეს საშუალება ქართველ ერს დაუბრუნდეს და მოუაროს თავის ძველ მესხეთს, მან არ უნდა მისცეს საშუალება, რომ აქ აღორძინდეს ქართული კულტურა და ეროვნება, პირიქით, მან ასეთი ნაშთები კიდევაც უნდა აღმოფხვრას. აი, სწორედ ყველაფერი ეს ჩინებულად ესმოდათ რუსთა იმპერატორებს: მათი პროგრამა იყო ყოველი ფერისა და ჯურის მესხეთი, ოღონდ არა ქართული. აი, ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის უცნაური მოვლენა, რომ მესხეთის თურქთაგან განთავისუფლების შემდეგ კი არ აღორძინდა ქართული კულტურა, არამედ სწორედ მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში დაწყდა მრავალი ის ეროვნული ძაფები, რომელიც ნახევრად გამუსლიმანებულ ქართველებს აკავშირებდა თავის მშობელ ერთან. და ამ საქმეს შეგნებულად უწყობდა ხელს რუსეთის მთავრობა. მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილებზე ჩაასახლეს რუსის სოფლები, როგორც სამცხეში, ისე ჯავახეთსა და არტაანში, აგრეთვე ეპატიჟებოდნენ და ასახლებდნენ ბერძნებსა და გერმანელებს, ოსმალეთში დევნილ სომხებსა და მათ მიერვე რუსეთში განაწამებ რუს სექტანტებს, აქვე მოუხმობდნენ და ამკვიდრებდნენ ქუჩათმავალ კარაპაპახებს და ქურთებს, მუტრუფებსა და თურქმენებს, ნახევრად გამაჰმადიანებულ ქართველებს კი ოსმალეთისკენ მიერეკებოდნენ, ხოლო იმ ქართველ ხალხს, რომელთა წინაპრებმა შეჰქმნეს ვარძია და ქუმურდო, ზარზმა და საფარა, ჭულევისა და წყაროსთავის ტაძრები, ამ ხალხს არ აძლევდნენ თავის სახლში დაბრუნების უფლებას. რუსეთის ხელისუფალნი საიმედო, ესე იგი, არა ქართული ტომებით ასახლებდა საქართველოდან მესხეთში გადასასვლელ მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორიცაა, მაგალითად, ციხისჯვარის ბერძნებითა და მოქცევის რუსებით დასახლება იმ მოსაზრე-

# იარა



ბით, რომ ხელი შეეშალა ძველი და ახალი საქართველოს ურთიერთობა-გაერთიანებისათვის. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ხელოვნურად შექმნილი ეთნიური ზღუდეები გადალახა ქართულმა ენამ და, მაგალითად, ორივე ზემოთ მოხსენებული პუნქტები გააქართულა. ნახევრად გამაჰმადიანებულ ქართველობას რუსეთის მთავრობა დაჟინებით თურქებად თვლიდა, ის არ სცნობდა მაჰმადიან ქართველობას, მიუხედავად იმისა, რომ თვით ეს ხალხი თავს ქართველებად სთვლიდა და არც შეეძლო ასეთად არ ჩაეთვალა. რუსეთმა აქ შესძლო მხოლოდ მაღალი წრეების რამდენადმე გარუსება, ხოლო ხალხის გარუსება კი უნიადაგო ოცნება შეიქმნა და ამიტომ მის სრულ გაქართველებას ისევ სრულ გათურქებას ამჯობინებდა და ამ სახელოვან და „სულის საცხონებელ საქმისთვის“ დაუღალავად ზრუნავდნენ არა მარტო „ნამესტნიკები,“ არამედ „წმინდა“ ეგზარხოსებიც. საქართველოს ახალ ბატონთა ქართულისადმი ზიზღი და მტრობა იქამდეც მიდიოდა, რომ ქართველ კათოლიკებსაც კი არ ათვლიდა ქართველ ხალხს, იმ ქართველ კათოლიკობას, რომელიც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას იმიტომ გამოეყო, რომ დიდი რომის ეკლესიისა და ევროპის მფარველობის ქვეშ თავის ეროვნება შეერჩინა... თუ რუსული იმპერიალიზმის მოციქულნი ყველგან დაპყრობილ ქვეყნებში ეროვნულ შურს თესავდნენ სხვადასხვა ტომის ხალხებს შორის, მით უმეტეს გულმოდგინედ აწარმოებდნენ ისინი ამ საქმეს მესხეთში მკვიდრ ქართველებისა და მოსულ სომეხ კოლონისტებს შორის. არ იყო არც ერთი საშუალება, რომელსაც მორიდებოდნენ რუსის იმპერიალისტები, ოღონდ მესხეთში ყოველი ქართული აღმოეფხვრათ, და თუ ამ მიზანს საშუალებით ვერ მიაღწიეს, თუ მესხეთში მაინც ღვივის ქართული ცეცხლი, ეს უმთავრესად მიეწერება სამ გარემოებას: 1. ძლიერი ეროვნული ტრადიცია, რომლის მფარველი და გამსახიერებელია ის უამრავი დიდებული ძეგლები, რომლის წინაშე დღეს მოკრძალებით იხრის ქედს უკვე სრულიად გადაგვარებული და გათურქებული ქართველი გლეხიც კი. 2. იმ საკმარი-



სად ენერგიულ-ეროვნულ თავდაცვით ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა აქ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. 3. ასეთივე ხასიათის მუშაობა-მოღვაწეობა ქართული კათოლიკური ეკლესიისა, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო რუსული გავლენისაგან და წარმოადგენდა ძლიერ ქართულ ეროვნულ ფაქტორს... ამასთანავე, რასაკვირველია, გადამჭრელ როლს თამაშობდა ის გარემოება, რომ მესხეთის ზურგი, ახალი საქართველო რუსულ გუბერნიებად და მაზრებად დაჩეხილი და რუსიფიკაციის მარწუხებში გაჭედილი, მაინც ქართველობდა, ავად თუ კარგად მაინც ინახავდა და ანვითარებდა ქართულ კულტურას და ამრიგად, ოსმალთა მონობიდან რუსეთის ტყვეობაში გადასულ მესხეთსაც თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც უნათებდა სავალ გზას.

საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიაში ეკლესია თამაშობდა უდიდეს როლს, ის იცავდა ეროვნებასა და პოლიტიკურ მთლიანობას. ქართული ეკლესიის ასეთი მთლიანობა კარგად ჰქონდა შეგნებული რუსეთის მთავრობას და სწორედ ამიტომ მან დაისახა მიზნად ქართული ეკლესიის განადგურება. ავტოკეფალიის გაუქმება, სინოდისაგან ეგზარხის დანიშვნა. საეკლესიო აჯანყება დასავლეთ საქართველოში და ქუთათელ და გენათელ მიტროპოლიტთა ტრაგედია — ეს იყო რუსული საეკლესიო იმპერიალიზმის გამარჯვება და საქართველოს არა მარტო საეკლესიო, არამედ ეროვნული დამარცხებაც. მაგრამ ამ დამარცხების შემდეგაც ქართული ეკლესია უკვე უფრო სუსტად, თუმცა ერთგვარი პასიური წინააღმდეგობით, და არა აშკარა აქტიური ბრძოლით, მაგრამ მაინც განაგრძობდა თავდაცვით ბრძოლას რუსულ-სინოდალურ-ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...საქართველოს სიყვარულმა ჩამომიყვანა...



■ ამას წინათ მეტრო „რუსთაველთან“ ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, პოეტი ერეკლე საღლიანი დავლანდე. კოლორიტული, განუყრელი სვანური ქუდით. იგი აღგზნებულად ესაუბრებოდა გარშემო შეკრებილ ორ მამაკაცსა და ოთხ ქალბატონს.

წამით შევყოვნდი. ერეკლემაც მოიხედა.

— არიქა, მოდი, ვინ გაგაცნო! ჩვენი ფერეიდნელი ძმები! — მეპატიჟება ერეკლე.

სიხარულით ვიკრავ გულში რეზო ონიკაშვილსა და არია ხოსროშვილს...

— ეს იყო ზუსტად სამას ოთხმოცი წლის წინ. შაჰ-აბას პირველმა მიწასთან გაასწორა აღმოსავლეთი საქართველო... კახეთის სოფლებიდან ორასი ათასი კაცი აჰყარა და ირანისკენ გარეკა... გადასახლებულთ ფერეიდუნ შაჰრის პროვინციაში, ბახტიარიის მთებში მიუჩინეს საცხოვრებელი... აბა, გოდებითა და ვიშით რას გახდებოდნენ. სამშობლოს კალთას მოწყვეტილები, ეზო-კარის მოწყობას შეუდგნენ ახალ საცხოვრისზე... და აღმოცენდა ირანის ცენტრში, ისპაჰანიდან ასიოდე კილომეტრზე სოფლები — მარტყოფი და ჩუღურეთი, ჯაყჯაყი და ვაშლოვანი, თორი, ახჩა, რუისპირი... ხრიოკი წალკოტად აქცია ქართველის გამრჯე მარჯვენამ. საუკუნეების მანძილზე იძულებით რწმენაც შეუცვალეს, მაგრამ დედა-ენა ვერა და ვერ დაავიწყეს, ვერც ქრისტიანული ზნე-ჩვეულებანი...

— მე ზემო მარტყოფში ვცხოვრობ, შარიათის ქუჩაზე, სამას ნომერში, — მიყვება რეზო ონიკაშვილი, ორმოცდა შვიდი წლის შავგვრემანი ვაჟკაცი, — მშენებელი ვარ, შემდუღებელი, სხვაც ბევრი რამე მეხერხება. ჩემს მეუღლეს ნარინჯი ჰქვია. ექვსი შვილი გვყავს — ცხრამეტი წლის ლეილა — თინა, სოჰეილა, ასლანი, ამირანი, მერი და ოთხი წლის არიანი. დღეს მარტყოფში ათი ათასამდე ქართველი ცხოვრობს. ფერეიდნის გარდა ქართველები გაფანტულები არიან თეირანში, ისპაჰანში, ნაჯაფაბადში. იქ ბევრად ძნელია ენა და ადათწესები შეინარჩუნო. ჩვენ კი სოფლებში, სადაც ქართველები ერთად ვცხოვრობთ, ენასაც და ზნე-ჩვეულებასაც უკეთ ვინარჩუნებთ. ბიძაჩემი ოცდაშვიდი წლის წინ ჩამოვიდა თავისი წინაპრების სამშობლოში. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში დასახლდა. ჩემი მეორე ბიძაშვილი შვიდი წლის წინ ჩამოვიდა, სოფელ ახაშენში. იქვე დაქორწინდა. ორი შვილი ჰყავთ — ამირანი და ლეილა. საქართველოში ახლაც ბევრს უნდა ჩამოსვლა. იციან, აქ ცუდი დრო რომ არის — მაინც სამშობლოსკენ მოუწევთ გული. აი, გუშინ ორი ბიძა ჩამომივიდა — მელიქ ონიკაშვილი მასწავლებელია, რეზო ონიკაშვილი — ექიმი. ორ კვირას დარჩებიან თბილისში, — მშვენიერი, გამართული ქართულით მიყვება ბატონი რეზო.

— არია ჩემი ნათესავია, მან უფრო კარგად იცის ენაც და წერა-კითხვაც, — მაცნობს იგი მოხდენილ, კეთილშობილნაკვთებიან ახალგაზრდას.

ახლა მას ვთხოვ, რაიმე მიამბოს თავის ოჯახზე.

— მე არია ხოსროშვილი ვარ, ოცდაშვიდი წლისა, მამა ავტოკატასტროფაში დამეღუპა. დედა ჯანმრთელადაა, ორი ძმა და ორი დაი მყავს. უფროსი ძმა ოფიცერია, უმცროსი — ჯარისკაცი. ბავშვობიდან ოცნებად მქონდა — ოდესმე ჩემი წინაპრების სამშობლო მენახა. პირველად სამი წლის წინ ჩამოვედი საქართველოში, ერთი თვით. სახლში ბევრი ქართული წიგნი წავიღე. ჩემს სოფელში — დაშქესანში ყველას ვასწავლე წერა-კითხვა. ჩემმა ბიძაშვილებმა, მეზობლებმა, ყველამ იცის ქართული. შარშან მეორედ ჩამოვედი საქართველოში. სამედიცინოზე მინდოდა სწავლა, სტომატოლოგიურზე. მოსამზადებელი კურსიც გავიარე, წელს, სექტემბერში სტუდენტი ვიქნებოდი, მაგრამ...

— რა მაგრამ? — ვეკითხები.

— ამ სამ წელიწადში მე ერთადერთი ქართველი ვარ, ფერეიდნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ჩამოსული... განათლების სამინისტროში რომ ვიყავი, იქ დამბურთეს.

— რაო?

— ჰო, დამბურთეს. ერთი ოთახიდან მეორეში, მეორედან მესამეში, მეათეში გამიშვეს, მატარეს, მაგრამ... ფული უნდა გადაიხადოო, სწავლის ქირა, ათას ხუთასი დოლარი. მერე, სხვაც ხოა საჭირო, აქ რომ იცხოვრო: ბინის ქირა, ტრანსპორტი, კვება. ერთ კვირაში შინ მივდივარ. თუ ორიათასხუთასი დოლარი ვერ ვიშოვე, ვეღარ ჩამოვალ. ჩონ ვიცით, დღეს ძლიერ უჭირს საქართველოს... ჩონც გვიჭირს, მარა გული სამშობლოსკენ მეწევა. ირანში სწავლა იაფია, ცხოვრებაც. სწავლას იქაც შევძლებ. მაგრამ მე აქ სამშობლოს სიყვარულმა ჩამომიყვანა. რას ვიზამ? ჩემი საქართველოს სიყვარული ჩემს გულში სამუდამოდ დარჩება, მაგას რა შემიცვლის, მაგრამ... ჩონგან აქ თუ ვერავინ ჩამოვიდა, ყველა ძაფი ხომ თანდათან გაწყდება, ჩონ ქვეყნებს შორის რომ გაიბა უკანასკნელ წლებში...

ახა ვაი, ჩემო საქართველოვ! მართლა როგორ გაგჭირვებია... როგორ შეგცვლია ზნე... ზუსტად სამას ოთხმოცი წლის წინ, ცეცხლითა და მახვილით გადაბუგული კახეთიდან დედაბუდიანად აყრილი და ფერეიდანში ჩასახლებული ქართველების შთამომავალი ჩამოგსვლია, რომელსაც სწავლა საქართველოში განუზრახავს, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ეუბნები, რაკი საბაზრო ეკონომიკას მკაცრი კანონები აქვსო... მინდა ვკითხო განათლების სამინისტროს რეფორმატორ მესვეურთ, და არა მარტო მათ — თუკი ესაა საბაზრო ეკონომიკა, სადაც ყველა და ყველაფერი ერთი არშინით იზომება, — დიდი ვერაფერი ბედენა ყოფილა...

თანამემამულეებთან შეხვედრის პირველი სიხარულის შემდეგ სევდა დამეუფლა... საკუთარი უსუსურობის გამო, რომ პირადად ვერაფრით ვეხმარები მოსაფერებელ, ფერეიდნიდან ჩამოსულ, სწავლამოწყურებულ ახალგაზრდა კაცს, მშვენიერი ქართულით რო მესაუბრება რუსთაველის გამზირზე, დიდი შოთას ძეგლის წინ...

**ჯუმბერ ჯიშკარიანი**







• ფერეიდნელი ბიჭუნა

• ისფაჰანი. ალავერდი — ხან უნდილაძის ხიდი

• ფერეიდნელი ქართველის რეზო დავითაშვილის სამახსოვრო საჩუქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხიზანი

გურამ გედოშვილი

იყო და არა იყო რა ამ ღვთივკურთხეულ ქვეყანაზე მადლიანი და გულმოწყალე კაცის მეტი რა იქნებოდა!

ერთ წალკოტ ადგილას სამ ძმას სოფლის აშენება დაეწყო. მალე, ღვთის შეწევნით, ისეთი ედემ-სოფელი ააშენეს, ავ თვალს არ ენახვებოდა.

სად იყო, სად არა, იმ ედემ-სოფელში საიდანღაც ერთი მარტოხელა, ტაბარუკი კაცი ჩამოეხეტა. ძმებმა უცხოს საძმო გული გაუხსნეს, საუკეთესო სამოსახლო შესთავაზეს, თან შეჰფიცეს, შენი ჭირისა და ლხინის თანაზიარნი ვიქნებითო. ხიზანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— მე თქვენთან არაფერი მესაქმება! სამი ძმისა და იმათი მონაგარის ახლოს ხეხილს მწიფობასაც არ აცლიან; მე რა ხეირი დამეყრება? ავალ სოფლის თავში და იქ დავსახლდებიო.

უფროსმა ძმამ საშუალოს და უმცროს ურჩია, თავნება კაცი ჭკვიანმა თავის ნებას უნდა მიუშვასო.

ძმებმა რჩევა შეისმინეს, ახალმოსულისათვის ახალუხის კალთები არ ჩამოუხევიათ. იმანაც აიკრიფა ჩიტის სამყოფი სარჩო, სოფელს თავში მოექცა და სახლის საძირკვლის თხრას შეუდგა. თხრიდა და თან წყლით შეშინებულივით წარამარა გაიძახოდა:

— ღმერთო, იმ ძმებზე დიდი სახლი ამაგებინე! ღმერთო, იმ ძმებზე უკეთესი ბედი მომკერძე! ღმერთო, ჩემს კარზე სამათხოვროდ მოსულები მანახვე და განუკითხავად გამასტუმრებინეო!

ხიზნად მოსული, სიღარიბის გარდა, უმადური, ერთი აჯამი და გულბოროტი კაცი იყო, ამიტომ არსთა გამრიგე მოსიყვარულე ძმებზე დიდ, კეთილ სახლს როგორ ააგებინებდა, უკეთეს ბედს როგორ მიჰკერძავდა?...

შურითა და ღვარძლით პირთამდე სავსე კაცი დღედაღამ შეუსვენებლად მუშაობდა, მაგრამ უძმოდ, უთავისოდ დარჩენილი, მოყვარულ, მოთავისე ძმებზე დიდი სახლის საძირკველს როგორ გაჭრიდა? მალე ყინვებიც დაიჭირა, ზამთარმა კარზე მიუკაკუნა. ხიზანმა გაიფიქრა, უსახლკაროდ დარჩენილი გაზაფხულამდე სულს ვერ გავატან, სხვა ჩარა აღარ დამრჩენია, ისევ იმ ძმებთან უნდა მივიდეო. ადგა და კარზე მიუვიდა:

— მიშველეთ და ღმერთი გიშველითო!

ძმებმა ხიზანი კვლავ შეიფარეს, გაათბეს, დააპურეს, გამოაზამთრეს. როცა ჰაერში გაზაფხულის სუნი დატრიალდა, კეთილმა მასპინძლებმა მოსულს დარჩენა შესთავაზეს:

— მოგცემთ სამოსახლოს, დასახლდი ჩვენს გვერდით! თუ ერთად ვიქნებით, ხშირად აღარც ღმერთის შეწუხება მოგიწევს და აღარც კაცისაო.

ხიზანს გულიდან შური ვერ გაეგდო, ამიტომ ძმების რჩევას როგორ შეისმენდა?...

— არაო, უთხრა ძმებს, — ჩვენს გვარს ასე მოგვდგამს, რასაც ერთხელ გულში ამოვიჭრით, იმას აღარ გადავალთო!

უფროსმა ძმამ შუათანას და უმცროს ურჩია:

— თავნება კაცი ჭკვიანმა თავის ნებას უნდა მიუშვასო!

გაუშვეს ძმებმა გულბოროტი კაცი თავის ნებაზე.

იწვალა, ივაგლახა მარტოსულმა და, ძმების სახლისხელას ვინ იტყვის, ყვავის ბუდისხელა ქოხს ჩიჩხვრის სახურავი ძლივს გადააჰხურა. შეძვრა შიგ დათვივით და ჩალაბულაში გაეხვია.

სამი დღე და სამი ღამე მკვდარივით ეძინა. მეოთხე დღეს შიმშილმა ზეზე წამოაგდო. გამოვიდა გარეთ და რას ხედავს, არე-მარე უმტვერო თოვლით არის გადათეთრებული!

ხიზანი საგონებელს მიეცა. რა ქნას, არსად ხარ-უღელი, არსად-ნახნავი და ჭირნახული! ადგა და მშიერ-ტიტველმა ისევ ძმების კარის წინ დაიჩოქა:

— მიშველეთ და ღმერთი გიშველითო!

ძმებმა უთავისო კაცი ამჯერადაც თავისიანივით შეიფარეს, გაათბეს, დააპურეს, გამოაზამთრეს. როცა ჰაერში გაზაფხულის სურნელი და სითბო დატრიალდა, ძველი ნათქვამი გაუხსენეს:

— მოგცემთ სამოსახლოს, დასახლდი ჩვენს გვერდით! თუ ერთად ვიქნებით, ხშირად აღარც ღმერთის შეწუხება მოგიწევს და აღარც კაცისაო.

შურით თვალისჩინდავსებულმა ხიზანმა ძმების რჩევა გულთან ახლოს არც ახლა გაიკარა:

— არაო, — უტიფრად მიახალა ძმებს, — ჩვენს გვარს ასე მოგვდგამს, რასაც ერთხელ გულში ამოვიჭრით, იმას აღარ გადავალთო!

უფროსმა ძმებს ურჩია:

— ნუ დაუშლით, დაე, წავიდეს! აჯამი კაცი — ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო!..

წავიდა გულბოროტი ხიზანი, ავიდა სოფლის თავში და ძირს უცხოფრად აყვავებულ, ნაყოფიერ ველებს რომ გადმოხედა, გულში მჯიღის ცემას მოჰყვა:

— მე თუ ეგენი ჩემს კარებთან სამათხოვროდ არ დავაჩოქე, კაცი არა ვყოფილვარ, ქუდი ნუ მხურებიაო!

— როგორ და რანაირადაო? — ჩაესმა უხილავის ხმა.

— რანაირად და ძმებს ჩემი ეზოდან მიმავალ წყალს გადავუკეტავ, წვეთსაც აღარ დავანებებ! უწყლოდ ხეხილი და ნათესი გადაუხმებათ და ნანაჯოგიანად დაიმშევიანო!

იფიქრა, იფიქრა ხარბმა, შურიანმა ხიზანმა და ბოლოს ეზოში ამომდინარი წყაროს ქვითკირის ზღუდით შემოზღუდვა გადაწყვიტა!

სამი დღე და სამი ღამე მუხლი არ ჩაუხრია, ძმების გამოტანებული საჭმლის ჭამაც აღარ გახსენებია; თვალს ლულს არ აკარებდა, ოღონდაც წყაროს ირგვლივ ღრმა თხრილის გათხრა დროზე დაესრულებინა.

— წყალი ჩემია, ჩემს ეზოში ამოდის, სხვას რად უნდა დავანებო?.. პეშვ წყალს არავის მივაწვდი, სოფელი უწყალოდ უნდა ამოვახრჩო!..

ხიზანმა თხრილის თხრა, როგორც იქნა, დაასრულა და გულდამშვიდებულმა ხის ჩრდილს მიაშურა.

— ზოგიც ახლა ნახეთ! ჩემს სახელს დაგამახსოვრებთ! — იქადნებოდა ხარბი კაცი და ამ ქადილში ღრმა ძილით დაიძინა. იმდენ ხანს ეძინა, სამი სიზმრის ნახვა მოასწრო. პირველ სიზმარში თავი მენავედ ეჩვენა: ეზოში კამკამა ტბა ედგა და უნიჩბო ნავით დაცურავდა. მეორეში ტბა ვეღარ ნახა, სამაგიეროდ, ღრუბლებში ასულიყო და უფრთებოდ დაფრინავდა. მესამე სიზმარში კვლავ საკუთარი თავი ნახა, თანაც უცნაურად: სამი კუპრივით კუნაპეტი ყვავი დასჯდომოდა; ორი მხრებზე აჯდა, აქეთ-იქით, ერთიც — თავზე. ისხდნენ ყვავები და შიშით გასუსულ კაცს საყვავეთის შავ ამბებს უყვებოდნენ...

ხიზანი ელდანაცემი წამოვარდა. თვალი რომ გაახილა, თავის ნამუშევარს გახედა და შავ სიზმარზე უფრო მეტად ცხადად ნანახმა გააოგნა: წყაროს კამკამა წყალს თხრილები მთლად გადაევსო და ახლა საამო ჩუხჩუხით გადმოჩუხჩუხებდა!

ხარბმა, გულბოროტმა ხიზანმა ფერი და გონი დაკარგა, წყაროს მიეჭრა და ავად დასჭყივლა:

— მე შენ გიჩვენებ სეირს! ჩემი წყალი სხვის ბაღ-ვენახს რატომ უნდა რწყავდე? ჩემი ხარ, შენს თავს სხვას არავის დავანებებ! მხოლოდ ჩემთვის უნდა იდინო, ჩემთვის!..

ყვირილს რომ მორჩა, რკინის ნიჩაბს დასტაცა ხელი და გახელებულმა წყლია-



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ნი თხრილის ამოვსება იწყო. ყრიდა შიგ ადრე ამონაყარ მიწას, ყრიდა ქვა-ღორღს, ლოდებს...

მიწამ და ქვა-ღორღმა თხრილი ამოავსო და წყარომაც შვებით ამოისუნთქა, ზევით-ზევით იწყო ამოსვლა. ახლა ის საკუთარი დინებით კი აღარ მოედინებოდა, ხიზნის სიხარბით გახელებული ბორგავდა, ნაპირს ხრამავდა და სადავეაწყვეტილი ქვემოთ, სოფლისაკენ მიეშურებოდა.

ხიზანი ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა, აქეთ-იქით დარბოდა, თან იმითი იმტვრევდა თავს, წყარო როგორც დაესაკუთრებინა, სოფელი უწყლოდ როგორ ამოეხრჩო!..

უცებ კაცმა თავისი ბუდრუგანა ქოხის თავზე შემომსხდარი სამი ყვავი დაინახა. ისხდნენ ფრთოსნები და მარჩიელობდნენ.

ერთმა თქვა:

— ეს კაცი ეშმაკის მუშააო!

მეორემ:

— როგორც ციდან წამოსულ წვიმას ხელით ვერავინ შეაჩერებს, ისე ამ წყაროს წყალსაც ვერავინ შეაჩერებსო!

მესამემ თქვა:

— შეჩერებით როგორ ვერ შეაჩერებს, ცამდე ასულ ქვითკირის ზღუდეს თუ შემოავლებენ, ოღონდ ამ ზღუდის ამგები ჯერ არ დაბადებულა და არც არასდროს დაიბადებაო!

ყვავებმა მარჩიელობა დაასრულეს და ფრთები გასაფრენად გაშალეს.

ბოროტმა და ხარბმა კაცმა ცას შესძახა:

— თუ არავის აუგია, მე ავაგებ! კედელს ღორუბლებს შევუდგამ, ჩემს წყაროს კი სოფელს არ დავანებებ!..

...მოხდა სასწაულის მსგავსი რამ და ხიზანს უჩვეულო ძალა მოერთო: სამი თვის საქმეს სამ დღეს ანდომებდა, სამი დღისას — სამ საათს! ქვითკირის კედელი ზევით-ზევით მიიწევდა, ხარბის სიხარბეს კი ბოლო არ უჩანდა.

— შეგბორკავ, დაგისაკუთრებ! — ბორგავდა ხიზანი.

შეწუხდა წყარო. აქეთ მიაწყდა, იქით მიაწყდა, კედელს ძვრა ვერ უყო. გადაწყვიტა, ქვემოდან გავძვრებიო. ჩაძვრა, ჩავიდა, ჩაჩხრიალდა, მაგრამ კუპრივით ჩაგოზილი საძირკველი დაუხვდა და გულდაძმარებული ისევ ზემოთ წამოვიდა. ცოტა ხანში წყარომ კარგა მოზრდილი ტბორი დააყენა, მაგრამ ქვითკირის ზღუდეს ფერიც არ უცვლია.

უყურებდა ხიზანი ცრემლმორეულ წყაროს, უყურებდა და სიხარულს ვეღარ ფარავდა.

— ვაიმე, ვკვდები, ვიხრჩობი! მიშველეთ! — გაისმა წყლის სიღრმიდან ამომდინარი ხმა.

— მოკვდი და გათავდი!— დასჭექა წყლის ტბორს ბოროტმა კაცმა, — მოკვდები და სოფელს მოუკვდები!..

— მიშველეთ! — კვლავ გაისმა წყაროს განწირული ხმა.

ცაზე მიმცურავმა ქულა ღრუბლებმა ძმობილის ძახილი გაიგონეს თუ არა, უმალ ძირს დაეშვნენ. წყაროს ნაცვლად უმოძრაო ტბორი რომ შენიშნეს, მთლად გადაირივნენ, სახე მოიქუფრეს და საავდროდ გამზადებულები ხიზნის ეზო-კარს თავს დაადგნენ.

— გამაგრდი, ძმაო! შენ რომ ცხელ ზაფხულში წყალი მოგვეცი და დაგვარწყლულე, იმ სიკეთეს ერთიათად უკანვე დაგიბრუნებთ!..

— მიშველეთ, ძმებო! — ეძახდა წყარო საავდრო ღრუბლებს, რომელთაც თავის სარკეში არეკლილთ თვალს არ აშორებდა.

უცებ გაიელვა, ცის თავანი თვალისმომჭრელმა ელვამ გადასერა, მერე იგრგვინა და დასცხო კოკისპირულმა!..

ტბორი წამში ტბად იქცა. ტალღები აიშალნენ, აღელდნენ და ქვითკირის ზღუდეს მიაწყდნენ, სიმტკიცე მოუსინჯეს.

— შენთან ვართ, ძმაო, გამაგრდი! — ჩამოსძახოდნენ ხელფეხშებორკილ, ტბორად ქცეულ წყაროს უბე-კალთა გახსნილი ღრუბლები და მიწისკენ ნიაღვარს ჩამოღვრიდნენ.

ტბორი ხომ ტბად იქცა, ტბა ნამდვილ ზღვად გადაიქცა! ...მეორედ წამოვიდა თეთრად აქაფებული, პირგამეხებული ტალღა, ეკვეთა ზღუდეს და სამი მხარი კედელი ჩამოშალა.

მესამე ტალღამ ზღუდისაგან ქვა ქვაზე აღარ დატოვა! მოღრღვეულმა ქვითკირის კედელმა ერთი იგრიალა და ფსკერისაკენ არეულ-დარეული ჩაეშვა, ჩაიშალა...

წვიმამ რომ გადაიღო, მზემ გამოიხედა. ეზოში მდგარი მოზრდილი ტბორი წუნარად უნანავებდა ზედაპირზე მოტივტივე ქოხის უსახურ ნარჩენებს და გულბოროტი, ხარბის კაცის სასაცილოდ გაბერილ უსულო სხეულს...

...ნურაფერს დააბრალებთ სიხარბით დაბრმავებულ, უსახურ და საცოდავ კაცუნას, — ხომ იცით, ყველაფერს ამქვეყნად ღვთიური განგება განაგებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტალინმა დაარქვა ორლოვი



(გაგრძელება)

**სუპერ-მზვერავის შეგონებანი**

დღეს, როდესაც ალექსანდრე ორლოვის მართლაც რომ თავბრუდამხვევი კარიერა ზედმიწევნით არის დადასტურებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტებით, იგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს გაცილებით მნიშვნელოვან ფიგურად XX საუკუნის დაზვერვის ისტორიაში, ვიდრე აქამდე ეგონათ. ორლოვი იმსახურებს უმაღლეს შეფასებას თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ მან გადმოიბირა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ე. წ. „კემბრიჯის ხუთეული“.

თავის წიგნში „დაზვერვისა და პარტიზანული ომის სახელმძღვანელო“, რომელიც 1962 წელს გამოსცა შეერთებულ შტატებში, ორლოვი წერდა: „დასავლეთის სპეცსამსახურთაგან განსხვავებით, საბჭოთა დაზვერვა ეპყრობა თავის აგენტებს გულწრფელი ზრუნვით, რაც განპირობებულია უფრო საკუთარი ინტერესებით, ვიდრე მორალისა და ჰუმანური შეხედულებებით“. ორლოვი გვარწმუნებს, რომ ენკავედე არასოდეს არღვევდა თავის პირობას – არ გაემჟღავნებინა ცნობები აგენტთა ვინაობისა და მათი მუშაობის შესახებ, და ყოველთვის მისწრაფოდა დასახმარებლად, როდესაც ისინი გასაჭირში ვარდებოდნენ. ორლოვის ღრმა რწმენით, საბჭოთა დაზვერვაში დიდი ხანია მიხვდნენ, რომ ამგვარი პოლიტიკა ინფორმატორთა მიმართ საქმისათვის იყო სარგებლო და ხელს უწყობდა წარმატებას.



ორლოვი წერდა: „ახალი ინფორმატორების გადმობირება საიდუმლო აგენტთა ქსელში წარმოადგენს ყველაზე სარისკო და ძნელ ქმედებას სადაზვერვო საქმიანობის ყველა სახეობიდან. მზვერავი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე პირველივე ნაბიჯიდან, როდესაც სთავაზობს რომელიმე პირს – გახდეს აგენტი და იმუშაოს საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. იგი ააშკარავებს თავს მანამდე, ვიდრე გადმოსაბირებელი პირი პასუხს გასცემდეს“.

ორლოვის დაკვირვებით, მრავალი მიზეზი, ანგარიში და ემოციები არსებობს საიმისოდ, რომ აიძულოს ესა თუ ის ადამიანი – ხელი მოჰკიდოს შპიონაჟს უცხოეთის ქვეყნის სასარგებლოდ და თავისი სამშობლოს საზიანოდ. ამ მოტივებს შორის არის იდეური შეხედულებანი, ფულის მოხვეჭის წადილი, კარიერისტული მისწრაფებანი, რომანტიკული ცხოვრების ცდუნება, თავგადასავალთა წყურვილი, რაიმე დანაშაულის დამალვის აუცილებლობა, ჰომოსექსუალური მიდრეკილებანი და სხვ.

ორლოვის კატეგორიული მტკიცებით, შანტაჟი არ წარმოადგენს გადმობირების დამაკმაყოფილებელ ხერხს, ვინაიდან იწვევს შანტაჟირებულის გაბოროტებას და შესაძლოა, რომ ბუმერანგივით დაუბრუნდეს შანტაჟისტს, ვისი ბედიც გადმოსაბირებელი პირის ხელშია.

ორლოვი წერს: „აგენტთა ქსელის გამოცდილი შემოქმედის შრომა, რომელიც არჩევს ადამიანებს, შეჰყავს დაზვერვის ძალზე სარისკო მუშაობაში და ხელმძღვანელობს მათ გონებათა შეუწყვეტელ ჭიდილში, ძალზე წააგავს რომანისტის შემოქმედებით შრომას, ოღონდ ერთი არსებითი განსხვავებით – რომანისტს წარმოსახული პერსონაჟების ემოციები და მოქმედება გადააქვს ქაღალდზე, მაშინ როდესაც ჯაშუშური ქსელის შემქმნელი შთააგონებს და წარმართავს რეალურ ადამიანთა გრძნობებსა და მოქმედებას“.

და თუ ამ ანალოგიას გავყვებით, რაოდენ შესაშურად მოგვეჩვენება რომანისტის ხვედრი. მისი ნაწარმოების არადამაჯერებელი ჩანაფიქრი და განხორციელება გამოიწვევს მარტოოდენ უარყოფით რეცენზიებს, ხოლო სადაზვერვო ოპერაციის შემოქმედი თუკი დაუშვებს არალოგიკურ ანდა დაუჯერებელ კომბინაციებს, მისი გეგმა კრახით დამთავრდება, ოპერაციის მონაწილენი კი მალე ციხეში ამოყოფენ თავს.

ვიდრე თვალს შევავლებდეთ ორლოვის გამარჯვებათა წყებას, ეგებ ღირდეს მისი ორიოდე წვრილმანი შეცდომის აღნიშვნაც. თავის კონფუზებს თვითონვე მოგვითხრობს „დაზვერვისა და პარტიზანული ომის სახელმძღვანელოში“, ოღონდ არ ასახელებს პიროვნებას. მაგრამ ვარაუდობენ, რომ ორლოვს საკუთარი პრაქტიკიდან მოჰყავს მაგალითები.

1932 წელს, შეერთებულ შტატებში ყოფნისას, ორლოვმა დიდი მოხერხებისა და მაქინაციის წყალობით ხელთ იგდო ნამდვილი ამერიკული პასპორტი უილიამ გოლდინის სახელზე (ამერიკული პასპორტი მაღალი პრესტიჟით სარგებლობდა მთელს მსოფლიოში). ნიუ-იორკიდან ევროპაში რომ ბრუნდებოდა გემით, ერთმა თანამგზავრმა, სხვათა შორის, ჰკითხა: რა პროფესიისა ბრძანდებით? ორლოვმა უპასუხა: ბეწვეულის სპეციალისტი გახლავართ. ცნობისმოყვარე ქალბატონებმა მყისვე დააყარეს შეკითხვები ძვირფასი ბეწვეულის ფასების შესახებ, ორლოვმა ალალბედზე ჩამოთვალა ფასები და გაოგნებულმა მსმენელებმა თვალები დააჭყიტეს. დაეჭვდნენ, ეს კაცი ან ქურდია ანდა ჭკუიდან შეშლილიო.

მეორე კონფუზი ამ მგზავრობის დასასრულს მოხდა. ორლოვი ჩავიდა პარიზში და „გრანდ-ოტელში“ დასაბინავებლად წარადგინა თავისი ამერიკული პასპორტი. კლერ-რეგისტრატორს დაელაპარაკა ფრანგულ ენაზე, რომელიც ბრწყინვალედ იცოდა. მაგრამ, ჰოი საოცრებავ, სასტუმროს რეგის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრატორი აღმოჩნდა ამერიკელი. იგი გაახარა თვისტომის ნახვამ და მაშინვე ჰკითხა ინგლისურად, მგზავრობამ როგორ ჩაიარაო. მზვერავი მოულოდნელობისაგან დაიბნა და რაღაც გაურკვეველი ფრაზა ჩაიბუტბუტა ვითომდა ინგლისურად, რომელიც რეგისტრატორმა, ცხადია, ვერ გაიგო. მეორე დილითვე, ორლოვი ამოეწერა ამ სასტუმროდან, თავისი ამერიკული პასპორტი შესანახად ჩააბარა საბჭოთა საელჩოში და ინგლისური ენის სამთვიან კურსებზე ჩაირიცხა.

მზვერავთა ფათერაკიან ცხოვრებაში, ბუნებრივია, სასაცილო ამბებიც ხდება. თურმე, ორლოვმა თავის აგენტს პაემანი დაუნიშნა პარიზის ერთ რესტორანში. როდესაც გამოცხადდა შეხვედრის ადგილზე, დაინახა, რომ რესტორნის ადგილას მდებარეობდა პიანინოების მაღაზია (ხუთი წელია აღარ ენახა პარიზი). გამოელაპარაკა პოლიციელს, რომელმაც უთხრა, რესტორანი უკვე ერთი წელია, რაც დაიკეტაო და მერე დასძინა: საოცარია, სულ რაღაც ხუთი წუთში თქვენ უკვე მეორე ტურისტი ბრძანდებით, ეს რესტორანი რომ აინტერესებსო. და ხელით ანიშნა კაცზე, რომელიც ათიოდე ნაბიჯის დაშორებით უდიდესი ყურადღებით კითხულობდა თეატრალურ აფიშას.

მაგრამ ამგვარი წვრილმანები, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ აყენებდა ჩრდილს ახალგაზრდა საბჭოთა მზვერავის მოღვაწეობას. თითქმის ათი წელიწადი გაატარა გერმანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში, მონაწილეობდა სერიოზულ ოპერაციებში და იმაღლებდა თავის პროფესიულ კვალიფიკაციას.

## 15 ათასი დოლარი ეცოტავა

თუ როგორ აფასებდნენ ორლოვს ცენტრში, ამას მეტყველებს ერთი ეპიზოდი საბჭოთა დაზვერვის ისტორიიდან.

მოსკოვში მიიღეს ცნობა ენკავედეს ოფიცრის ბორის ბერმანისგან, რომელიც რომში მუშაობდა, რომ შესაბამისი ფულადი ანაზღაურებით შეიძლებოდა ინფორმატორად დაექირავებინათ ვინმე ჯუზეპე ბოტაი, რომელიც თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა ფაშისტურ „დიდ საბჭოში“. ენკავედეს უცხოეთის განყოფილების უფროსმა არტუზოვმა ეს დავალება მიანდო თავის ერთგულ მეგობარს ორლოვს, ვინაიდან პოტენციური წყაროს მიერ მოწოდებულ ცნობათა დიდი მნიშვნელობა მოითხოვდა, რომ საქმის კურსში ყოფილიყო პირადად სტალინი.

1933 წლის 12 დეკემბერს, ორლოვი საიდუმლოდ ჩავიდა რომში, რათა თავისი თვალით შეეფასებინა გადმობირების პოტენციური ობიექტი. სამი დღის შემდეგ დაბრუნდა მოსკოვში და არტუზოვს მოახსენა დადებითი დასკვნა ამ ოპერაციის სავარაუდო წარმატების თაობაზე.

სტალინმა მოიწონა ოპერაცია და გადაწყვიტა, რომ ბოტაის გადმობირება ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება განეხორციელებინათ მისი ვიზიტის დროს გერმანიაში, სადაც უნდა გადაეცათ 15 ათასი დოლარი, როგორც სტიმული მომავალი გარჯისათვის. ბერლინში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა გადასცა იტალიელ მინისტრს კონვერტი, რომელშიც ეწყო მსხვილი კუპიურის ამერიკული დოლარები. შემდგომში ორლოვი იგონებდა: „როდესაც მან დაინახა, რომ კონვერტში მხოლოდ 15 ათასი დოლარია, გადაწყვიტა, რომ უფრო კეთილგონივრული იქნებოდა მოეხსენებინა ყველაფერი მუსოლინისათვის“.

როდესაც დუჩემ „არაოფიციალური“ პროტესტი განუცხადა საბჭოთა ელჩს თავისი მინისტრის მოსყიდვის მცდელობის გამო, სტალინმა ასე განსაჯა: „ფული ძალიან ცოტა იყო. შემდგომში უნდა ვცადოთ, რომ 50 ათასი დოლარი მივცეთ“.

## იმედის სხივი აღმოსავლეთიდან

1934 წლის ივლისიდან ორლოვი იმყოფება ინგლისში. იქ წელიწადნახევარიც არ გაუტარებია, მაგრამ სწორედ ეს ახალი ასპარეზი იქცა მისი მოღვაწეობის უმაღლეს მწვერვალად.

ენკავედეს დოკუმენტები თვალნათლივ გვაუწყებენ, რომ იდუმალი „ნათლია“ კემბრიჯელ აგენტთა უნიკალური ქსელისა, „კემბრიჯის ხუთეული“ რომ უწოდეს, გახლდათ ალექსანდრე ორლოვი. არავინ არასოდეს არ დაეჭვებულა, რომ იგი ოდესმე ყოფილა ინგლისში. ხოლო ინგლისის კონტრადაზვერვის არც ერთ ოფიცერს არასოდეს მოსვლია თავში, რომ სწორედ ორლოვი იყო ესოდენ ხანგრძლივი გამოთვლის ობიექტი – ორგანიზატორი ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი და ნაყოფიერი ჯაშუშური ქსელისა, რომელიც კი საბჭოთა დაზვერვას ოდესმე შეუქმნია.

მაინც როგორ მოხდა ეს ფანტასტიკური მოვლენა, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტის არისტოკრატიული წარმოშობის სტუდენტები, რომელთაც ელოდათ ბრწყინვალე კარიერა სახელმწიფო ადმინისტრაციის, დიპლომატიისა თუ დაზვერვის უმაღლეს საფეხურებზე, უყოყმანოდ გახდნენ სტალინის ერთგული აგენტები და ლამის ოცი წელიწადი ურყევი რწმენითა და გაუგონარი თავდადებით ემსახურებოდნენ საბჭოთა დაზვერვას. სხვას რომ თავი დავანებოთ, მათ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მეორე მსოფლიო ომის ზოგიერთი ეპიზოდის წარმართვაში საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. არანაკლებ აქტიურად იღვწოდნენ შემდგომშიც და ძვირფას ინფორმაციას აწვდიდნენ მოსკოვს „ცივი ომის“ წლებში.

და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ისინი უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ საბჭოთა დაზვერვას. ისინი დაქირავებული აგენტები არ ყოფილან, იდეით შთაგონებული მებრძოლნი იყვნენ.

დასავლეთის ინტელიგენციის თვალში მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გადააქცია საბჭოთა კავშირი – ქვეყანა ხუთწლედისა – სამოთხედ დედამიწაზე.

ინგლისელი მწერალი არტურ კიოსტლერი, რომელიც 1932-33 წლებში მოგზაურობდა საბჭოთა კავშირში და წერდა მასზე ისეთივე დიდი აღფრთოვანებით, როგორც სხვა დასავლელ მწერალთა, ჟურნალისტთა და ბიზნესმენთა უმრავლესობა, შემდგომში, როდესაც პირუთვნელი ანგარიში გაუსწორა თავის წარსულს, აღნიშნავდა: „თვით ისტორიაც კომუნიზმის მომხრე რომ ყოფილიყო, ასე მარჯვედ ვერ მოახერხებდა დასავლური სამყაროს ყველაზე მძიმე კრიზისის სინქრონიზებას რუსეთის სამრეწველო რევოლუციის პირველ ფაზასთან. კონტრასტი იმდენად ძლიერი იყო, რომ გარდუვალად მიგვიყვანდა ამგვარ დასკვნამდე: ისინი მომავალს ქმნიან, ჩვენ წარსული ვართ“.

კიოსტლერის სიტყვით, დასავლური ეკონომიკის ქაოსს უპირისპირდებოდა საბჭოური გეგმიანობა, მილიონობით დასავლელ უმუშევარს – საბ-

ჭოთა კავშირში უმუშევრობის მოსპობა.

დასავლეთის ინტელიგენციას ოქტომბრის რევოლუცია წარმოესახა ახალი ეპოქის განთიადად, ხოლო დასავლეთში აბობოქრებული 30-იანი წლების კრიზისი მიაჩნდათ დასავლური ცივილიზაციის დაღუპვის ნიშნად. ირწმუნეს, რომ საბჭოთა კავშირი – კაცობრიობის ხვალინდელი ბედნიერი დღეა.

გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ბერნარდ შოუ მოსკოვს ეწვია და გამომშვიდობებისას, სასტუმრო „მეტროპოლის“ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ხვალ ვტოვებ ამ იმედიან ქვეყანას და ვბრუნდები დასავლეთში, სადაც მეფობს უიმედობა“.

საბჭოთა ცხოვრების სიძნელეებს ადარებდნენ მშობიარე ქალის შეტევით ტკივილებს, რომელიც თან სდევდა ახალი სამყაროს დაბადებას თავისი ახალი მსოფლმხედველობით.

1934 წელს, ინგლისელი ლეიბორისტი ჰაროლდ ლასკი წერდა: „კაცობრიობის ისტორიაში ადამიანს არასოდეს მიუღწევია ისეთი სრულყოფილებისათვის, როგორც საბჭოთა რეჟიმის დროს“.

სწორედ დასავლეთში იქმნებოდა საოცარი ლეგენდები სტალინზე. ასე მაგალითად, ერთი თვალსაჩინო ინგლისელი ბიოლოგი გულაჩუყებით ჰყვებოდა, რომ სტალინი ღამღამობით მიდიოდა ხოლმე მოსკოვის სატვირთო ვაგზალზე, რათა შეშველებოდა მტვირთავ მუშებს.

ცნობილი გერმანელი მწერალი ჰენრიხ მანი აღნიშნავდა, რომ სტალინი „სულს“ გაცილებით მაღლა აყენებს, ვიდრე „ძალას“.

ჯოზეფ დევისი, შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში (1936-38 წწ.), სტალინთან საუბრის შემდეგ წერდა: „გრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის უაღრესად ძლიერი პიროვნება, ამავე დროს, თავდაჭერილი და ბრძენი. უსაზღვროდ კეთილი და ალერსიანი თაფლისფერი თვალები აქვს. ბავშვებს მოეწონებოდათ მის კალთაში ჯდომა და ძაღლებიც ნდობით მიუჩოჩდებოდნენ“.

მარქსისტული შეხედულებანი ფართოდ იყო გავრცელებული კემბრიჯის სწავლულთა წრეებშიც. მათი პროსაბჭოთა სიმპათიები, უდავოდ, ზეგავლენას ახდენდა სტუდენტებზე. ბრიტანეთის ეკონომიკა რაც უფრო ღრმად ეფლობოდა „დიდი დეპრესიის“ ჭაობში, მრავალ სწავლულს, თავი რომ ჰქონდა შეფარებული „სპილოს ძვლის კოშკებში“, გულწრფელად სჯეროდა მოსკოვური პროპაგანდისა, რომელიც ირწმუნებოდა, კაპიტალიზმი განწირულია, რადგანაც იქაური მეცნიერება მმართველი კლასის ვიწრო ინტერესებს ემსახურებაო. მისივე მტკიცებით, რევოლუციამ საბჭოთა კავშირში მოსპო კლასები, რათა მეცნიერება სინამდვილეში მომსახურებოდა ახალი და მშვენიერი, თანასწორუფლებიანი საზოგადოებრივი წყობილების მოთხოვნილებებს.

ორლოვი თავის სახელმძღვანელოში შენიშნავს, რომ ამ პერიოდის კლიმატი ძალზე სასიკეთო იყო საბჭოთა დაზვერვისათვის. ახალი თაობა ადვილად ითვისებდა კეთილშობილ იდეას – გაეთავისუფლებინათ მსოფლიო აღზევებული ფაშიზმის ბოროტებისაგან და მოესპოთ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

ორლოვის სიტყვით, ინგლისელ ახალგაზრდებს ეწადათ ცხოვრების მიზნის პოვნა და მათ ეგონათ, რომ ეს მიზანი იპოვეს.

ისინი მალავდნენ თავის საიდუმლოს, რაც ზრდიდა თავგადასავლის დრამატიზმს. ამ ინგლისელებს, ქვეყნის უმაღლეს კლასს რომ ეკუთვნოდნენ, ფრიად ხიბლავდათ ის პარადოქსული გარემოება, რომ როდესაც ისინი დაუზარებლად იღწვოდნენ თავისი კარიერისათვის და სარგებლობდნენ მნიშვნელოვანი პრივილეგიებით, ამავე დროს, ბრიტანეთის კლასობრივი სისტემის ციტადელში იდუმალ ანაყოფიერებდნენ რევოლუციას, რომელიც დაანგრევდა ამ კედლებს.

ორლოვი აღნიშნავს, რომ „საიდუმლო საზოგადოებაში“ შესვლის იდეა ძალზე იზიდავდა ინგლისელ ახალგაზრდებს, რომლებიც ოცნებობდნენ უკეთეს სამყაროზე და მზად იყვნენ გმირული საქმეებისათვის.

„თავიანთი გონებრივი ყაიდითა და შეხედულებებით ისინი ძალიან გვაგონებდნენ გასული საუკუნის ახალგაზრდა რუს დეკაბრისტებს და საბჭოთა დაზვერვის მუშაობაში შემოიტანეს ახალმოქცეულთა ჭეშმარიტი გზნება და რწმენა იდეალებისა, რაც მათ ხელმძღვანელებს უკვე კარგა ხანია დაკარგული ჰქონდათ“, – დაასკვნის ორლოვი.

საბჭოთა დაზვერვა კატეგორიულად მოითხოვდა გადმობირებულ პირთაგან, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი მემარცხენე შეხედულებებით და ახლო კონტაქტები ჰქონდათ ინგლისის კომპარტიასთან, დაუყოვნებლივ აეღოთ ხელი ამგვარი საქმიანობისაგან და ყოველგვარი ორგანიზაციული თუ პირადი კავშირი გაეწყვიტათ კომუნისტებთან, პოლიციის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ რომ იმყოფებოდნენ. ისინი დაარწმუნეს (და სრულიად სამართლიანადაც!), რომ მათი საიდუმლო მუშაობა, რაც გამოიხატებოდა საბჭოთა დაზვერვისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებაში, გაცილებით სერიოზულ სამსახურს გაუწევდა საბჭოთა კავშირს და ფაშიზმთან ბრძოლას, ვიდრე გაზეთ „დეილი უორკერის“ გასავრცელებლად ქუჩა-ქუჩა ხეტიალი ანდა მუშათა მიტინგებზე სოციალიზმის წარმატებათა პროპაგანდა, რასაც სავსებით უანგაროდ და თავგამოდებით აწარმოებდნენ დასავლეთის ინტელიგენციის ის წარმომადგენლებიც კი, რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა კომუნისტებთან.

საბჭოთა დაზვერვაში დაკანონებული პრაქტიკის შედეგი კი ის იყო, რომ „კემბრიჯის ხუთეულის“ ყველაზე სახელგანთქმული წევრი – კიმ ფილბი ომამდელ წლებში რედაქტორობდა პრონაცისტურ ჟურნალს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლონდონში გერმანიის საელჩოსთან. ხოლო უფრო ადრე, ესპანეთის სამოქალაქო ომის წლებში, გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტად მუშაობისას, სიმამაცისათვის დააჯილდოვეს და თვით გენერალმა ფრანკომ საბჭოთა ჯაშუშის მკერდზე ჩამოჰკიდა სამხედრო ჯვრის ორდენი! (დაჯილდოების მიზეზი კი საკმაოდ ტრივიალური იყო: ავტომანქანას ქვემეხის ჭურვი მოხვდა და მგზავრთაგან მხოლოდ კიმ ფილბი გადარჩა ცოცხალი).

ესოდენ უჩვეულო მიმიკრია მავნედ მოქმედებდა კიმ ფილბის ნერვიულ სისტემაზე. მგზნებარე კომუნისტსა და საბჭოთა დაზვერვის სუპერ-აგენტს ძალზე უჭირდა რეპორტაჟების წერა ბურჟუაზიული გაზეთისათვის იმის თაობაზე, თურ როგორ ლაფავდა სულს რესპუბლიკური ესპანეთი...

**თამაზ ნატროშვილი**

(გაგრძელება იქნება)

# სიმღერა — სიცოცხლის თანამგზავრი



ლევან ღლონტის ოჯახი მუსიკალური განათლებისაკენ სწრაფვით იმთავითვე გამოირჩეოდა. ის, ვინც მუსიკის ტრფიალია, ხელოვნებას სხვაც უნდა აზიაროს, — იტყოდა ხშირად. სულიერი კულტურა მის ლამაზ ცხოვრებას მუდამ თან სდევდა. თბილისის ოპერის თეატრში ლევანი მომღერალთა გუნდს ლოტბარობდა და პოპულარობითაც სარგებლობდა.

ლევანის შვილიშვილი — ეკატერინე, ბავშვობიდან მღეროდა. საუცხოო წკრიალა ხმითა და აბსოლუტური სმენით ყურადღებას იპყრობდა. პატარა გოგონა ჩინებულ მუსიკალურ მონაცემებს ამჟღავნებდა.

ეკატერინე ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში მიიღეს, შემდეგ ედუარდ სავიცკის სახელგანთქმული მეორე მუსიკალური სასწავლებელიც დაასრულა. ოცი წელი რადიოკომიტეტისა და ტელევიზიის სოლისტი იყო. ნიჭიერი მომღერლის ჩანაწერები მათ ოქროს ფონდში ინახება.

ეკატერინე ვაჭრობის ინსტიტუშიც სწავლობდა. ეკონომისტი გახლდათ, მაგრამ მის საყვარელ მეორე პროფესიას ეს ხელს არ უშლიდა. კონცერტები ხშირად ვაჭრობის კლუბში იმართებოდა და იგი აქტიურად მონაწილეობდა.

მოხდა კურიოზი. ერთ-ერთი მოქალაქე რადიოს უსმენდა და ეკატერინეს საშემსრულებლო ხელოვნება, სიმღერის კულტურა საოცრად მოეწონა. აღფრთოვანებულმა რადიოკომიტეტში დარეკა და იკითხა, ვინ არის იგი და სად შეიძლება მისი ნახვაო. უპასუხეს, საქონელმცოდნეა და ცენტრალურ უნივერმაღში მიბრძანდით, იქ შეხვდებითო. მე მომღერალს ვეძებ და არა საქონელმცოდნესო. ამ დიაპაზონის ხელოვანს უნივერმაღში რა უნდაო, — ღიმილით უთქვამს დაინტერესებულ პიროვნებას. მაგრამ ეკატერინეთი მოჯადოებული მაინც წავიდა და შეხვდა საქონელმცოდნესა და მომღერალს.

კინოდოკუმენტალისტმა, რეჟისორმა შალვა ხომერიკმა დიდებულ ხელოვანს კინონარკვევი მიუძღვნა. სახელგანთქმული კონცერტმეისტერი ევგენია აგაბეგოვა ყოველთვის ამშვენებდა ეკატერინეს.

ქალბატონი ეკატერინე მესაუბრება: — ჩემი სიცოცხლის თანამგზავრი სიმღერაა — ოპერა, ოპერეტა, მიყვარს მსუბუქი მუსიკაც. ხელოვნება ჩემი მეორე ცხოვრებაა და არა მხოლოდ პროფესია. მაყურებელი, მსმენელი აუწონელი სიმდიდრეა, რომელსაც მსახიობისათვის სიხარული და ბედნიერება მოაქვს.

დიდ დროს საყვარელ მომღერლის პროფესიას ვანდომებდი. ხშირად ვხვდებოდი მაყურებელს, მსმენელს და განა მარტო რადიოთი და კონცერტებზე გამოსვლისას, სადაც ყოველთვის ვცდილობდი, დიდი და საინტერესო რეპერტუარი მქონოდა: ვმღეროდი მ. გლინკას, მ. ბალანჩივაძის რომანსებს, ქეთოს არიას ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტედან", ტოსკას არიას ჯ. პუჩინის ოპერიდან. ვალსს გუნოს „ფაუსტიდან", რევაზ ლაღიძის „სიმღერა სამშობლოზე". ჩემს საშემსრულებლო რეპერტუარში თანამედროვე ქართული კომპოზიტორების ლირიულ სიმღერებს დიდი ადგილი ეჭირა.

როგორც საქონელმცოდნე, ცენტრალურ უნივერმაღში დამსახურებული ავტორიტეტით ვსარგებლობდი. პასუხისმგებლობით ვმუშაობდი. ჩემი მოვალეობა კარგად ვიცოდი. ყოველთვის პატივისცემით მეპყრობოდნენ. მაგრამ წლებმა თავისი წაიღო.

ამჟამად ძირითადად ოჯახით ვიფარგლები. ქალიშვილს ერნასა და შვილიშვილებს ბედნიერებით შევცქერი, რადგან ჭეშმარიტად ვგრძნობ, ხელოვნების ცეცხლი ჩვენს მოდგმაში კი არ ჩაქრა, პირიქით, მძლავრად გაღვივდა, გიზგიზებს, რაც სულსა და გულს უზომოდ ახარებს.

ერნა წიფურიამ ოჯახის მუსიკალური ტრადიცია განაგრძო და გააღრმავა. კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი (პედაგოგები ემა ფაინშტეინი და ნანა დიმიტრიადი) წითელ დიპლომზე დაასრულა. ვახტანგ ფალიაშვილთან სადირიჟოროზე სწავლობდა, ვახტანგ ფალიაშვილმა ერნა დაახელოვნა, უნარიანი სტუდენტისადმი თავისი გამოცდილება არ დაიშურა. ხალასმა ნიჭმა თავისი გზა ჰპოვა. იგი შესანიშნავ საკომპოზიციო ნაწარმოებებს

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქმნიდა, თუმცა მას ეს სკოლა არ ჰქონდა გავლილი. მეუღლემ დათო ჩიხლაძემ ერნასთან ერთად კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა. მათი ქალიშვილი ნინო კულტურის ინსტიტუტს ასრულებს, ვაჟიშვილი ბექა დიდებული მოცეკვავე და რეგბისტია.

ქალაქში აფიშები გამოაკრეს. 1997 წლის 13 დეკემბერს დანიის და მოსკოვის ფესტივალის შემდეგ ევროპა-97 სერთიფიკატის მფლობელი საბავშვო ვოკალური ანსამბლი „გვირილა" გეპატიჟებათ თავისი აუდიო-კასეტის პრეზენტაციაზე და შოუ სანახაობაზე.

— მონაწილეობენ თათია ბააკაშვილი, დიმიტრი ქისიშვილი, მაიკო და თეონა ბუჩუკურები, შორენა ბადრიძე, სოფიკო წიწილაშვილი, პატარა გვირილები — ნინო სულხანიშვილი, თამუნა უკლება, თიკო ჯაყელი, თამუნა კვეტენაძე. ორგანიზატორი — ჩუღურეთის რაიონის ახალგაზრდული ცენტრი თავმჯდომარე ციცინო გოგოტიშვილი.

ვოკალური სტუდია „გვირილა" ჩუღურეთის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან სამი წელია არსებობს. ერნა წიფურია სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელია. რადიოსა და ტელევიზიის მომღერალი ქალბატონი ეკატერინე ღლონტი „გვირილას" რეპერტუარს კურირებს, ვოკალს კონსულტაციას უწევს. ახალგაზრდა ნიჭიერი პედაგოგი ნინო ჩიხლაძე დედის — ერნას გვერდით დგას, ანსამბლ „გვირილას" მთელი კონცერტი მას მიჰყავს და იმართება მათი დიდი შემოქმედების ჭეშმარიტი აღიარების საღამოები. ერნა წიფურიას დამსახურებაა, რომ თავისი ოჯახის წევრების დახმარებით სახელგანთქმული ვოკალური სტუდია „გვირილა" შექმნა.

ანსამბლს რეპერტუარში სულხან ცინცაძის, რევაზ ლაღიძის, არჩილ კერესელიძის, ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებებია.

„გვირილა" პირველი საბავშვო ვოკალური ანსამბლი იყო საქართველოდან, რომელიც სკანდინავიის ქვეყნების ფესტივალზე დანიაში შარშან ივნისში მიიწვიეს. ფესტივალის ორგანიზატორები დანიის განათლების სამინისტრო და ფირმა „დი ჯი პი" იყვნენ. მათ ანსამბლს ლაურეატის წოდება მიანიჭეს და ევროპის სერთიფიკატით დააჯილდოვეს.

ნინო ჩიხლაძემ, როგორც ყველაზე ახალგაზრდა და მდიდარი ფანტაზიის პედაგოგმა, დანიის მუსიკალური ფესტივალის ლაურეატის წოდება მოიპოვა და შარშან დანიის ქალაქ ელცინოს ახალგაზრდა პედაგოგების და ხელოვნების კოლეჯიდან მიწვევაც მიიღო.

„გვირილა" ქალაქ მოსკოვის ნორჩი ტალანტების გალა კონცერტზე მონაწილეობდა, რომელიც მოსკოვის 850 წლისთავს მიეძღვნა.

ქალბატონი ეკატერინე და ერნა რეპერტუარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეკატერინე ამბობს: — ბავშვებთან მუშაობაში ჩემი ახალგაზრდობა გრძელდება. ერნას რეპერტუარის შერჩევაში ვეხმარები. საბავშვო ანსამბლის წევრები მეტწილად კლასიკურ ნიმუშებს მღერიან და ამდენად დიდ პასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე.

„ქეთო და კოტეს" მოტივზე ეკატერინეს კონსულტაციით პოპური გაკეთდა. ქეთოს როლში სოფიკო წიწილაშვილია, კოტე — დიმიტრი ციციშვილი.

ანსამბლი ასრულებს რევაზ ლაღიძის ვალსს „შენ დაგეძებ", გუგული თორაძის „თბილისის ღამეს", სულხან ცინცაძის სიმღერებს კინო-ფილმ „აბეზარადან" — „წეროებს", „თბილისის დილას", არჩილ კერესელიძის „ყელსაბამს", მარიკა ბარათაშვილის ლექსს „საპოვნელაზე" შექმნილ მუსიკას, აგრეთვე „მენახშირეს".

შარშან სექტემბრიდან ანსამბლმა ნათია ასათიანი კონცერტმეისტერად აიყვანა. ერნა მომითხრობს: მე, შვიდი წლის ბავშვი, 10-12 წლის გოგონას ვგავდი. დედა ხომ ხელოვნების ტრფიალი იყო და მეც დაუსრულებლად ოპერის თეატრში დავყავდი, შეიძლება ითქვას, იქ გავიზარდე. თითქმის ყველა დადგმული ოპერა ზეპირად ვიცოდი. საოცრად მიყვარდა მარჯანიშვილის თეატრი. აკაკი კვანტალიანი, ვასო გოძიაშვილი ჩემი ოცნების მსახიობები იყვნენ. ასევე გრიბოედოვის თეატრის ხშირი სტუმარი გახლდით.

თავდაპირველად დიდი სურვილი მქონდა დედის კვალს გავყოლოდი. მომღერლობა ძლიერ მეწადა, მაგრამ ყელის ავადმყოფობამ ხელი დამრია და გადავიფიქრე. მუსიკალურ განათლებას უპირველესად მესამე სამუსიკო სკოლაში ვეზიარე. მიყვარდა ჭავჭავაძის ქუჩაზე ერთსართულიანი, ლამაზი, ცისფერი შენობა. სიხარულით ავირბენდი აღმართს და მოკრძალებით კარებს შევაღებდი, სადაც ღიმილითა და სიყვარულით მეგებებოდნენ. ეს ჩემთვის აუწერელი ბედნიერება იყო, ჩემი მომავლის დასაწყისი.

...ტელევიზორი ჩართეს. ქალბატონი ეკატერინეს კონცერტები ფირზეა ჩაწერილი და ოჯახის განძია. სულგანაბული ვუსმენთ. თავდავიწყებით, ხელოვანის მაღალი ოსტატობით მღერის დიდებული ხმისა და გარეგნობის მანდილოსანი. გუშინდელმა დღემ გაბედულად შემოანათა მათ ჩინებულ სამყაროში.

ახლა ყოველი ხვალინდელი დღე ერნა წიფურიას თვალსაწიერით „გვირილას" შემდგომი ნაბიჯია, გაბედულად გადადგმული და სიახლის მაუწყებელი. გზა გრძელია და სვებედნიერი.

დალოცვილი გველოთ!

**ეთერ ჯაფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი სამსონაძემ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა 1980 წელს. მისი „ფიროსმანი“ შეფასდა, როგორც ერთ-ერთი საინტერესო ნოვატორული, ახალი ფორმების ძიებითა და შესრულების მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული სადიპლომო ნამუშევარი.

ხუთი წელი სწავლობდა ბადრი საკავშირო სამხატვრო აკადემიის შემოქმედებით სახელოსნოში, რომელსაც ზურაბ წერეთელი ხელმძღვანელობდა. დაამთავრა 1985 წელს, მონუმენტალური ხელოვნების მხატვრის წოდებით. მას შემდეგ იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონუმენტური ხელოვნების კათედრაზე. არის დოცენტი და მთელ თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს.

ბადრი სამსონაძის ფერწერული ტილოები ხშირად გამოუფენიათ ჩვენს რესპუბლიკაში და საზღვარგარეთაც. მისი ნამუშევრები ყოველთვის ყურადღებას იქცევენ, ზოგი მათგანი კი ინახება კერძო კოლექციებში — გერმანიაში, საფრანგეთში, კვიპროსზე და სხვაგან.

შესრულებული აქვს რამდენიმე დიდი ობიექტის ინტერიერებისა და ექსტერიერების მოხატულობა. საინტერესოა, როგორც კინომხატვარი: მის მიერ მხატვრულად გაფორმებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმებმა წარმატებით მოიარა უცხოეთის მრავალი ქვეყნის კინოეკრანები.

ბადრი სამსონაძემ თავისი სიტყვა თქვა მხატვრობაში. წინ დიდი შემოქმედებითი გზა ელის, ვუსურვებთ ნაყოფიერ მომავალს, რომ ნიჭიერმა მხატვარმა მთელი სიძლიერით გამოამჟღავნოს თავისი შესაძლებლობანი.





ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეა კანდელაკი

## არ მინდა ვიყო მარტოობაში

მე დაბადება არ მითხოვია,
თავად ღმერთია ამის მოწამე,
და თუ განგებამ ასე ინება,
გზას ნუ მომიჭრით სიკეთის მყოფელს.

სულს არ მიშფოთებს ქვეყნად არავინ,
თვალთმაქცობის და ღალატის გარდა...
არ მინდა ვიყო მარტოობაში,
ვით განდევნილი ღმერთისგან მარად,

არ მიყვარს სული დატყვევებული –
გაფიქრებაც კი ამისი მზარავს.
და თუ მომართვით სიცოცხლის თასი,
მინდა ბოლომდე მეც რომ დავცალო,

და რომ გავიგო ამ ქვეყნის ფასი,
სულ ცოტა ხანიც უნდა მაცალოთ!
დე, ჩემს საწადელს მეც ვეზიარო,
მაშ, დასალოცად თასიც მომართვით.

...იალქანს სიოც ააფრიალებს,
თუ შეცურდება ზღვაში ხომალდი!

## საქართველოს სული მიწას გართხმულია?..

ჩამორეკა, ჩამორეკა ცისკრის ზარმა
ისე, თითქოს თავს დაატყდა აგონია.
გაუფრთხილდით ამ პატარა საქართველოს –
ეს განძი ხომ წინაპარათა ნაქონია.

ნუ გგონიათ მოიპოვოთ სხაგან კუთხე
საქართველო ხომ თვით ღმერთის წალკოტია.
ვერ შევიშნეთ, ავაოხრეთ ეს წალკოტიც...
ახლა, თითქოს ყვავებისგან ნაკორტნია.

დაიცალა ცა, ცრემლებად წვიმად მდენი
საქართველოს სული მიწას გართხმულია...
დავიწყებას მისცემია ძველი ყველა
დედის ნანა და რაც რამე ქართულია?!

ჩამორეკა, ჩამორეკა ცისკრის ზარმა,
ისე, თითქოს თავს დაატყდა აგონია,
გაუფრთხილდით ამ პატარა საქართველოს –
ეს განძი ხომ წინაპართა ნაქონია.

## XXX

უფალო ღმერთო, რაღაცა მტანჯავს,
რაღაც მაწუხებს ყველაზე ძლიერ.
საჭმელ-სასმელი? – არ მაკლია შენი წყალობით.
არც სიმდიდრე და თაყვანისცემა არ მაქვს ურიგო.
მაგრამ სულ სხვაა ის ტკივილი, რაც ასე მტანჯავს,
მაგრამ სულ სხვაა ის განცდები, რასაც განვიცდი.
რაც გვსურს იმ წუთს შევისრულებთ გიჟურ წადილით,
კაცსაც კი მოვკლავთ, ოღონდ ჩვენი „მე“ იყოს კარგად,
ასე გაივლის დრო და ჟამი, ეს საუკუნეც
და გვავიწყდება, რომ ყველას გზა შენს კართან მოვა.

## XXX

შიგადაშიგ გავიხსენებ მე ძველ რითმებს,
პირველ სტროფებს წაგიკითხავთ, პირველ ფიქრებს...
როს პირველად ვეზიარე პოეზიის ფრთიან რითმებს,
გავიხსენებ იმ სტრიქონის დაბადებას
და ეს წუთი წარსულისკენ გადამითრევს.

## არ დაიცალო ფოთლები

ჩემო პატარა ყვავილო,
ჩემო გვირილავ ლამაზო,
თუ მართლა გულით გიყვარვარ,
მარტოობას რად მთავაზობ.

ჩემო პატარა ალერსო,
როცა იარა იარობს,
უშენოდ როგორ ვიქნები?
ფიქრი ვის გავუზიარო?

ჩემი შენდამი ალერსი,
სულ ასე სანატრელია...
გულისთქმა რითი გადმოგცე –
სიტყვა არაფრის მთქმელია.

რად გინდა მისი სიმდიდრე,
მისი ფარჩა და ხავერდი,
თუ ეს ალერსი არ იქნა,
როგორღა გავიხარებდით.

არ დაიცალო ფოთლები
ჩემი გრძნობების სამხელად...

## ჭაშნიკი

ჩემო პატარა ალერსო,
ამას რად უნდა გამხელა.

არ დაიცალო ფოთლები,
სული ხომ გეტკინებაო,
იქნებ ფოთლებმა არა თქვან,
თვალს ცრემლი გედინებაო.

თუ არ ენდობი გულისთქმას,
ენაც ეშმაკმა დალახვროს.
მაშინ თვალებში ჩამხედე –
იქნებ სათქმელი განახო...

ჩემო პატარა ალერსო,
ჩემო პატარა სანატრო,
ასე ძლიერ რომ მიყვარხარ,
სხვასთან მიდიხარ რაღატომ?

## ჩემს ნათლულს

### ნინიკოს

ჩემთვის პირველი და
ყველაზე საყვარელი
გოგო დაიბადა,
შვლის ნუკრის სადარელი...

ოქროსფერ დალალებს
უწეწავს ნიავი,
ქალი დაიბადა
ღვთისგან მადლიანი...

მისი თითები –
თვით თოვლზე თეთრია,
თითქოს ანგელოზის
პატარა ფრთებია.

შეავსეთ ფიალა!
დაცალეთ ყანწები!
მე ვერ გამიგია,
რაზე ხართ ნაწყენნი?!

სიცოცხლე დაიბადა,
სიცოცხლე სანატრელი,
გოგო დაიბადა –
შვლის ნუკრის სადარელი.



# ქალი სიყვარული,

**გოჩა დანელია**

ძველ ეგვიპტეში მეცნიერება მმართველი ზედა ფენის პრივილეგია იყო და მხოლოდ მეფური სისხლის მქონე ადამიანებს შეეძლოთ მასთან შეჭიდება, შემდგომში კი, აკადემიური ელიტის პრივილეგია გახდა. დღეს მეცნიერება მაგნიტივით იზიდავს ნიჭიერ ახალგაზრდობას და ყველასათვის მისაწვდომ პროფესიად იქცა. თუმცა არც ისე ადვილია ნამდვილ მეცნიერად ჩამოყალიბება. ალექსანდრიის მუზეიონში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული სამეცნიერო ცენტრი) მოღვაწე თეფრასტე (არისტოტელეს მოწაფე) თავის მოწაფეებს თურმე ასე მიმართავდა: „ან მეცნიერებაზე საერთოდ აიღეთ ხელი, რადგან იგი უზარმაზარ მუშაობას მოითხოვს, ანდა მთლიანად მის სამსახურს მიუძღვენით თავი და მაშინ დიდ სახელს მოიხვეჭთ“. ეტყობა, ამ სირთულის გამო ტრადიციულად მეცნიერებაში ცოტაა ქალი. ამასთან თვლიდნენ, რომ სიყვარული თრგუნავს მკვლევარის გონებას და ფსიქიკას. როგორც ჩანს, ადამიანებზე არაცნობიერ გავლენას ახდენდა ძველი პრინციპი: ქალს უყვარს მამაკაცი, მამაკაცს კი — ღმერთი ან საქმე. გავრცელებული იყო ასეთი გამოთქმაც: „ქალი სპობს შემოქმედებას“. ვისაც ეს სწამს, უხეშ არგუმენტად მართლაც შეიძლება გამოადგეს მეცნიერების სცენიდან ზოგიერთი სურათი.

მეცნიერებაში ქალებს დიდხანს არ უშვებდნენ. რუსეთში მედიცინის დები უფრო ადრე გამოჩნდნენ ბრძოლის ველზე, ვიდრე ქალები უნივერსიტეტში. ქალთა უმაღლესი განათლების მოწინააღმდეგე ბევრი იყო, რუსეთში არ არსებობდა ქალთა უმაღლესი სასწავლებლები. ხოლო მამაკაცებთან ერთად მათ სწავლა ეკრძალებოდათ. (პირველი თავისუფალი მსმენელი „სტუდენტი ქალები“ ლექციების მოსასმენად დაუშვეს პეტერბურგში 1861 წლიდან). რუსი ქალიშვილები ფიქტიური ქორწინებით მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ განათლების მისაღებად. ცნობილმა მათემატიკოსმა სოფიო კოვალევსკაიამ ასე შესძლო გერმანიაში გამგზავრება და იქ მიიღო განათლება (მისი ფიქტიური მეუღლე შემდგომში კანონიერად იქცა). ჭირდა განათლების გამოყენებაც. იყო დრო, როცა ბევრს აინტერესებდა — შეუძლია თუ არა ქალს იყოს ექიმი. 1867 წელს დიდი ფიზიოლოგის ი. სეჩენოვის მხურვალე მხარდაჭერა დასჭირდა პირველ რუს ექიმ ქალს ნ. სუსლოვას (დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი), რომ მიღებული ცოდნა მოეხმარა თავისი ხალხისათვის. გიორგი წერეთლის მხარდაჭერით ქართველმა ქალებმა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიწყეს უმაღლესი განათლების მიღება.

მეცნიერი ქალები კი მე-20 საუკუნეში გამოჩნდნენ.

არც სხვა ქვეყნებში იყვნენ ისინი დიდ პატივში. მ. კიური პირველი ქალი იყო, რომელსაც 1903 წელს ნება დართეს, დასწრებოდა ინგლისის სამეფო საზოგადოების სხდომას. საფრანგეთის უნივერსიტეტების სასწავლო დისციპლინებში ვაჟებისა და ქალების პროგრამები განსხვავდებოდა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე. დღეს სხვა სურათია, თუმცა მკვლევართა არმიაში მაინც კაცები ჭარბობენ (ზოგან მედიცინის ჩამორჩენის მიზეზად ქალების დიდ რაოდენობას ასახელებენ).

დღეს ქალთა უმეტესობას არ ძალუძს თანაბრად ეკუთვნოდნენ ოჯახსაც და შემოქმედებით შრომასაც.

მკვლევარ ქალთა უმეტესობა მეუღლეებად მეცნიერებს ირჩევს. ამ შემთხვევაში ტალანტი ცოლ-ქმარს შორის თანაბრობას არ არღვევს. ამ მიდგომით განსაკუთრებით ზუსტ მეცნიერებებში მოღვაწე ქალები გამოირჩეოდნენ (კოვალევსკაია, კიური, კოტონი და სხვები). ხოლო მკვლევართა იმ ცოლებმა, რომლებმაც მეცნიერებას არ დაუკავშირეს თავიანთი პროფესია, უნდა ჩათვალონ, რომ „ისინი მეზღვაურთა ცოლები არიან და კმაყოფილნი დარჩნენ იმით, რომ ინსტიტუტი ერთადერთი ნავსადგურია, სადაც ისინი ჩერდებიან“. ასეთი ქალები ცხოვრობენ და კვდებიან იმ ღირსებისათვის, რასაც მათი მეუღლეები ემსახურებიან. ესაა მათი დანიშნულება. საოცარია და თანაც კურიოზული, რომ მკვლევართა ცოლებზე მეცნიერების განვითარება დიდადაა დამოკიდებული. ეს განსაუთრებით შეინიშნება მაშინ, როცა ქვეყანაში იხსნება ახალი სამეცნიერო ცენტრი, თანაც პერიფერიაში. ასეთ ცენტრებში რომ მრავალი მკვლევარი არ მიემგზავრება, ამის უპირველესი მიზეზი მათი მეუღლეებიცაა. მათ არ სურთ დედაქალაქის დატოვება. ამიტომ იყო თავის დროზე მთელი საფრანგეთის მეცნიერება პარიზის ჩარჩოებში მოქცეული. რომელი პატივმოყვარე ქალი მიატოვებდა პარიზს?

მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი არ სცნობს რეგლამენტს და მთლიანად მოითხოვს ადამიანს. მიუხედავად აღნიშნულისა, მეცნიერების ისტორიაში ბრწყინავდნენ ისეთი ქალები, როგორებიც იყვნენ ე. ჰიოტერი (ალგებრა), ე. მაიტნერი, მ. გეპარ-მაიერი, მ. კიური, ე. კოტონი, ი. ჟოლიო-კიური, ი. ლემანი (აღმოაჩინა დედამიწის შიგა ბირთვი), ე. ნეტერი, რ. ფრანკლინი, დ. ხოდჟკინი და სხვები. ნობელის პრემიის ლაურეატებში ოცზე მეტი ქალია, მათ შორის მ. კიურიმ ორჯერ მოიპოვა ეს ჯილდო (მრავალ ქვეყანაში მეცნიერებს აჯილდოვებენ სამახსოვრო მედლებით, რომლებზეც ქალების ფიგურები გამოსახავენ სამშობლოსა და ჭეშმარიტებას).

# ქალი — სტიმული...

მეცნიერია ის, ვინც მეცნიერულ კვლევას ეწევა. მაგრამ ეს არაა საკმარისი. მეცნიერთა რიცხვი ბევრად ნაკლებია მეცნიერ მუშაკთა რიცხვზე. მათზე შესანიშნავად ილაპარაკა ასელ ტეორელმა ნობელის პრემიის მიღების დროს: „ერთხელ შვეციაში სამეცადინოდ გამოიყენეს ჯარისკაცების ოცეული. ამ მინდორში, რომელიღაც დიდ ქალბატონს თავისი ძვირფასი ბეჭედი დაუკარგავს. ჯარისკაცები ჩააყენეს მწკრივში და დაიწყეს მინდვრის გაცხრილვა. ბოლო ერთმა ჯარისკაცმა იპოვა ბეჭედი, მაგრამ ძებნაში სხვებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბეჭდის პოვნა. ასეა მეცნიერებაშიც. ყველაზე შეუმჩნეველი და თავმდაბალი მკლევარის ფასი ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის არაფერს აღმოაჩენს, მისი შრომა აუცილებელია". შესანიშნავი სიტყვებია.

ქალი მრავალი შემოქმედებითი აღმაფრენის საწინდარია, მაგრამ ბევრისათვის არ იყო გამორიცხული ასეთი მომენტიც: „რა ხშირად, ქალი, რომელიც სულს ჩაგვბერავს დიდ საქმეებზე, ხელს გვიშლის მათ შესრულებაში" (ა. დიუმა — შვილი). ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ქალს გაურბოდა. ა. ჰუმბოლტი ცოლის შერთვას ცოდვად თვლიდა, შვილის გაჩენას დანაშაულად. ბევრთან კი სხვაგვარადაა საქმე. ს. არენიუსმა, მაგალითად, ორჯერ იქორწინა. პროფ. ა. პონომარიოვის მოგონებით ირკვევა, რომ ი. პავლოვი ტალანტის, შრომისმოყვარეობის, გონების კონცენტრირების უნარის სრულად გამომჟღავნების სტიმულად თვლიდა სიყვარულს. ი. სეჩენოვის ოჯახის მაგალითზე (სეჩენოვისა და მისი მეუღლის მ. ბოკოვას სიყვარული აღწერა ნ. ჩერნიშევსკიმ რომანში „რა ვაკეთოთ?"). ოჯახს ძალზე აფასებდა მენდელეევი, მაგრამ ცოლშვილიანმა სხვა ქალი შეიყვარა, გაეკიდა იტალიაში და მეორედ იქორწინა. ეილერს ცამეტი შვილი ჰყავდა, რაც ხელს არ უშლიდა მის უდიდეს მეცნიერულ ნაყოფიერებას. ს. ბერცელიუსი 56 წლისა დაქორწინდა 25 წლის ქალზე. სიყვარულით შეირთეს ცოლი ბერთოლემ, ზინინმა, კეკულემ, ფიშერმა, ჟოლიომ და მრავალმა სხვამ. მრავალი მკვლევარი ქალს არ სცნობდა საერთოდ. მათ რიგებს „ამშვენებდნენ" უ. ჰილბერტი, ა. ნობელი, რ. ბუნზენი, ნევისაიდი. დაოჯახებას გაურბოდა თეინმანი. ეს მაშინ, როცა ცოლი ზოგჯერ აღმოჩენის თანაავტორიც კია. ბოლონიელები დღესაც სიამაყით იხსენებენ, რომ გალვანის ცდებში ბაყაყის თათების თრთოლვა პირველად მისმა ცოლმა შეამჩნია. როგორც ირკვევა, მკვლევართა უმრავლესობა ქალში ფიზიკურ სილამაზეს აფასებს და არა იმდენად გონებრივს (ამ კოჰორტაში შეიძლება ჩავრიცხოთ ლანდაუ, ფეინმანი), თუმცა ყველამ კარგად იცოდა მოარული გამოთქმა: „ქალი თუ ლამაზია, ერთგული არაა, თუ ერთგულია, — ლამაზი არაა". ხშირად ქალი სრულიად შემთხვევით იქცეოდა აღმოჩენის მიზეზად. ბევრს სმენია, რომ კეპლერი ითვლება ინტეგრალური აღრიცხვის ერთ-ერთ ფუძემდებელად. ეს ამბავი კი ასე უბრალოდ დაიწყო. იგი 40 წლის დაქვრივდა. ორი წლის შემდეგ კი მეორე ცოლი შეირთო. მოსალოდნელ საცოლეთა გადანახულობის დროს 11 ქალიდან მან აირჩია ღვინის მარნის პატრონის შვილი. ამიტომ, ცხადია, იგი ბევრჯერ შეიქმნა მომსწრე, თუ როგორც არკვევდნენ პრაქტიკულად ღვინის კასრების მოცულობას დიდი ცდომილებით. კეპლერი დაინტერესდა ამ საკითხით და შედეგად გამოაქვეყნა ნაშრომი — „ღვინის კასრების ახალი სტერეომეტრია". სწორედ ამ ნაშრომმა გახადა იგი ინტეგრალური აღრიცხვის ფუძემდებლად. მეორე მაგალითი: ცნობილ მეცნიერს ჰამილტონს დიდხანს მოსვენებას არ აძლევდა ამოცანა ტრიპლეტებზე. მის წარუმატებლობას მთელი ოჯახი განიცდიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საუზმეზე გამოცხადებისას რომელიმე ვაჟიშვილი ხუმრობით ეკითხებოდა — როგორაა, მამა, საქმე? უკვე შეგიძილა გადაამრავლო ტრიპლეტები? ერთხელ, როცა ჰამილტონი ცოლთან ერთად დუბლინში არხის გასწვრივ სეირნობდა, ის უეცრად ჩასწვდა ტრიპლეტების გადამრავლების პრინციპს. წარმატებით გახარებულმა ჰამილტონმა ფანქრის სათლელი დანით პირდაპირ ბრუემის ხიდზე ამოჭრა ამოცანის გასაღები ფორმულა. მადლიერი შთამომავლობა ახლაც ინახავს ამ ნაკაწრს.

როგორც სატურნს აქვს დამცავი რგოლები, ისე მეცნიერებს — ცოლები. მომავლის ჩრდილში არ უჩინარდება მათი უმრავლესობის სახელები. ერთ რომაელ პოეტს უთქვამს: ვიდრე სრულ ჭკუაზე ვარ, არავის შევადარებ ჩემს სატრფოსო. ზოგჯერ შედარება არათუ უადგილოა, არამედ შემბღალავიც. მეცნიერთა ცოლები მართლაც შეუდარებელნი არიან, მაგრამ არც მამაკაცები ჩამორჩებიან მათ. როცა ა. კეკულეს მეღლე მშობიარობას გადაჰყვა, იგი ლაბორატორიაში ჩაიკეტა და მუშაობით იქარვებდა დარდს. ბერთოლე ბედნიერი იყო თავისი ოცნების ქალით. ბედნიერებას წარმატებები მოჰქონდა მისთვის. ცოლის გარდაცვალების დღე კი მისთვისაც უკანასკნელი აღმოჩნდა. ცოლების უმეტესობა პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდა მეცნიერ მეუღლეებს, თუმცა მათი გაგება არც ისე ადვილი იყო. „მე არასოდეს არ ვფიქრობდი, თუ რა ძვირფასი ვიყავი მისთვის. ახლა ვხედავ და მიხარია", — წერდა მეგობარს ა. აინშტაინის ავადმყოფი მეუღლე.

ჭეშმარიტად, თვითშეწირვა დიდი ბედნიერებაა, დიდსულოვნება კი მისი ნატურის, მისი მოთხოვნილების განუყოფელი შტრიხი.

ამჟამად საზღვარი ცენტრსა და პერიფერიებს შორის თანდათან იშლება. ეს მოწინავე ქვეყნების მაგალითზე კარგად ჩანს.

ნებისმიერი ეპოქა გამოირჩევა ხალხისადმი უანგარო სამსახურის, მაღალი იდეალებისადმი თავდადების მაგალითებით, რომელსაც უპრეტენზიოდ, მოკრძალებით, მაგრამ ღრმად შეგნებით ასრულებენ მკვლევარი ქალები. ამიტომ სდევს თან ნებისმიერის სახელს დიდი ავტორიტეტი. ბედნიერია ერი, თავის გამოჩენილ შვილთა ფასი რომ იცის. ქართველი ხალხისათვის ფასდაუდებელია ჩვენი მეცნიერი ქალბატონების ეთერ ქემერტელიძის, ნინო ჯავახიშვილის, მარიამ ლორთქიფანიძის, ქეთევან ლომთათიძისა და სხვათა ღვაწლი.

# [illegible] ჩაიშალა

**მასალები „სუკის არქივიდან"**

■ 1960 წლის 14 დეკემბერს საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა დააპატიმრა შოთა მექვაბიშვილი, ალბერტ მელაძე, აბრამ (აბრეკ) ბათოშვილი, 1961 წლის 4 თებერვალს კი აკაკი მდინარაძე.

ვინ იყვნენ ისინი, რა დანაშაული ჩაიდინეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე?

შოთა მექვაბიშვილი, დაბადებული 1928 წელს, თბილისში, საშუალო განათლებით, ცოლ-შვილიანი, მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად სოლოკოლამსკში გადასახლებული ექვსი წლით. მოიხადა სასჯელი.

აბრამ ბათოშვილი, დაბადებული 1919 წელს ახალციხეში, ცხრა კლასის განათლებით, ცოლ-შვილიანი, მცხოვრები თბილისში, უმუშევარი. ომის დროს, 1941 წელს ჩავარდა ტყვედ. იმყოფებოდა ქართულ ლეგიონში ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე. აჯანყების ინიციატორთა გაცემისათვის კიევის სამხედრო ტრიბუნალის მიერ (1948) მსჯავრდადებული 25 წლით პატიმრობაში, ჩხუბის დროს კაცი შემოაკვდა, რის გამოც კვლავ გაასამართლეს და სასჯელს კიდევ 10 წელი დაუმატეს. რეაბილიტირებულია ჯერ 1956, შემდეგ 1960 წელს.

ალბერტ მელაძე, დაბადებული 1926 წელს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მცხოვრები თბილისში. მშობლები 1937 წელს რეპრესირებულნი. თვითონაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 58-ე მუხლებით მსჯავრდადებული 25 წლით. რეაბილიტირებულია 1956 წელს. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის გამგედ.

აკაკი მდინარაძე, დაბადებული 1940 წელს სოფელ ვაკიჯვარში (ყოფილი მახარაძის რაიონი) მცხოვრები თბილისში, ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის სკულპტურული განყოფილების სტუდენტი.

მექვაბიშვილი, მელაძე და ბათოშვილი ოჯახებით ხელისუფლებისა და სისტემისადმი ადრეც აშკარად მტრულად იყვნენ განწყობილნი. ამას დაემატა ხალხის ის აღშფოთება, რაც 1956 წლის მარტის ტრაგედიამ გამოიწვია. წრე შეიკრა.

1960 წლის ივნისში მექვაბიშვილი ხვდება მელაძეს, რომელსაც იცნობდა. ლაპარაკი ჩამოაგდო ქართველი ხალხის სწორედ ამ ტრაგედიაზე. მიუთითა, რომ იგი განხორციელდა ხელისუფლების პირველი პირის ბრძანებით. დაიღუპა მრავალი ახალგაზრდა და მათი მშობლები ტრაგედიის ორგანიზატორს ამ საქმეს არ აპატიებენ. ისინი, ალბათ რაღაცას მოიფიქრებენ, კერძოდ, მაშინ, როცა „ის — პირველი პირი", იქ გასაბჭოების 40 წლისთავისათვის ე. წ. საზეიმო ცერემონიალებში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვა. საკითხი შეეხო ტერორისტულ აქტსაც. და აქ ორივე ერთი აზრის აღმოჩნდნენ. მისი წარმატებით ჩატარების შემთხვევაში, ვარაუდობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს შინაგანი და საგარეო პოლიტიკის შეცვლას. გადაწყდა სხვა სანდო პირების მოძებნაც.

ამ მიზნით მელაძე დაუკავშირდა თავის ახლო ამხანაგს ბათოშვილს, რომელსაც გადასახლების პერიოდში შრომაგასწორებით ბანაკში სასჯელის მოხდის პერიოდიდან იცნობდა. გაუზიარა მას თავისი აზრი და ისიც მაშინვე დაეთანხმა.

მექვაბიშვილი, მელაძე და ბათოშვილი სისტემატიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს ხან ოჯახებში, ხან მელაძესთან სამსახურში, მსჯელობდნენ ტერორისტული აქტის ხასიათზე, მის ცალკეულ ვარიანტებზე, კერძოდ, იმის შესახებ, თუ სად უკეთესი იქნებოდა მისი განხორციელება — რუსთაველის პროსპექტზე საზეიმო მსვლელობის, ოპერის თეატრში თუ სპორტის სასახლეში მოწყობილი შეხვედრების დროს.

აირჩიეს პირველი ვარიანტი — რუსთაველის პროსპექტზე გავლის პერიოდი. მხედველობიდან არ გამორჩენიათ მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიძნელეებიც.

გადაწყდა, ტერორი განხორციელდეს ყვავილების თაიგულის გადაცემით. თაიგულში ასაფეთქებელი მოწყობილობის დამონტაჟება თავის მხრივ დაკავშირებული იყო შესაბამისი ბომბის დამზადებასთან. ეს კი მისთვის საჭირო კორპუსის დამზადებასა და ასაფეთქებელი ნივთიერების შეძენას მოითხოვდა. ამაზეც შეთანხმდნენ.

ამავე პერიოდში მექვაბიშვილი დაუკავშირდა თავის ნათესავს მდინარაძეს, მასთან, — აღნიშნა მექვაბიშვილმა თავის ერთ-ერთ ჩვენებაში, — ლაპარაკი მქონდა 9 მარტის მოვლენებზე. შევეხე ხრუშჩოვის როლს ტრაგედიაში. აღინიშნა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მშობელი შეეცდება მთავრობის მეთაურს ტრაგედიისათვის სამაგიერო გადაუხადოს . სიტყვა ჩამოვაგდე ტერორისტულ აქტსა და ყუმბარის შექმნაზე. გამოითქვა აზრი ეს გაკეთე-

ბულიყო საათის მექანიზმის გამოყენებით. მდინარაძე დათანხმდა ამ აქტში მონაწილეობას.

ტერორისტული აქტის მომზადების მონაწილეებს არც მისი ფსიქოლოგიური მხარე დავიწყნიათ. ცდილობდნენ ყველაფერი გაეთვალისწინებინათ, რაც დაკავშირებული იქნებოდა სიმშვიდის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. მოიფიქრეს აქტის ჩატარების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში თბილისიდან გაქცევისა და მიმალვის თაობაზე.

ძიება მოკლე დროში დამთავრდა. 1961 წლის 4 აპრილს, საგამომძიებლო საქმე № 4675 შვიდ ტომად თავისი საბრალდებო დასკვნით, რომელსაც ამტკიცებდნენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური და რესპუბლიკის პროკურორი მიხეილ თოფურიძე, განსახილველად გადაეცა სასამართლოს.

1961 წლის 18 აპრილს დაიწყო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დახურული სხდომა. იგი 21 აპრილს დამთავრდა. ბრალდებულებს შეეფარდათ: აკაკი მდინარაძეს 2 წლით, აბრეკ ბათოშვილს 10 წლით, ალბერტ მელაძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, შოთა მექვაბიშვილს კი სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ძიებას და საქმის განხილვას მუდმივად თვალყურს ადევნებდა მოსკოვი. 1961 წლის 25 აპრილს, სხდომის დამთავრებისთანავე, მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მოროზოვი ითხოვდა განაჩენის ასლის დაუყოვნებლივ მისთვის გაგზავნას.

მექვაბიშვილმა პატიება ითხოვა. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა (გ. ძოწენიძე) 1961 წლის 28 ივნისს დააკმაყოფილა მისი თხოვნა, სიკვდილით დასჯა შეუცვალა 15 წლის თავისუფლების აღკვეთით. მექვაბიშვილი, ბათოშვილი და მელაძე სასჯელის მოსახდელად გადაიყვანეს ციმბირში. (მორდვეთი, იავისის საფოსტო განყოფილება 385-10), იქ, სადაც არა ერთი ქართველი პოლიტპატიმარი იხდიდა სასჯელს.

1965 წლის ოქტომბერში საბჭოთა ქვეყანაში სერიოზული საკადრო ცვლილებები და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. მათ შორის, 14 ოქტომბერს სკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლეს ხრუშჩოვი.

ამით დამთავრდა მისი პირადი ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის პერიოდი, ბოლო მოეღო მის განუკითხავ მოქმედებას, შესაძლებლობა შეიქმნა კრიტიკულად შეფასებულიყო მისი პერიოდის აშკარად გაუმართლებელი ღონისძიებები. საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებს შესაძლებლობა მიეცათ, აგრეთვე, მიბრუნებოდნენ ზემოთ აღნიშნულ ტერორისტული აქტის მომზადების საქმეს, გადაეხედათ, შეემოწმებინათ მიღებული განაჩენის შეუმცდარობა.

1965 წლის 28 ივნისს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ზედამხედველობის წესით განიხილა საქართველოს პროკურატურის პროტესტი მექვაბიშვილის, ბათოშვილის, მელაძისა და მდინარაძის საქმის გამო. სწორედ სცნო იგი შემდეგი მიზეზით:

კანონი ითვალისწინებს იმას, რომ სახეზე უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად იარაღის ან სხვა საშუალებების შეძენა და მომარაგება, ანდა განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გაადვილებს დანაშაულის ჩადენას. ამასთან, კანონი სჯის რა დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას, იგი უშვებს ამისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ მომენტიდან, როდესაც პირის განზრახვა დანაშაულის ჩადენით რეალიზებული ხდება.

მექვაბიშვილი, მელაძე, ბათოშვილი და მდინარაძე სასამართლომ ცნო დამნაშავეებად ტერორისტული აქტის მომზადებაში, მაგრამ მათ დანაშაული სისრულეში არა თუ ვერ მოიყვანეს, რადგან მხილებულ და დაპატიმრებულ იქნენ შესაბამისი ორგანოების მიერ დანაშაულის ჩადენამდე, არამედ საამისოდ არავითარი იარაღი ან საშუალებები არ შეუქმნიათ, პრაქტიკულად არც არავითარი ზომები არ მიუღიათ იარაღისა ან ასაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლად, არც მათი რეალიზაცია დაუწყიათ. ისინი ტერორისტულ აქტზე მარტო ლაპარაკობდნენ, ურთიერთშორის აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ. დანაშაულის ჩასადენად მომზადება-რეალიზაცია აგიტაცია-პროპაგანდას არ გასცილებია. ამდენად, ისინი უნდა დასჯილიყვნენ სისხლის სამართლის არა გასასამართლებელი მუხლებით (17,67,73), არამედ 71-ე მუხლით.

გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა პროტესტი, წარდგენილ ბრალდებაში შეიტანა სათანადო ცვლილებები. მექვაბიშვილს, მელაძეს და ბათოშვილს განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა თითოეულს ოთხ-ოთხი, ხოლო მდინარაძეს ორი წლით. იმის გამო რომ მექვაბიშვილმა, მელაძემ და ბათოშვილმა ეს სასჯელი უკვე მოიხადეს, ისინი პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო ისიც, რომ მდინარაძეს სასჯელი მოხდილი ჰქონდა.

ამგვარად, ტერორისტული აქტი, ჩვენი აზრით, დროულად იქნა აღკვეთილი. მის წარმატებულ თუ წარუმატებელ განხორციელებას უსათუოდ მოჰყვებოდა ქართველი ხალხისადმი მკაცრი რეპრესიები. მომზადებაში არსებული დილეტანტიზმიც გვიჩვენებს მარტის ტრაგედიაში მთავარი დამნაშავის — ხრუშჩოვისადმი შეურიგებლობას. ამასთან, მკაფიოდ წარმოგვიდგენს ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის გამო საგამომძიებლო ორგანოების შიშს და არცთუ უსაფუძვლოდ. ამიტომ დღეს მათთვის ბრალის დადებას სიმკაცრედ მივიჩნევთ.

**შოთა ნოზაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი დღეების მატიანე

## გიორგი შატბერაშვილი



სამი ძმა ვართ . ისე დავცოლშვილდით, ქორწილი არ გადაგვიხდია. დაფანტულნი ვიყავით, მე ვმასწავლებლობდი კასპის რაიონის სოფლებში, ჩემი და-ძმები თბილისში ცხოვრობდნენ, დედ-მამა — ჩემს მშობლიურ სოფელ თვალადში. ვერ შევიკრიბეთ და ვერა, ვერ მოვგროვდით, რომ ჩვენი ოჯახის დათავთავება აღგვენიშნა და ჭიქა ღვინო ერთად დაგველია, გამოვთხოვებოდით ძველი სახლის ჭერს, ახალი დაგველოცა.

ისევ მამამ მოიპრიანა, შეგვაგულიანა, ატყდა: სამივე ძმას ქორწილი ერთად უნდა გადაგიხადოთ, ცალცალკე, თუ გუნებაში რამე გაქვთ, თქვენვე მოახერხეთო. მე ოცდაცხრის ვიყავი, ლეო — ოცდაშვიდის, შოთა — ოცდახუთის. მე უკვე ბიჭი მყავდა, ახლად დაბადებული ბედი. ჩემი უფროსი და ნატო უკვე კარგა ხნის გათხოვილი იყო და დიდი ბიჭი ჰყავდა.

ჰოდა, თვალადში დიდი სამზადისი იყო.

შემატყობინეს. კასპიდან თბილისში ჩაედი მოპატიჟედ. მე ჩემი მეგობარი მწერლები უნდა დამეპატიჟა. ლეოს — მსახიობები, შოთას — ინჟინრები.ჩემი სია საკმაოდ გრძელი იყო. ყველას ჩამოვუარე. ვისაც ვერ მივწვდი, სხვებს დავავალე დაპატიჟება. ქორწილი 12 ნოემბრისათვის იყო დანიშნული. კონსტანტინე გამსახურდიას დაპატიჟება გულით მინდოდა, მაგრამ ვერიდებოდი, არ მინდოდა შემეწუხებინა. ჩვენსკენ ცუდი გზებია, თანაც გრძელი - სადგურ კავთისხევიდან თვალადამდე 9 კილომეტრი მაინც არის. მაშინ საკუთარი მანქანები არავის ჰქონდა, თვითონ კონსტანტინესაც კი. ეს იყო თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ, 1939 წელს. ცუდ გზებს ვინ ჩივის. ნოემბერი წვიმიანი თვეა და ავდრიანი დღეები იდგა. ასეთ დღეებში ორღობეებში ისეთი ლაფი დგებოდა, ურემსაც კი გაუჭირდებოდა გავლა.

კონსტანტინეს დაპატიჟება კი გულით მინდოდა.

მინდოდა იმიტომ, რომ პატივს ვცემდი, მიყვარდა და ჩემს ჭერქვეშ მინდოდა მისი ხმის გაგონება. მაშინ კონსტანტინე 49-50 წლის იქნებოდა. ჩვენს შორის ოცი წელიწადი იდგა. ეს ოცი წელიწადი ჩვენს შორის ახლაც დგას, მაგრამ კონსტანტინე მაშინ უფრო ხნიერად მეჩვენებოდა, ალბათ მისი მაშინდელი მწერლური წარმატებებიც ჩემს წარმოდგენაში იმ წლებს ემატებოდა.

ასაკი უასაკოებთან მეგობრობაში ხელს არ უშლიდა. ყოველთვის, როცა სოფლიდან ჩასულს სადმე შემხვდებოდა, გულთბილად მომიკითხავდა, ამბავს გამომკითხავდა, დამარიგებდა... ერთხელ დახმარებაც კი შემომთავაზა. მაშინ არსად ვმუშაობდი. ვიგრძენი, გულით უნდოდა დამხმარებოდა, მაგრამ მაინც უარი ვუთხარი.

ერთხელ, შაბათ საღამოს, თბილისში რომ ჩამოვედით, მაშინვე კონსტანტინეს დავურეკე. მისი ტელეფონის ნომერი არასოდეს დამვიწყებია, არც დამავიწყდება. მახსოვს, ასე მითხრა:

— სამი, ნოლი, რვა, თერთმეტი!

ქართულად მითხრა და თავში ჩამებეჭდა.

ვუთხარი თუ არა, ვინც ვიყავი, მაშინვე წინადადება მომცა, სრულ ცხრა საათზე ჩემთან მოდიო. ცხრა საათამდე დიდი დრო იყო.

რუსთაველზე გრიგოლ აბაშიძე და ლადო ასათიანი შემხვდნენ. გრიგოლმა რესტორან "კავკაზში" დაგვპატიჟა. კარგად რომ შევქეიფიანდით, ისევ რუსთაველზე ჩავიარეთ. ლადო ატყდა, ახლა მე უნდა დაგპატიჟოთო და ახალი სუფრა გაგვიშალა "თბილისში". ახალგაზრდები ვიყავით და ბევრი შეგვეძლო — ბევრი სმა, ბევრი მხიარულობა, ყველაფერი ბევრი. გრიშა და ლადო ხუმრობდნენ, მე კი შუბლი მქონდა შეკრული. ისინი ჩემს უგუნებობას სხვა რამით ხსნიდნენ, სანამ არ ვუთხარი, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვა მივეცი, ცხრა საათზე უნდა მივსულიყავი, ახლა კი უკვე თერთმეტის ნახევარია—მეთქი.

— მერე, რა გაწუხებს, ბიჭო. დაურეკე და ჰკითხე, დაგვიანებულ სტუმრებს არ მიიღებ—თქო! — სიცილით მითხრა ლადომ.

მეტი გზა არ იყო, ავკრიფე სამი, ნოლი, რვა, თერთმეტი და კონსტანტინეს ხმაც გავიგონე.

— სად დაიკარგე, შე ქართლელო ტეტიავ, ასე რად მალოდინებ?

ბოდიში მოვუხადე.

ჩამაცივდა, ახლავე მოდი, ისეთ კალმახს გაჭმევ, თვალით არ გენახოსო.

მე უხერხულად ვდუმდი. მერე ვუთხარი, ამხანაგებთან ვარ—მეთქი. ვინ არიანო, მკითხა. რომ ვუთხარი, ჩემთან გრიშა და ლადო არიან—მეთქი, უსათუოდ ახლავე დასტოვეთ ეგ ბინძური რესტორანი და სამივე აქ გაჩნდითო.

კალმახები მართლაც შესანიშნავი იყო. ღვინოც კარგი და მასპინძელიც მხიარული. ჩვენ მთვრალები ვიყავით და ლექსებს ვამბობდით. ღვინო რომ დალია, კონსტანტინემაც დაიწყო ლექსების თქმა.

მახსოვს, ერთი ლექსი — "მე მყვანდა დედა" ხუთ—ექვსჯერ ვათქმევინეთ. გრძნობით კითხულობდა და გულაჩუყებული შეჯიბრებაში გვიწვევდა. მერე სხვა ლექსი თქვა:

ისლის სახლი, ისლის სახლი,
ქარი, ქარი, ქარი,
ველარ ვნახე შენი სახე,
ველარ მოგისწარი.

ამ ლექსს სათითაოდ, მორიგებით, ხანაც ერთად, ჩვენც ვამბობდით.

მაგრამ ამ პატარა მოგონების მიზანი სხვა არის და სხვამ კი გამიტაცა... მინდოდა აღმენიშნა, რომ კონსტანტინესთან უკვე საკმაოდ დაახლოებული ვიყავი, ამიტომაც, ბოლას და ბოლოს დავივიწყე კავთისხევის ორღობეების ტალახი, დავძლიე მორიდება და კონსტანტინეც დავპატიჟე. მითხრა, უსათუოდ ამოვალო.

..

მაგრამ ტყუილი სცოდნია კონსტანტინეს...

ტყუილი ეთქმის, აბა რა...

აი, მე და ჩემი მეგობრები უკვე ჩემი ძველი სახლის ჭერქვეშ გრძლად გაშლილ სუფრას ვუსხედვართ, სუფრა კი მართლაც გრძელია. ქართლში ასეთ სუფრაზე იტყვიან — ისეთი გრძელი სუფრა იყო, სუფრის თავიდან ბოლოზე კაცის თვალი ღვინის ფერს ვერ გაარჩევდაო.

აქ არიან კარლო კალაძე, ალექსი გომიაშვილი, გრიშა აბაშიძე, გივი გაჩეჩილაძე.

კონსტანტინე კი არსად ჩანს.

მე თვალი გზისკენ მიჭირავს, ახალ სტუმრებს ველოდები: ჯერ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები არ გამოჩენილან. მე უფრო მეტად კონსტანტინეს ველოდები. რა ვიცი, კაცნი ვართ, იქნებ გამოჩნდეს. ბიჭებმა მითხრეს თბილისში ჩვენი წამოსვლისას წვიმდა და კონსტანტინემ წამოსვლა ვერ გაბედაო.

წვიმა კი თანდათან მატულობდა და ჩემს უკანასკნელ იმედს ადნობდა.

აგერ, ორღობეში ზურნის ხმა გაისმა. საგზაოს უკრავენ და მოდიან, ნეტავ ვინ არიან?

— ესენი ჩემი სტუმრები იქნებიან, ზუბიაშვილების დასტის ამოყვანას ვასო გოძიაშვილი შემპირდაო, — წამოიძახა ლეომ. აივანზე გავედით და ორღობეს გავხედეთ. მართლაც კარგი სანახავი იყო: წინ მეზურნეები მოდიოდნენ, საგზაურს აჭყიტინებდნენ და ორღობეში გამდგარ ტალახს მოარღვევდნენ. მეზურნეებს მოსდევდნენ ვასო გოძიაშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ალე ომიაძე, გიორგი ჩახავა, ირაკლი ქოქრაშვილი... მათ შოთას მეგობრებიც შეერთებოდნენ.

ბევრნი იყვნენ. მოიმღეროდნენ და იცინოდნენ. კონსტანტინე მაინც არსად ჩანდა. ამ დიდმა ჯგუფმა კიბეზე და აივანზე დიდძალი ტალახი დასტოვა და დიდი მხიარულება შემოიტანა სუფრაზე.

უკვე კარგად იყო შეღამებული. თბილისიდან წამოსული ყველა მატარებელი ავლილი იყო. აღარავის მოლოდინი აღარ უნდა გვქონოდა, ამიტომ საფუძვლიანად მოვუსხედით სუფრას.

თამადა ბიძაჩემი სიკო გოგიბერაშვილი იყო. ხუმარა და გულქართლი კაცი. კარლო კალაძე, ალექსი გომიაშვილი და ვასო გოძიაშვილი თამადის თანაშემწეობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. კარგად რომ შეთვრნენ, მგონი, თამადის ჩამოგდებაც მოინდომეს, მაგრამ თამადა თავის ადგილს აგრე ადვილად არა თმობდა. ყველაფერს ხუმრობაში ატარებდა.

თამადის სიტყვას ზუბიაშვილების ტუში მოსდევდა, კალაძის და აბაშიძის ხუმრობას — ტაში...

ჰო, კარლო და გრიშა მაშინაც ხუმარები და ენამაკვილაკები იყვნენ. მაშინ კი არა, მაშინ იყვნენ, რაც იყვნენ. ხუმრობა, როგორც ერთი ანდაზა ამბობს, თავს ვერ იჭერდა და არც იყო საჭირო თავის დაჭერა. დრო მხიარულად მიდიოდა, მაგრამ წინ გრძელი შემოდგომის ღამე გვედო და თურმე მეტი მხიარულება გველოდა.

მახსოვს, გოძიაშვილი და გომიაშვილი თამადის პირველ მოადგილეობაზე შეეჯიბრნენ ერთმანეთს, მერე კამათი იმაზე გადაიტანეს, — არა ჩემი გვარი სჯობს, არა ჩემიო, მათ გვარს ხომ მ—ანი და ძ—ილი ასხვავებს. ბევრი ფრთიანი სიტყვა ითქვა ამ ბგერების გამო. ბოლოს ალექსიმ უთხრა, წინათ შენც გომიაშვილი იქნებოდი, მაგრამ შენს მ—ანს მერე თავი წამტვრევიაო. შესაძლოა ამ ხუმრობამ ამ მოგონების მკითხველს ღიმილიც კი არ მოჰგვაროს, იქ კი, გრძლად გაშლილ სუფრაზე, ღვინით შეხურებულ, ხუმრობის ეშხში შესულ სტუმრებს მეტი არ უნდოდათ. ხუმრობის ბედი ასეთია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინეს სტუმრობა

სად ითქმის, როგორ, ან ვინ იტყვის, ის არის მთავარი.

ბევრი სადღეგრძელო ითქვა, ბევრიც სათქმელი იყო, გარეთ კი წვიმა ხმაურობდა. ჩემი ძველი სახლის კრამიტს შხაპუნით სცემდა. ეს ხმაური ჩვენს ჟრიამულს უერთდებოდა.

ასეთ ღამეში უნდა იჯდე და...

ჰოდა ჩვენც ვისხედით... მაგრამ, როგორც ყველა გრძელ ქეიფს სჩვევია, ჩვენს სუფრასაც, მიუხედავად ზუბიაშვილების ოსტატობისა, ვასო გოძიაშვილის, შაშო გომელაურის და ალე ომიაძის შესანიშნავი გალობისა, ჩემი ძმების და რძლების ცეკვა—თამაშისა, პოეტების კალამბურებისა — მაინც ერთფეროვნება და მოწყენა შეეპარა.

წვიმდა, გარეთ გასვლა და გავლა—გამოვლა არ შეიძლებოდა. ჰაერი შეიხუთა. არ ვიცი, შეიძლება მე მეჩვენებოდა ასე.

რაღაც გადახალისება და განახლება იყო საჭირო.

კარლო კალაძე ღვინის უზარმაზარ კასრთან გულაღმა წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო, კასრს მიეყრდნო და წამოიძახა, რაღა ყანწებით ვსვა, ღვინო პირდაპირ კასრიდან გადმოდის თავშიო,

არც ეს შველოდა საქმეს, ალბათ ყველა ნამგზავრი და დაქანცული რომ იყო, იმიტომ.

უცებ ამ ხმაურში, ჩემმა სიძემ, შალვამ მითხრა, ეზოში ვიღაც იძახისო.

რამდენიმე კაცი გარეთ გამოვედით და ეზოში ჩავირბინეთ. ვხედავ, სიბნელეში ორი კაცი დგას. ერთი მეუბნება, სტუმარი მოგიყვანეო. ეტყობა, თვითონ სტუმრად არა სთვლის თავს. თვალმა სიბნელე გატეხა, კონსტანტინე ვიცანი. მეორე ჩემი მეზობელი ჭაბუკი სიკა შეშაბერიძე იყო.

თვალს არ ვუჯერებდი. ამ შუაღამისას, ამ თავსხმაში, უცნობ ბნელ ორღობეებში, ცხრა კილომეტრის გამოვლა რამ გააბედვინა?

ჩუმად შევუძეხი კიბეზე და კარი მოულოდნელად შევაღე. მისმა გამოჩენამ სუფრაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. რამდენიმე წუთს ისმოდა ტაშის ცემა. ყველამ სათითაოდ დალია მისი სადღეგრძელო... რაღა არ უთხრეს, სულ დაივიწყეს, რომ მათ წინ სახელოვანი მწერალი იდგა, ყველა მის დღევანდელ საქციელს აქებდა, გმირობად უთვლიდა.

მართლაც გმირობა იყო. ჩემმა ბევრმა ახალგაზრდა მეგობარმა დღისითაც კი ვერ გაბედა წამოსვლა, უამინდობამ შეაშინა, თუ დაეზარა... ამ ხნიანმა კაცმა კი...

თვითონ კონსტანტინე ძალიან კმაყოფილი იყო. სვამდა, მხიარულობდა და მღეროდა, ახარებდა, ოჯახი რომ გაახარა.

გზაში ძალიან გაწვალებულიყო. ქუთაისის მატარებელს გამოჰყოლოდა, ეს მატარებელი კი კავთისხევის სადგურზე გაჩერებას დღემდე არ კადრულობს. კასპში ჩამომხტარა, ზემოდან მომავალ მატარებელს დიდხანს ულოდინებია, მერე, კავთისხევის სადგურში რომ ჩამოსულა, უკვე დაღამებული ყოფილა.

რამდენიმე კილომეტრი უცხო გზაში კითხვა—კითხვით უვლია, ბოლოს თვალადში რომ ამოსულა, ერთ ჭიშკართან შეუსვენია, ეს ჭაბუკი რომ არ შემხვედროდა, გზას ამ ორღობეებში ვეღარ გამოვიგნებდიო, მითხრა და შეშაბერიძის ბიჭს ღიმილით გახედა.

ალექსი გომიაშვილმა კონსტანტინეს ნათქვამს ყური მოჰკრა და ღიმილით ჰკითხა:

— ბატონო კონსტანტინე, ვიცი, თბილისში ბევრი გპატიჟობს, ახლო არსად დადიხარ, ამ სიშორეზე რამ წამოგიყვანათ?

— ჭაბუკო, — უპასუხა კონსტანტინემ, — კონსტანტინე გამსახურდიამ იცის ვისთან არ უნდა მივიდეს ახლოს და ვისთან უნდა წავიდეს შორს!

გრძელი შემოდგომის ღამე კი დინჯად იბერტყავდა მხრებს. არ ჩქარობდა გათენებას, ფანჯრებში ისევ წყვდიადი იდგა. დილის საარი იგვიანებდა, კონსტანტინეს გმირული ამოსვლის ამბავიც გავიშინაურეთ და გულს კიდევ რაღაც უნდოდა. რაღაც სხვა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ გადავეხალისებინეთ.

რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ კონსტანტინეს გმირობა დაეჩრდილა?

თქვენ წარმოიდგინეთ, მოხდა!

უცებ ეზოდან ძახილი გავიგონეთ.

ვინ უნდა იყოს?

შუაღამე გადასულია, აღარავის მოლოდინი აღარა გვაქვს. ამ საათნახევრის წინ კონსტანტინეს მოსვლაც სასწაული იყო ამ თავსხმაში. ალბათ, ვინმე დაგვიანებული მეზობელი თუ მოვიდა.

არა. კარები იღება, ოთახში თამარ ჭავჭავაძე შემოდის. უკან ორი ვაჟკაცი მოსდევს, თამადა ომახიანად იძახის:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ყველა გაჩუმებული შეჰყურებს. ჩვენს წინ "ცხვრის წყაროს" გმირი, თვალებბრიალა, დაღლილი, მაგრამ მხნე ქალი დგას.

წეღან კონსტანტინეს შემოსვლას ყველა ტაშით და აღტაცებით შეხვდა, თამარის შემოსვლას კი ღიმილით და გაოცებით ხვდება.

ეს გაოცება, ეტყობა, უფრო მეტს ნიშნავს, გრიშა და კარლო ხითხითებენ და კონსტანტინეს შეჰყურებენ. კონსტანტინე აღელვებულია. ენაკვიმატები ამას სხვანაირად ხსნიან, თამარმა გმირობის გვირგვინი წაართვა და ნაწყენიაო. მაგრამ ეს ასე არ არის. სტუმართაგან მხოლოდ კონსტანტინემ იცის, ადვილია თუ არა შუაღამისას ამ გზაზე სიარული, ისიც ქალისთვის.

ის ორი კაცი, თამარს რომ შემოჰყვა, ჩემი შორეული მეზობლები არიან, ერთი გალმა თვალადელი — ვანო ხოკერაშვილი, მეორე შუაუბნელი მოჭიდავე ნიკოლოზ პაპიაშვილი, საქართველოს ფალავანი — პოხრო. ეს პოხრო დიდებული, განუმეორებელი მოჭიდავე იყო, ვახტანგ კოტეტიშვილის ფალავანი... "პოხრო მგელი, პოხრო ვეფხვი", წერდა სწორედ იმ დღეებში ქართული ჭიდაობის ტრფიალი, მწერალი სოსო იორამაშვილი.

ამ ორ ვაჟკაცს თამარ ჭავჭავაძისათვის ისეთივე სამსახური გაუწევია, რაც სიკა შეშაბერიძემ კონსტანტინეს გაუწია. გზაში შეხვედრიან მარტოხელა ქალს და მისი მეგზურობა უკისრიათ.

შემოსწრებულებს დიდი ყანწები, დიდი ჭიქები და მათ გვერდით ჩამწკრივებული წვრილი ჭიქები — კვიცები შევთავაზე. ეს "კვიცები" ჩვენი თამადის ტერმინი იყო. ხშირად იძახდა — ეგ კვიცებიც გამიხედნეთ, გემო მაგაში არისო.

თამარის სადღეგრძელო პირველად კონსტანტინემ აიღო. ყველა გაჩუმდა. კარლოს და გრიშას ქირქილიც კი შესწყდა, აბა რას იტყვისო, ერთმანეთს შესცინიან სახეში, თან თვალს კონსტანტინესკენ აპარებენ.

კონსტანტინემ ქართველი ქალის სადღეგრძელო თქვა. დაახასიათა ქალის როლი საქართველოს ცხოვრებაში... მერე უცებ მიუბრუნდა თამარს და ხუმრობით მიაძახა:

— იცოდე, თამარ, დიაცი რომ არ იყო, ჩემი დაჯაბნისათვის დღესვე, აი ამ დარბაზში ხმალში გამოგიწვევდიო...

..

გარეთ უკვე აღარ წვიმდა და ცას იისფერი ეპარებოდა, სუფრა თხელდებოდა. კონსტანტინე ჩემი სახლიკაცის ოჯახში გადავიყვანე და მოვასვენე. მე ორი ღამის უძილო ვიყავ, მაგრამ ძილს ვინ მაღირსებდა. დილით ჯერ აივანზე გავშალეთ სუფრა, მერე გავიმთაბარეთ... გამთაბარება ჰქვია ძველებურ წესს: ოჯახის ბედნიერება მიცვალებულთაც უნდა გაიგონ, იმ ქვეყანასაც უნდა მისწვდეს შთამომავალთა ბედნიერი ხმა. ღვინო, ხორაგი პატარა საგვარეულო ეკლესიის ეზოში წავიღეთ.

სუფრა ახლა საფლავებზე გავშალეთ და პაპებს ჩავძახეთ.

..

ორშაბათი დილა იყო. კონსტანტინეს თბილისში აუცილებელი საქმე ჰქონდა. მეც კასპში უნდა გავსულიყავი, გაკვეთილებს ვერ გავაცდენდი. თითო ჭიქა სადა არაყი დავლიეთ. კონსტანტინემ ოდნავ წაიხემსა, მგონი ხაში გვქონდა. დედას და ცოლ-შვილს გამოვეთხოვე. მამაჩემმა სოფელს გამოგვაცილა. გამოვეთხოვეთ და წამოვედით. კავთურის ხეობას დავყევით ორნი. აღარ წვიმდა. ჭალა-ჭალა, კავთურ- კავთურ მივდიოდით, როგორც აქ იტყვიან. არც ტალახი იყო. ქვიშიანი ბალახი ტალახს არ იკარებს. ცა მოწმენდილი იყო. კონსტანტინეს მოსწონდა ეს ხეობა, მალ-მალ შებრუნდებოდა ჩვენი სოფლისაკენ, თრიალეთის ქედის მშვენიერ მწვერვალს ქსილისს გახედავდა და უკვე მერამდენედ მეუბნებოდა:

— არ მოშალო ეს მამაპაპური ბუდე, არ მოშალო... შვილები ბევრი იყოლიე... ქართლი ძალიან მიყვარს... გულისტკივილს ვგრძნობ, როცა ქართლში დავდივარ, უნდა გავმრავლდეთ.

ორი დღე-ღამის უძილო ძლივს ვუსწორებდი მხარს. მხნედ მიდიოდა. სუფთად ეცვა. წაბლისფერი კოსტიუმი, მარცხენა გულის ჯიბეში პატარა ფერადი ცხვირსახოცი.

მე ფეხსაცმლის ძირი ამიძვრა და საცოდავად მივაფრატუნებდი მარცხენა ფეხს, მისი დარიგება და შეგონება ბუნდოვნად დამამახსოვრდა.

გული არ გაიტეხო, მეუბნებოდა, მალე შენი გზაც გამოჩნდება... ვაჟკაცობა ის არის, ჭირი არ შეიმჩნიო, და გაუტეხელი იყო. მრავალგზისი ჭირი მინახავს და იმ ჭირს ვლოცავ, რომ გამომაწრთო და გამაკაჟაო.

ამ სიტყვებმა რუსთაველი გამახსენა. უფრო კი ერთი ხალხური ლექსი:

გატეხილისა ვაჟისა
ყორანმა ლეში არ ჭამა,
გაუტეხელი ვაჟისა
წინწინ მკლავები დაჭამა.

მივდიოდით კავთურ-კავთურ, ვუსმენდი კონსტანტინეს შეგონებას და ვბუტბუტებდი: გაუტეხელის ვაჟისა წინწინ მკლავები დაჭამა.

ჰო, გატეხილის, ხელჩაქნეულის ლეშს ყორანიც კი არ კადრულობს, ზედაც არ გაეკარება. გაუტეხელისა და მტკიცე ვაჟკაცისა მკლავები კი საპატიო და ნუგბარი საძიძგნია.

აი, ხედავ, რა არის საჭირო... გაუტეხელობა, გაუტეხელობა.

..

კავთისხევის სადგურზე ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია. თბილისისაკენ მიმავალი მატარებელი მალე ჩამოდგა. გამოვეთხოვე კონსტანტინეს და მარტო დავრჩი. მე კასპში უნდა ავსულიყავი და ორი დღეღამის უძილოს ექვსი გაკვეთილი ჩამეტარებინა. თბილისიდან მატარებელი ორი საათის შემდეგ გამოივლიდა, მე კი ნახევარ საათში გაკვეთილები მეწყებოდა. ისევ ფეხით დავადექი გზას და რვა კილომეტრის გავლაც მივუმატე ჩემს გაუტეხლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაბილონის დაკიდებული ბაღები

ჩვ. წ. აღ- მდე 331 წლის შემოდგომაზე ქ. ბაბილონი შიშით იყო გათანგული. ხმები, სპარსეთის მეფის დარიოსის უზარმაზარი ლაშქრის გავგამელასთან დამარცხების შესახებ, მართალი გამოდგა. დარიოსის ერთ-ერთი სარდალი, ჯარის გადარჩენილი ნაწილით, ბაბილონში დაბრუნდა და სასწრაფოდ შეუდგა მზადებას მტრის მოსაგერიებლად.

მაკედონელთა არმია, ახალგაზრდა მეფის ალექსანდრეს წინამძღოლობით, ფრთაშესხმული სულ ახლახან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით ურიცხვ მოწინააღმდეგეზე, მოეშურებოდა ბაბილონისაკენ. უდიდესი და უძველესი ქალაქი ოდითგანვე განთქმული იყო თავისი სიმდიდრით, სილამაზითა და ფუფუნებით. იგი აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის კულტურის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი გახლდათ. ალექსანდრეს ეგონა, ესოდენ მძლავრად გამაგრებული ქალაქი თავგანწირულ წინააღმდეგობას გაუწევდა, მაგრამ ბაბილონის მოსახლეობამ, რომელიც უკმაყოფილო იყო სპარსელთა მრავალწლიანი ბატონობით, ქალაქი უბრძოლველად ჩააბარა ალექსანდრეს. ბაბილონში მყოფმა სპარსელებმა ვერ გაბედეს შებრძოლებოდნენ მაკედონელებს. ბაბილონის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, წარჩინებულნი, ქურუმები და უამრავი ხალხი გამოეფინა მაკედონელთა ჯარის შესახვედრად. ყვავილებითა და მხიარული შეძახილებით ეგებებოდნენ ისინი ალექსანდრეს, როგორც სპარსეთის საძულველი უღლისაგან განმათავისუფლებელს.

ბაბილონმა თავისი სილამაზით და სიმდიდრით გააოგნა მაკედონელები, თუმცა ამ დროისათვის ბაბილონს უკვე დაკარგული ჰქონდა ძველი დიდებულება. ჯერ კიდევ ჰეროდოტე, რომელმაც მე-5 საუკუნეში მოინახულა ბაბილონი, წერდა, რომ ბაბილონელთა დედაქალაქი ისე მშვენივრად არის ნაგები, როგორც ძველი დროის არც ერთი სხვა ქალაქიო. ბაბილონში სამი და ოთხსართულიანი სახლები იდგა, რომელთაც კვეთდა ფართო, სწორი ქუჩები.

ჰეროდოტეში ბერძნული ქალაქების ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ შუკებს მიჩვეულისთვის ბაბილონის ქუჩათა სიფართოვე გაკვირვებას და აღტაცებას იწვევდა. ასირიის სამეფოს დედაქალაქის ქუჩის სიგანე 26 მეტრი იყო. შუამდინარეთის ქუჩების სისწორე და სიფართოვე მკაცრად იყო დაცული. არქეოლოგების მიერ ნაპოვნ ერთ-ერთი ფირფიტის წარწერაში ნათქვამია, რომ ის, ვინც დაარღვევს დაწესებულ ზომას და თავისი სახლის კედლებს წინ გამოსწევს — ძელზე გაისმება საკუთარი სახლის სახურავზეო. ცნობილი არაა, სასჯელის ამგვარ ზომას მიმართავდნენ თუ არა ბაბილონში, მაგრამ ქალაქი თავის სიმშვენიერით და სიმდიდრით რომ ანცვიფრებდა ყველას, ვინც კი მას მოინახულებდა, ეს უეჭველი იყო.

განსაკუთრებულ აღმავლობას ქალაქმა ბაბილონის მმართველის, მეფე ნაბუქოდონოსორის დროს მიაღწია. მან დაიმორჩილა მდიდარი სირია, დაიქვემდებარა ფინიკია და აიღო იერუსალიმი — იუდეის სამეფოს დედაქალაქი. თავისი ლაშქრობების შედეგად ნაბუქოდონოსორმა ხელში ჩაიგდო დიდძალი ქონება და დიდი რაოდენობით ტყვე, რომელნიც მონებად აქცია. იერუსალიმის თითქმის მთელი მოსახლეობა აჰყარეს და გადაასახლეს ბაბილონში. უამრავი მონის შრომამ საშუალება მისცა ნაბუქოდონოსორს ხორცი შეესხა თავისი გრანდიოზული ჩანაფიქრისათვის. ძველი ბაბილონი არა ერთხელ იყო განადგურებული ასირიის მეფეთა მიერ. ასე მაგალითად, იგი ძირფესვიანად მოთხარა მეფე სინახერიბმა. ნაბუქოდონოსორის გამეფებამდე ბაბილონი ერთხელ კიდევ დაწვეს და გაანადგურეს. ნაბუქოდონოსორმა გადაწყვიტა, თავისი დიდებული ნაგებობებით გადაეჭარბებინა ყველაფერ იმისათვის, რაც მის მეფობამდე იყო. სხვათა შორის, გამომწვარ თიხებზე ნაპოვნია ქალაქის განაშენიანების გეგმა.

მდინარე ევფრატით შუაზე გაყოფილი ბაბილონი სწორკუთხა ქალაქი იყო, ქალაქს გარშემო ერტყა ციხე-სიმაგრის ორმაგი წყება, რომლებშიც რვა კარიბჭე იყო ჩატანებული, ყოველი მათგანი ბაბილონის ღმერთების სახელს ატარებდა. ციხე-სიმაგრის კედლები ანცვიფრებდა ადამიანებს თავისი სისქით, სიდიდით და უამრავი წახნაგოვანი კოშკით. ღრმა თხრილებს და დამატებითი ციხე-სიმაგრის კედლებს უნდა დაეცვა იგი მომხვდურებისგან. ეს იყო ქალაქის თავდაცვის ძლიერი და მოფიქრებული სისტემა.

მდინარეთა გასწვრივ ჩარიგებულ დიდებულ ფინიკურ პალმებს შუა გადიოდა ქალაქისკენ მიმავალი გზა. კლდეთა ორმაგ მწკრივს შორის დატოვებული არე განაშენიანებული არ გახლდათ — ქალაქის ალყის შემთხვევაში ის უნდა ყოფილიყო თავშესაფარი სოფლის მოსახლეობისა და საქონლისათვის.

ქალაქი იწყებოდა მეორე ციხე-სიმაგრის იქით. ფართო.მთავარ ქუჩას, სადაც წმინდა პროცესიები იმართებოდა, ადამიანი მიჰყავდა არაჩვეულებრივ ორმაგ კარიბჭესთან, რომელიც ბაბილონის უმთავრეს ღვთაებას — ქალღმერთ იშტარს ეძღვნებოდა.

რკინით ნაჭედ მძლავრ ჭიშკართა შიგნით აგებული იყო დიდებული სამეფო სასახლის დამცველი ციხე- სიმაგრეთა კედლები, კოშკებითურთ, რომელთა შემდეგ იწყებოდა ქალაქის სავაჭრო მაღაზიები და კვარტალები, სულ ბოლოს აღმართული იყო უშველებელი ქონგურებიანი თეთრი კედელი, გარს რომ ერტყმოდა მთავარ სალოცავს ესაგილუს — იგი მთლიანად ეკუთვნოდა ბაბილონელთა უზენაეს ღმერთს მარდუქს. ამ მთავარი ტაძრების გარდა ბაბილონში უამრავი სხვა ტაძარიც იყო. მარტო მთავარი ღმერთების სახელზე 53 ტაძარი იყო აგებული, ქუჩის პატარა სამლოცველოებს და ნიშებს ხომ ვინ მოთვლის.

ბაბილონის ქუჩები სავსე იყო ჭრელი, მრავალეროვანი ხალხით. აქ ნახავდით ეგვიპტელებს, სირიელებს, მიდიელებს.

ბაბილონის სიმდიდრე იზიდავდა უამრავ მოგზაურს, მათ უნდოდათ, თავისი თვალით ეხილათ არაჩვეულებრივი ქალაქი და მისი განთქმული კედლები, რომელთა სიგანე საშუალებას იძლეოდა ერთდროულად მასზე რამდენიმე ეტლს გაევლო.

ესაგილუს კოშკი თავისი შესანიშნავი გარეთა კიბით და ღმერთ მარდუქის სამყოფელით საოცარი რამ იყო, მაგრამ მოგზაურებს ყველაზე უფრო აკვირვებდა დაკიდული ბაღები, მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ რომ იყო გაშენებული. ამ ბაღების ბადალი არ მოიძებნებოდა ცისქვეშეთში. ტყუილად არ ითვლებოდა იგი ქვეყნიერების ერთ-ერთ საოცრებად.

ამ ბაღების ნახვა არც ისე ადვილი გახლდათ. იგი ხომ ბრწყინვალე სამეფო სასახლის ციხე-სიმაგრის კედლების გადაღმა მდებარეობდა. მის შესასვლელს იცავდნენ თავით-ფეხებამდე შეიარაღებული, მრისხანე დარაჯები. ეს ბაღები შექმნილი იყო ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ, რომელმაც იგი მიუძღვნა თავის საყვარელ მეუღლეს-მიდიის მეფის ასულს. მეფის ასული მიჩვეული იყო თავისი ქვეყნის მწვანით შემოსილ მთებს და ტყეებს და დარდობდა მათზე ხრიოკ და ცხელ ბაბილონში. რომ შეემსუბუქებინა მეფის ასულის დარდი, ნაბუქოდონოსორმა გადაწყვიტა, ეჩუქებინა მისთვის მთელი ოაზისი, რომელიც თითქმის მთლიანად წამოღებული გახლდათ მიდიის მთებიდან.

ეს სახელგანთქმული ბაღები განთავსებული იყო ფართო, ოთხიარუსიან კოშკზე. ყოველი იარუსის შიგნით გაკეთებული იყო მაგარი, აგურის თაღები, მძლავრ, მაღალ ბოძებს რომ ეყრდნობოდა. ტერასის პლატფორმები ნაგები იყო უზარმაზარი ქვის ლოდებისაგან. ლერწმის ფენებისგან დაფარულნი, ისინი ზემოთ ამოვსებული იყო ასფალტით, მერე მოდიოდა ორმაგი წყობის თაბაშირით დაცემენტებული აგურებიანი შუასადები. აგურები დაფარული იყო ტყვიის ფილებით, წყალს რომ არ შეეღწია ქვედა სართულის ბაღების ნიადაგამდე. ამ რთულ ნაგებობაზე ზემოდან დადებული იყო ნოყიერი მიწის ზვინები, რომ მასზე ეხარა ყველაზე მსხვილ ხეებს.

ბაღების იარუსები მაღლდებოდა გამონაშვერით, ერთმანეთთან შეერთებული რომ იყო ფართო კიბეებით, რომლებიც კარგად გათლილი ვარდისფერი და თეთრი ფილებით გახლდათ ნაგები. ზღაპრულად მშვენიერი ეს ბაღები ეყრდნობოდა მძლავრ კოლონადებს. მეფის ბრძა-

ნებით, აქ დაირგო მიდიელთა მეფის ასულის საყვარელი მცენარეები, რომლებიც დედოფალს შორეულ სამშობლოს აგონებდნენ.

პალმების შესანიშნავი ხეივანი მეფის სასახლის ციხე-სიმაგრის კედლებს აღმა მიუყვებოდა. იშვიათი მცენარეები, არაჩვეულებრივი ყვავილები ამშვენებდნენ ამ ბაღს. ბოძების სიმაღლე 25 მეტრს აღწევდა, მცენარეებს სინათლე ბლომად ჰქონდათ. ამ ზღაპრული ბაღების მოსარწყავად ასობით მონა მთელი დღე-ღამის განმავლობაში ატრიალებდა უზარმაზარ წყალსაქაჩავ ბორბალს, ტყავის სათლებით რომ ხაპავდა წყალს.

ადამიანებს სასწაულებრივად ეჩვენებოდათ უტყეო და ტაფობზე მდებარე ბაბილონში ამ ბაღების სურნელება, ჩრდილი და სიგრილე.

ზაფხულში, 323 წელს ჩვ. წ. აღ-მდე, უძველესმა ბაბილონმა კვლავ იხილა თავის კედლებში მეფე ალექსანდრე მაკედონელი, ლაშქრითურთ.

აქედან, ბაბილონიდან, რომელიც ალექსანდრემ გადაწყვიტა ექცია თავისი უზარმაზარი სამფლობელოს დედაქალაქად, აპირებდა ახალი ლაშქრობის წამოწყებას. დიდი ფლოტით იგი ვარაუდობდა არაბეთის ნახევარკუნძულის შემოვლას და ეგვიპტისაკენ პირდაპირი გზის გაკვალვას. ეგვიპტიდან პატივმოყვარე მეფეს უნდოდა გეზი დასავლეთისაკენ აეღო, და დაემორჩილებინა კართაგენი, იტალია, ესპანეთი. მას სწადდა თავის მფლობელობის ქვეშ ჰყოლოდა ყველა ის ქვეყანა, რომელსაც კი იცნობდა.

საომრად მზადება უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ უეცრად მეფემ ცუდად იგრძნო თავი. მწოლიარე, იგი მაინც განაგრძობდა განკარგულებების გაცემას, თავისთან იბარებდა მხედართმთავრებს, მათთან ერთად ბჭობდა მომავალ ლაშქრობაზე, არმიის საჭირბოროტო საკითხებზე. მაგრამ ძლიერი შეტევები თანდათან ასუსტებდა მის ორგანიზმს. მან ბრძანა, თავისი საწოლი გადაეტანათ დაკიდულ ბაღში. აქ, ქვედა იარუსზე ალექსანდრეს უნდოდა გაქცეოდა ბაბილონის მზის მხურვალებას, ასე ცუდად რომ მოქმედებდა მასზე. მაგრამ მომაკვდავ ალექსანდრეს უკვე არაფერი შველოდა. მისი ექიმი ფილიპე ამაოდ ასმევდა მას ნაირ-ნაირ წამლებს. სიცხე არა და არ კლებულობდა. ალექსანედრემ ბრძანა მისი საწოლი ახლა იმ დარბაზში გადაეტანათ, სადაც ოდესღაც ამაყმდუმარებაში, გაქვავებული სახით ტახტზე იჯდა ნაბუქოდონოსორი, — ამ დიდებული ბაღების შემომქმედი. მომაკვდავი მეფის საწოლი დადგეს ამაღლებულ ადგილზე. ალექსანდარეს სურდა, ეჩვენებინა თავისი ძველი მეომრებისათვის, რომელთაც თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრეს, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალია. ამავდროულად, ეს იყო გამოთხოვება თავისიანებთან.

ღრმა სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ იარაღის ჟღარუნი არღვევდა, მაკედონელმა ჯარისკაცებმა მდუმარედ ჩაუარეს მომაკვდავ მეფეს. ბალიშებზე ნახევრადწამომართული, უსიცოცხლო მზერით აცილებდა იგი თავის პირქუშ მებრძოლებს. ზოგ მათგანს ჯერ კიდევ ცნობდა და თავს უქნევდა. რამდენიმე დღის შემდეგ ალექსანდრე გარდაიცვალა.

გავიდა წლები, საუკუნეები. იმ სავაჭრო გზებზე, ახლა ბაბილონის გვერდის ავლით რომ გადიოდა, აღმოცენდნენ ახალი, დიდი ქალაქები. თანდათან დაცარიელდა და დაცემა იწყო ერთ დროს ხმაურიანმა და მჩქეფარე ბაბილონმა. წყალდიდობებმა დაანგრიეს ნაბუქოდონოსორის სასახლის კედლები. წყალმა თანდათან დაარბილა ცუდად გამომწვარი თიხა, ტერასებმა დაიწია, ჩამოიქცა თაღები და ბოძები, რომელთა გამონაშვერზე ოდესღაც თავს იწონებდა დაკიდული ბაღის მცენარეები. ორიათასი წლის განმავლობაში მიწასთან მოსწორდა — სასახლეები, ტაძრები, ციხე-სიმაგრეები — ასე რომ ანცვიფრებდა ადამიანებს თავისი დიდებულებით და არაჩვეულებრივი სიმაგრით.

თიხა, რომლისგანაც შუამდინარეთის მაცხოვრებელნი აკეთებდნენ ყველაფერს — ბავშვის სათამაშოთი დაწყებული, ღმერთების ტაძრებით და ციხე-სიმაგრეებით დამთავრებული — ძალიან იაფი, მაგრამ არამყარი მასალა იყო. ეგვიპტელთა ქვის ნაგებობებმა, ასირიულ თუ ბაბილონურზე არანაკლები ხნისანი რომ იყვნენ, თუმცა ძლიერ დაზიანებული სახით, მაინც ჩვენს დრომდე მოაღწია. ალიზის აგურებისაგან ნაგები კედლები კი ადვილად დაიმსხვრა, დაიშალა, გადაირეცხა და ნაცარმტვრად იქცა. მხოლოდ ძველი ავტორებისაგან შემოგვრჩა ბაღების აღწერილობა და ამის მიხედვით თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი იყო ის. თუმცა მათი დაღუპვის შემდეგაც არ შემწყდარა ამ საოცარ ბაღებზე ლაპარაკი. ლეგენდებმა იგი აქციეს სემირამიდას დაკიდულ ბაღებად, თუმცა სინამდვილეში ასირიის დედოფალი სემირამიდა ნაბუქოდონოსორზე ბევრად უფრო ადრე ცხოვრობდა. მი-



უხედავად იმისა, თუ ვის მიაწერდნენ ამ საოცარ ნაგებობას, იგი ადასტურებდა ბაბილონელ მშენებელთა არაჩვეულებრივ ნიჭსა და უნარს. საჭირო იყო უდიდესი ცოდნა და გამოცდილება, რომ ზუსტად გამოეანგარიშებინათ სიდიდე იმ ბოძებისა და თაღებისა, რომელსაც უნდა გაეძლო პლატფორმაზე დაყრილი მიწისა და მცენარეთა უშველებელი სიმძიმისათვის. ცოდნამ, მიწის მოსარწყავად რომ დაგროვდა ბაბილონში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ხელი შეუწყო მშენებლებს, შეემუშავებინათ მორწყვის სისტემა ბაღებისა, ევფრატის დონეზე მაღლა რომ მდებარეობდა. ძველმა ბაბილონელებმა კარგად იცოდნენ მათემატიკა და შეეძლოთ მისი პრაქტიკაში გამოყენება, ისინი აკეთებდნენ რთულ გამოთვლებს. შუამდინარეთის ნოყიერი, მაგრამ მშრალი ნიადაგი მოითხოვდა მორწყვის სათანადო ნაგებობების შექმნას — არხები იქნებოდა ეს თუ დამბები. ამიტომაც ქურუმთა და გადამწერთა — ამ განათლებულ პირთა — მთელი ჭკუ-გონება მიმართული იყო მეცნიერების ისეთი დარგების განსავითარებლად, როგორიც იყო — პლანიმეტრია და სტერეომეტრია. ბაბილონელმა მათემატიკოსებმა შექმნეს ალგებრის საფუძველი. მათ შეეძლოთ არა მარტო კვადრატული, არამედ კუბური ფესვის ამოყვანაც (ბაბილონის რიცხვითი სისტემიდან არის დღემდე ჩვენში მიღებული 60 წუთად, წუთის 60 წამად და 360 გრადუსად დაყოფა). მიწის მორწყვასთან, მდინარეთა ადიდებაზე დაკვირვების შედეგად მიღებულ ცოდნასთან იყო დაკავშირებული ცის თაღზე ვარსკვლავებისა და პლანეტების მოძრაობის ამოცნობა, ამიტომაც ასტრონომია კარგად იცოდნენ ძველმა ბაბილონელებმა. კაცობრიობამ მათგან შეითვისა ვარსკვლავიანი ცის რუკა.მშენებელთა ღრმა მათემატიკურმა ცოდნამ საშუალება მისცა მათ, გადაეწყვიტათ წარმოუდგენლად რთული და ძნელი ამოცანა — აეწიათ ცოცხალი მცენარეებით გაშენებული ბაღები ბაბილონის ციხე-სიმაგრეთა სიმაღლემდე, რომელიც, ჰეროდოტეს თქმით, 100 მეტრს აღწევდა. ისე დიდებულად იყო განხორციელებული ეს ჩანაფიქრი, რომ თანამედროვეთა განცვიფრებას იწვევდა და დიდხანს შემორჩა ადამიანთა მეხსიერებას, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებათაგანი. სინამდვილეში ვის ეკუთვნოდა ის ბაღები, ნაბუქოდონოსორს თუ სემირამიდას — ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — მთავარია, რომ იგი აშენებული იყო ბაბილონის შესანიშნავი ოსტატების მიერ, ზღაპრული სასწაულების მოხდენა რომ ძალუძდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოდა ქერათმიანებს ირჩევს

ლამაზმანი მოდელიორი ნაომი კემპბელი კატეგორიულია: იმისათვის,რომ გახდე კარგი მანეკენი, აუცილებლად ქერა უნდა იყო, ცისფერი თვალებით და არა შავი, ყავისფერი თვალებით. „შავ პანტერად“ წოდებული მოდელი ამ ამბავს რასისტულად კი არ თვლის, უბრალოდ იგი თავს დამცირებულად გრძნობს მოდის სამყაროში. „დღეს მე ვგრძნობ, რომ დაჩაგრული ვარ. იმისათვის რომ კარგი გასამრჯელო გქონდეს, მე ასე დავადგინე, აუცილებლად უნდა იყო ქერა.“ — განუცხადა ფერადკანიანმა ტოპ-მოდელმა „დეილი ტელეგრაფს“.



## ქველმოქმედი ჰინგისი

ჩვიდმეტი წლის შვეიცარიელმა ჩოგბურთის ვარსკვლავმა მოგეხსენებათ, როგორ გაითქვა სახელი. იგი ახლა თითქმის დაუმარცხებელია. წელს ჰინგისი ყველაზე შემოსავლიან ჩოგბურთელად აღიარეს. ძნელია, თითქმის ბავშვმა, ამხელა წარმატებებს მიაღწიო ასეთ ასაკში, მაგრამ ჰიგინსმა კიდევ უფრო აღაფრთოვანა თავისი თაყვანისმცემლები, როდესაც მან 450 ათასი დოლარი გადაურიცხა ეთიოპიაში პოლიომილიტით დაავადებულთა დამხმარე ორგანიზაციას. ამგვარად, ლამაზი მარტინა არა მარტო კარგი ჩოგბურთელია, არამედ ქველმოქმედიც ყოფილა.

## ცხოვრების ნორმალური წესი

იგი მულტიმილიონერია, მაგრამ ნორმალურად ცხოვრება ახლახანს შეძლო. საქმე ეხება „ფორმულა 1“ ყოფილ პილოტს, მრავალგზის ჩემპიონს ჯეკი სტუარტს. როგორც თვითონ აღნიშნავს, მარტო მანქანის კარგად ტარება არ არის საკმარისი, იმისათვის რომ კარგად იცხოვრო, უნდა იცოდე ცხოვრების ნორმალურად გატარების წესებიც. ახლახანს, ინგლისში გამოიცა წიგნი, სადაც სტუარტის ცხოვრებაა ასახული, რომელიც მისთვის არცთუ დალაგებული იყო. „ახლა, 42 წლის ასაკში მივხვდი, თუ როგორ უნდა ვიცხოვრო. აქამდე მე ამას ვერ ვხვდებოდი, ეს ჩემმა ოჯახის წევრებმა მასწავლეს“ — ამბობს ჯეკი სტუარტი.

## ვიტამინი E შიდსის წინააღმდეგ



ბალტიმოროს ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ცდებით დაადგინეს, რომ ვიტამინი „E“ შიდსის წინააღმდეგ ძალიან აქტიურად მოქმედებს. ცნობილი ჟურნალის „შიდსი“ რედაქტორმა, დოქტორმა ელის ტანგმა განაცხადა, რომ აღნიშნული ვიტამინი 34% უშლის ხელს ამ ავადმყოფობის განვითარებას. მისი მიღება დოზების მიხედვით უნდა მოხდეს და იგი აგრეთვე ამტკიცებს, რომ ვიტამინ „E“-ს საშუალებით მალე შეიძლება შესაძლებელი გახდეს მთლიანად მორჩენის პრეპარატის გამოგონება.

## რუსების გამოგონება

მოსკოვის აუტანელ ყინვებში, (რომელიც ხანდახან 30 გრადუსს აღწევს) ცხოველების მოყვარულ რუსებს, ძაღლების გასეირნებასთან დაკავშირებით, დიდი პრობლემები ჰქონდათ. თუმცა ვინმე ტატიანა მაკაროვამ ეს საკითხი ადვილად გადაჭრა და საკუთარი წარმოების ძაღლის ტანსაცმლების გამოშვება დაიწყო. პერანგიდან დაწყებული თბილი ქურთუკით დამთავრებული. ძაღლის პატრონს ტატიანასთან შეუძლია ყველაფრის შეძენა. ფასი კი 150-დან 1000 მანეთამდეა.

***

რამდენიმე ხნის წინათ, ტაივანის დედაქალაქში მდებარე ერთ-ერთ საყდარს მსოფლიოში ყველაზე დიდი ღორი შესწირეს. ღორი 961 კილოგრამს იწონიდა და იგი თოთხმეტ ადამიანს გადაჰყავდა. მეპატრონეთა განცხადებით, ეს ღორი, ალბათ, გინესის წიგნში შევა. მის თავს და ტყავს კი საყდრის კედლებზე ჩამოკიდებენ.

## ციხის მოყვარული კაცი

ინგლისელმა თომას ჰანდორფმა რამდენიმე წელი ციხეში გაატარა. განთავისუფლებულმა და ოჯახში დაბრუნებულმა, მეუღლისა და ქალვაჟის გამუდმებული ჯიჯღინი და ჭირვეულობა ველარ აიტანა, თავისი წილი ქონება გაყიდა და მშვიდად საცხოვრებლად ციხეში ერთადგილიანი საკანი სამუდამოდ შეიძინა.

## ტოპ-მოდელი კინოში

რას არ ეცადა ბეატრის დალი, როგორ არ მოაწონა თავი რეჟისორ აბელ ფერარას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მას მიზნად ცნობილი მოდელი კლაუდია შიფერი ჰყავს ამოღებული. რეჟისორმა იგი თავის ახალ ფილმში გადასაღებად დაიგულა. თუ გავითვალისწინებთ, რომ შიფერს უკვე აქვს ეპიზოდურ როლებში მიღებული გამოცდილება, მისთვის ეს ფილმი პირველი არ იქნება. ტოპ-მოდელს კი პარტნიორად



ცნობილი მსახიობები კრისტოფერ უოლკენი და ჰარვეი კეიტალი შეურჩიეს.

***

შვეიცარიის საავადმყოფოებში მომაკვდავი ავადმყოფები სპეციალურ პალატებში გადაჰყავთ, რომელთა ჭერი, კედლები და საწოლები ღია ცისფრად არის შეღებილი. ფანჯარას გამჭვირვალე თეთრი ფარდა ფარავს, ყოველ ერთ საათში პალატაში ათი-თხუთმეტი წუთით საგალობლები და საორღანო მუსიკა ირთვება.

ამ პალატებს განსაკუთრებული ის აქვთ, რომ სარკმლის ზედა კუთხეში ღიად დატოვებული მცირე ზომის ჩარჩოა, რათა გარდაცვლილის სხეულიდან ამოსული სული სივრცეში თავისუფლად გაიჭრას. აი, ასე ამზადებენ საიქიოსათვის ადამიანებს შვეიცარიაში.

## გაერთიანებული მონსტრები

იტალიური კინოს ორი დიდი კინოვარსკვლავი — ერთმანეთის მეტოქე, რომელთაც ოცი წლის მანძილზე თავიანთი თაყვანისმცემლები მთელ მსოფლიოში ორად ჰყავდათ გაყოფილი, ერთნი სოფი ლორენის მომხრეებად, მეორენი კი ჯინა ლოლობრიჯიდას თაყვანისმცემლებად, ამჯერად პირველად გაერთიანდებიან ეკრანზე. ამ ორი მონსტრის გაერთიანება კი მოახერხა რეჟისორმა რობერ ელდრიშმა, რომელმაც სახელი 60-იან წლებში გაითქვა. მაშ ასე, პირისპირ წარდგებიან სოფი ლორენი და ჯინა ლოლობრიჯიდა. მათ გარდა ამ ფილმში მონაწილეობენ ბეტ დევისი და ჯოან კროუფორდი.





## ცნობილი ადამიანების ცხოვრება

- მარია მილოშევიჩმა, სერბიის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის ქალიშვილმა ბელგრადში ღამის კლუბი გახსნა, ერთ-ერთი ძველი ევანგელისტური ეკლესიის ადგილას.
- 42 წლის სინდი ლაუპერი თავის პირველ ბავშვს ელოდება. ამ ამბავს ნამდვილად არ შეუშლია მისთვის ხელი. იგი ახლა ამერიკაში მართავს ტურნეს ტინა ტერნერთან ერთად.
- ჰოლივუდის ვარსკვლავი ემა ტომპსონი, როგორც თვითონ ამბობს, ერთ-ერთი საუკეთესო როლისთვის ემზადება. მის მომავალ ფილმს „დოგმა“ ეწოდება და იგი ღმერთის როლს შეასრულებს.



Les Spice Girls

# „გეყოფა ჰამლეტ გამყოლი ტირის"



1952 წელია, 13 თებერვალი. თბილისიდან კახეთს უნდა წავსულიყავი ღამის მატარებლით ახლობლების სანახავად, რადგან სამუშაოდ შუა რუსეთში (კურსკის ოლქში) ვიყავი განაწილებული და ჩემიანებს კარგა ხანს ვერ ვნახავდი.

რკინიგზის სადგურში მატარებელი ჩამომდგარი დამხვდა. ჯერ კიდევ ომის დროინდელი ღია ვაგონები.ორთქლმავალი წასასვლელად არის გამზადებული, დაღლილივით ქშინავს.

ვაგონში, სადაც ავედი, ხალვათობაა. ჩემ სიახლოვეს არავინ ზის. ჩემ წინ სამი სკამის მოშორებით ორი მგზავრი მოკალათებულა — ლამაზი ჭაბუკი და მეტად სანდომიანი სახის ქალი. ჩანდა, დედაშვილი იყვნენ. ჩვენს ვაგონს კიდევ შემოემატა რამოდენიმე მგზავრი და მატარებელიც დაიძრა.

ფიქრს მივეცი თავი, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ორი სიტყვა რუსული არ ვიცოდი და, სამუშაოდ რუსეთში მაგზავნიდნენ. ბუნებრივია, ფიქრთა ძაფმა რუსეთში გადაინაცვლა. ვფიქრობდი: როგორ მიმიღებდნენ „მუნჯს", როგორ შევეგუებოდი რუსეთის კლიმატს, ან რა უნდა მეკეთებინა გეოლოგს ტაშივით გაშლილ ვაკეზე, სადაც ქანების გაშიშვლება იშვიათია, მისანი ხომ არ ვიყავი, მიწის სიღრმეში რა იმალებოდა გამომეცნო.

დიახ, ფიქრთა გორგალი ათასნაირად იბლანდებოდა ჩემს გონებაში.

არ ვიცი, სადამდე გაგრძელდებოდა ეს, რომ ორთქლმავალმა სამგორის ველის მიხვეულ-მოხვეულ რკინიგზას მიაკივლა თუ არა, ჩემი ფიქრთა ძაფიც გაწყდა... გაწყდა იმიტომ კი არა, რომ მოულოდნელად ყურში ჩამესმა ორთქლმავლის საყვირის მჭექარე ხმა, არა... გაწყდა იმიტომ რომ მომესმა რაღაც ჯერ არ გაგონილი, ღვთიური სიმღერა — ოროველა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თმები ყალყზე დამიდგა, თვალებიდან ღაპაღუპით წამომივიდა ცრემლები.

ინსტინქტურად სამგორის ველს გავხედე, თითქოს სიმღერის ხმა შორიდან მოისმოდა, მაგრამ მთვარიან ღამეში გუთნეული არსად ჩანდა, არც „ჰამო-ჰოს" გამოძახილი ისმოდა საიდანმე, ამ დროს გუთნეულს რა უნდოდა, როცა ჯეჯილი უკვე ბიბინებდა.

ჩემდაუნებლიეთ დედა-შვილისაკენ გავიხედე. ჭაბუკს მარჯვენა ნიდაყვი ღია ვაგონის მოაჯირისათვის დაეყრდნო და ჯიდა თვალებით სამგორის ველს გადასცქეროდა. პირი მოეკუმა და ულვაშებში თითქოს ეღიმებოდა. დროდადრო ცხვირის ნესტოები ებერებოდა. გაშტერებული მივჩერებოდი და ვფიქრობდი: ნუთუ არ ესმის ღვთიური ჰანგები?! თუ ესმის, ისიც რატომ არ ტირის ჩემსავით-მეთქი.

ქალმა ჩემი მზერა დაიჭირა უცებ, ჯერ შემომხედა, მერე თვალი მომარიდა, ჭაბუკს მიუბრუნდა და ხმამაღლა გადაულაპარაკა: „გეყოფა, ჰამლეტ, გამყოლი ტირის"...

ამის თქმა და სიმღერის შეწყვეტა ერთი იყო, მეც ცრემლები შემიწყდა... დიახ, „სიმღერა იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა", — ბრძანებდა ილია.

ვაგონში მივიხედ-მოვიხედე. გამყოლი არსად ჩანდა, ჩანს, ქალმა ჩემი გეოლოგიური ფორმა რკინიგზელის ფორმად მიიღო. მე ისევ ჭაბუკისაკენ გავაპარე მზერა, მის ქართულ ვაჟკაცურ სახეს ახალდაყენებული ულვაშები და დატალღული ხშირი თმა ამშვენებდა... მე სიმღერისაგან გაბრუებულს, არ მჯეროდა, თუ ის ჭაბუკი მღეროდა, არ მჯეროდა რადგან წარმოუდგენელია, ასე ემღერა კაცისშვილს...

მე კი არა, მთელმა მსოფლიომ დაიჯერა უბადლო და განუმეორებელი, გასაოცებელი ხალხური სიმღერები, ჰამლეტ გონაშვილის ყელიდან რომ ამოდიოდა. „სიმღერა გულისთქმაა, როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს", — ესეც ილიას ნაბრძანებია.

ჰამლეტ გონაშვილის შესახებ შეიძლება გავიმეოროთ ის სიტყვები, რომელიც ძველ ეგვიპტის ერთ-ერთ მომღერლისადმი მიძღვნილ მარმარილოს დაფაზეა წარწერილი: „ვით მზის ამოსვლა, ისეთი იყო შენი ამ ქვეყნად მოსვლა".

ჰამლეტ გონაშვილის სიმღერას ჰქონდა თავისი მუსიკალური სტილი, მაგრამ ეს როდია მთავარი, საკმარისი იყო თუნდაც ერთი ბგერის ამოძახილი, რომ დარწმუნებულიყავი, ეს არ იყო მარტოდენ სიმღერა: იყო რაღაც კიდევ უფრო მეტი, თავისებური და განუმეორებელი. ვერავინ იმღერებდა ისე, როგორც ჰამლეტ გონაშვილი მღეროდა.

იგი ქართულ სცენაზე მოვიდა, როგორც უსუფთავესი ოცნება ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ. მოხდენილი იყო, გონიერი და მთელი არსებით ამღერებული.

ბუნება, საერთოდ, იშვიათად ყოფილა ასე უხვი მიწიერისადმი და ჩვენთვის, გონაშვილის მომსწრეთათვის მისი მსგავსის მოსმენა და ნახვა, ალბათ, ისევე შეუძლებელი იქნება ამიერიდან, როგორც პირველი სიყვარულის ხელახლა განცდა!

დავით ყანდაშვილი

# ეროვნული მოძრაობის სათავეებთან

## გურამ შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ უამრავი მაგალითი შემოგვინახა ისტორიამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩვენი სამღვდელოების მოღვაწეობის შესახებ, იმათ შესახებ, რომლებმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში იგრძნეს და დაინახეს, თუ როგორი მზაკვრული ხერხებით ცდილობდა გარეშე თუ შინაური მტერი — რუსეთის თვითმპყრობელობაცა და მოსყიდული „მოყვარეც“, ქართული ეკლესია გაენადგურებინა.

ერის სულიერი მოძღვრები აკვირდებოდნენ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პროცესებს, გულმოდგინედ სწავლობდნენ და ჭეშმარიტად იობის მოთმინებით უძლებდნენ მათ თავზე დაბრუნებულ წისქვილის ქვას.

ქართველ მღვდელმსახურთა დიდად სასარგებლო და გონივრულ მოღვაწეობასა და საქმიანობაზე მიუთითებს თუნდაც აფხაზეთში ამ დროის მონაკვეთში აღნუსხული მოვლენები.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის გარუსების საქმეში თვითმპყრობელობა დიდ იმედებს ამყარებდა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე. თვლიდა, რომ სოხუმის ეპარქიაში რუსი სასულიერო პირების დანიშვნით მნიშვნელოვნად შეასუსტებდა ქართველთა გავლენას აფხაზეთში, გააფერმკრთალებდა ქართველ-აფხაზთა ტრადიციულ მეგობრობას, მათი ერთობლივი სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

თავის დროზე რუსიფიკატორებმა მიზანში ამოიღეს ცნობილი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), რომელსაც მიიჩნევდნენ საშიშ პატრიოტ-ნაციონალისტად.

ეპისკოპოსი კირიონი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, საქართველოდანაც კი იყო გადასახლებული. პეტერბურგში 1908 წელს გამოცემულ თევდორე გერშელმანის წიგნში „კავკასიაში უწესრიგობათა მიზეზები“ ვკითხულობთ:

„სოხუმის ეპარქიაში მისი დაარსებიდანვე იყვნენ რუსი ეპისკოპოსები, რასაც უთუოდ მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა ოლქში რუსული გავლენის განსამტკიცებლად. კირიონის დანიშვნის შედეგად შესამჩნევი გახდა ქართული გავლენის გაძლიერება, რაც გამოიხატებოდა სასულიერო პირთა და სახალხო მასწავლებელთა არჩევაში, სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღებაში, რაც საფრთხეს უქმნის სოხუმის ოლქში რუსულ საქმეს. ამჟამად ეპისკოპოსი კირიონი გადაყვანილია შიდა გუბერნიის სხვა ეპარქიაში... საჭიროდ ვთვლით გვყავდეს სოხუმის ეპარქიაში რუსი ეპისკოპოსი და რუსი სამღვდელოება და ღვთის მსახურება წარიმართოს სლავურ ენაზე“.

კირიონის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მოაწყვეს როგორც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ასევე რეაქციონერმა რუსმა სასულიერო პირებმაც, რომელთა შორის კირიონისადმი აშკარა სიძულვილით გამოირჩეოდა შავრაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი. საარქივო მასალებზე მუშაობისას



ეპისკოპოსი კირიონი

მივაკვლიეთ 1907 წელს დაწერილ კირიონის განმარტებით ბარათს სინოდისადმი ვოსტორგოვის მიერ პრესაში მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების პასუხად. მოვიტანთ შავრაზმელი „ღვთის მსახურის“ ზოგიერთ ბრალდებას და მასზე კირიონის პასუხს. აი, ერთ-ერთი მათგანი: „მოსახლეობაში ნაძირალებს შორის გროვდება ხელმოწერები შუამდგომლობისათვის ამ ტაძარში ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შემოღების შესახებ“.

ამაზე კირიონი უპასუხებს:

„გამოთქმა „ნაძირალები“ ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ მტრობასა და სიძულვილს ავლენს ავტორი ადგილობრივი მართლმადიდებელი ქართველებისადმი. შეიძლება კი ელოდე პირუთვნელ სამართლიან მსჯელობას პირისაგან, რომელიც ასე მტრულადაა განწყობილი ქართველების მიმართ?..“

ვოსტორგოვი მეორე ბრალდებად აღნიშნავს, რომ კირიონი „ძალით ამკვიდრებს ქართულ ენას აფხაზთა შორისო“. ამ ბრალდებაზე ეპისკოპოსი კირიონი უპასუხებს: „სამურზაყანოს სკოლები ითვლება ქართულ სკოლებად იმის გამო, რომ სამურზაყანოს მცხოვრებნი მეგრელები — ქართველები არიან.“

ქართული ეკლესიის ბურჯი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე იქვე ხაზგასმით მიუთითებს ქართველთა და აფხაზთა ძირძველ ურთიერთობაზე, მათ სიახლოვეზე: „აფხაზები დაახლოებით ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველთა ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდნენ. არ ჰქონდათ რა თავისი დამწერლობა, ღვთის მსახურება მათთან წარმოებდა ქართულ ენაზე, მაგრამ ამის გამო ისინი არ გაქართველებულან... აფხაზურ მრევლში ყველა ქართველმა მღვდელმა იცის აფხაზური ენა, ხოლო აფხაზებმა თითქმის ყველამ... მეგრული — ქართული ენის კილო“.

ეროვნული იდეალებისადმი ერთგული სასულიერო წოდების წარმომადგენელნი, მათი ოჯახის წევრები ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მოწინავე რაზმს შეადგენდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რის გამოც მათ მიმართაც ტარდებოდა ხელისუფლების რეპრესიები.

ჩვენს ხელთაა სია იმ პირებისა, რომლებიც დააპატიმრეს გაზეთ „ელვის“ რედაქციაში 1906 წლის 15 აპრილს.

როგორც საქმიდან ჩანს, ამ გაზეთის რედაქციაში დაპატიმრებულთა შორის ყოფილა სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგის მღვდლის შვილი ვლადიმერ გიორგის-ძე ახმეტელაშვილი.

ქართველი სასულიერო პირები ებრძოდნენ უსამართლობას, ტერორს, ყაჩაღობას, ამხელდნენ ხალხის მიმართ ძალადობის ფაქტებს, რის გამოც ისინი, განსაკუთრებით კი სოფლის ღარიბი სამღვდელოების წარმომადგენელნი, შეიარაღებული ბანდიტების მსხვერპლნი ხდებოდნენ.

თვითმარქვია „რევოლუციონერმა“ ყაჩაღებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სოფელ წრომის მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი, რომლის ბინა, როგორც მისი ვაჟის, აწ განსვენებულ გიორგი დავითაშვილისაგან გამიგონია, ქართველ მოაზროვნეთა შეკრების ადგილს წარმოადგენდა. ამის გამო მამა ალექსანდრეზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა იყო დაწესებული.

და აი, ერთ დღეს ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ ალექსანდრე დავითაშვილის ოჯახს. თოფებითა და რევოლვერებით შეიარაღებული რვა კაცი ჯერ შევიდა საჯინიბოში, შეიპყრეს მსახური, თექვსმეტი წლის გერმანე შუბითიძე და გაემართნენ მღვდლის ბინისაკენ.

მღვდელი ამ დროს იწვა და ეთამაშებოდა უმცროს ქალიშვილს. ამავე ოთახში იმყოფებოდა მღვდლის ცოლი და მეორე ქალიშვილი თამარი.

შევიდნენ ოთახში და შეეკითხნენ:

— ეს შენ ხარ, საშო?!

— დიახ, — იყო პასუხი.

მაშინ ბოროტმოქმედებმა მოითხოვეს ფული და იარაღი, რაზეც მან უპასუხა, რომ არ გააჩნია არც ფული და არც იარაღი.

მღვდლის ცოლმა და ქალიშვილმა შეიარაღებული პირების დანახვაზე ატეხეს ყვირილი და შეეცადნენ გაქცეულიყვნენ ოთახიდან, მაგრამ ყაჩაღებმა არ გაუშვეს.

მღვდელი ძალით, საცვლების ამარა გაიყვანეს გარეთ. გაისმა ორი სროლა. ამის შემდეგ ყაჩაღები სწრაფად გაუჩინარდნენ. ატყდა ერთი აურზაური. შეგროვდა ხალხი, მაგრამ ვერავინ გაბედა ყაჩაღების დადევნება.

უნდა ითქვას, რომ მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი მთელი არსებით უჭერდა მხარს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას და ამ საკითხზე პროპაგანდას ეწეოდა გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამები თავს დებდნენ

ხობაში. სოფლის სამღვდელოება განსაკუთრებით მეოცე საუკუნის დამდეგს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სული და გული იყო და ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

...ჰკლავდნენ სულიერ მამებს და სურდათ ამით შიში გამოეწვიათ პატრიოტული სულისკვეთების მქონე ხალხში. მოკლეს კირიონ ეპისკოპოსი, რომელიც 1918 წელს, საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად იყო არჩეული. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საჭიროა გადაისინჯოს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ნეგატიური მოსაზრებანი, რომლის მიხედვითაც ქართველი სამღვდელოება უმეტესწილად თვითმპყრობელობის დასაყრდენად, ანტიეროვნულ, რეაქციულ ძალადაა მონათლული.

პირიქით კია და ეს უნებლიეთ ჩადენილი შეცდომა (თუ დანაშაული), რაც შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს.

## ულმობელი ტერორი მღვდლების წინააღმდეგ

ვ.ი. ულიანოვ-ლენინის მტრული დამოკიდებულება ეკლესიისა და რელიგიის მიმართ საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. უკანასკნელ წლებში საიდუმლო დოკუმენტების გამომზეურება ავსებს სურათს იმ წარმოუდგენელი მხეცობებისა და დანაშაულებრივი მოქმედებებისა, მორწმუნეთა და სასულიერო წოდების მიმართ რომ იჩენდნენ და რისი ინიციატორიც პირადად გახლდათ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. მაგრამ დღესაც კი „ლენინის მემკვიდრეობის" ძალიან ცოტა მკვლევარმა თუ უწყის, ანტირელიგიური კამპანია იმ წლებში საკმაოდ უცნაურ, გამორჩევით ხასიათს რომ ატარებდა.

ეკლესიის დევნა პრაქტიკულად ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის პირველსავე დღეებში დაიწყო. შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი ეტაპი, ლენინის ინიციატივით რომ ტარდებოდა 1917 წლის ნოემბრიდან — 1919 წლამდე. დაიხურა მონასტრები და ტაძრები. ეკლესიას ჩამოერთვა იურიდიული პირის უფლება, საეკლესიო ქონების დიდი ნაწილი ამოღებულ იქნა, 1918-1920 წლებში სასულიერო წოდებას ჩამოერთვა პოლიტიკური უფლებანი. 1920 წლიდან ბოლშევიკები „მუშაობდნენ" ეკლესიის შიგნიდან გასახრწნელად, განხეთქილების შესატანად და ბოლოს, 1922 წლის გაზაფხულიდან დაიწყო ეკლესიების ორგანიზებული მასიური ძარცვა და კულტის მსახურთა დახვრეტები.

მარტო პეტროგრადში დახვრიტეს 550 მღვდელი, ბერი და ეკლესიის იერარქიის სხვადასხვა წარმომადგენელი. დახვრეტას ხშირად წინ უსწრებდა წამება და შეურაცხყოფა-დამცირება: თვალების ამოთხრა, ცხვირპირის მოჭრა და ა.შ. სასულიერო წოდებისთვის წართმეული მონასტრებისა და ტაძრების რაოდენობა ათასებს აღემატებოდა, ამოღებული საეკლესიო ძვირფასი ნივთების ღირებულება — მილიარდობით ოქროს ფულს შეადგენდა.

რელიგიური კულტმსახურთა მიმართ ამგვარი სისასტიკე და დაუნდობლობა, ანალოგი რომ არა აქვს უახლოესი დროის ისტორიაში, თითქმის მთლიანად მიმართული იყო მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ. სწორედ ის სძულდა საშინელი სიძულვილით და უკომპრომისოდ „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს". მუსულმანობა კი ლენინის მიერ აღიქმებოდა როგორც მოკავშირე ძალა აღმოსავლეთის ქვეყნებში მსოფლიო რევოლუციის გავრცელების საქმეში.

მაჰმადიანური სასწავლებლებისა და რელიგიური ცენტრების საქმიანობა არ იკრძალებოდა მაშინაც, როცა მასიურად იხურებოდა მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიები და ქალთა ეპარქიალური სასწავლებლები, როცა მიმდინარეობდა პეტროგრადის სასულიერო აკადემიის გარდაქმნა ათეიზმის ცენტრად. კათოლიკობისა და პროტესტანტობის დევნა გარკვეულწილად იზღუდებოდა დასავლეთის რიგი ქვეყნების პროტესტის შიშით, ვინაიდან ბოლშევიკებს უწევდათ ამ ქვეყნებისათვის ანგარიშის გაწევა. მაგრამ, რაც შეეხება მართლმადიდებლურ ეკლესიას, ლენინი იგნორირებას უწევდა დასავლეთის აზრსაც კი. 1922 წ. იანვარში ჩიჩერინმა, რომელიც ცდილობდა ამერიკასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას (სადაც ძალზე უარყოფითად აღიქვამდნენ საბჭოთა რუსეთში ეკლესიის დევნას), წერილობით მიმართა სახალხო კომისარიატს, დაებრუნებინათ ღვთისმსახურთათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ლენინი გამძვინვარდა და პოლიტბიუროს მისწერა, რომ ჩიჩერინის „ეს და მისი სხვა წერილები აშკარად ამტკიცებენ, რომ იგი ავადმყოფია, და თან ძლიერ".

საყურადღებოა, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე, 1921 წლის მარტში, ლენინმა პირიქით მოიწონა იმავე ჩიჩერინის წინადადება იმის შესახებ, რომ „საჭიროა დაცულ იქნას ანტირელიგიური პროპაგანდის დროს ტაქტი ოლქებში მცხოვრები მუსულმანური მოსახლეობის მიმართ".

## „არქითავაზიანობა" სექტანტების მიმართ

ლენინს მიაჩნდა, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ სექტანტური თემების გამოყენებაც ხელსაყრელი იქნებოდა.

1917 წლამდე, დიდი ხნით ადრე, ლენინი მოითხოვდა სოციალ-დემოკრატების რიგებში ისეთი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გამოზრდას, რომლებიც საჭირო მომენტში „უკარნახებდნენ მოქმედების დადებით პროგრამას... სექტანტებს". ამგვარი პოზიტიური დამოკიდებულება ცალკეული არამართლმადიდებლური მიმდინარეობის მიმართ, ბოლშევიკების ლიდერმა შეინარჩუნა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგაც.

ასე მაგალითად, 1921 წლის 6 სექტემბერს რკპ(ბ) ცკ-ს პოლიტბიუროს სხდომაზე, სადაც იხილებოდა კანადის დუხობორების მიმართვა, მიეცათ მათი დელეგაციის წარმომადგენლებისათვის უფლება — სამშობლოში დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკებისა — მიღებულ იქნა ლენინის წინადადება: „დაუყოვნებლივ დაერთოთ ნება და პასუხი მიეცეთ არქითავაზიანად".

მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ ბელადის დამოკიდებულებაში მკვეთრად გამოსჭვივის სურვილი არა უბრალოდ ძლიერი მატერიალური ზარალის მიყენებისა და არც მხოლოდ ღვთისმსახურთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობით დახოცვისა — ბოლშევიკების აქციები მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ატარებდა აშკარად მკრეხელურ ხასიათს.

ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ მორწმუნეთა გრძნობების შელახვას წითელარმიელთა ცალკეული რაზმებისა და ჩეკისტების მხრიდან, რომლებიც თავს უფლებას აძლევდნენ დაემტვრიათ ხატები, დაეფხრიწათ საეკლესიო სამოსელი, მოეწიათ, მოეშარდათ ტაძრებში: მკრეხელობა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ — ფაქტიურად სახელმწიფოებრივ დონეზე იყო დაყენებული.

ძველი ბოლშევიკი პ. კრასიკოვი, რომელიც სპეციალური ანტიეკლესიური განყოფილების უფროსად იყო დანიშნული იუსტიციის ნარკომატის მიერ, იგონებდა, თუ როგორ აღფრთოვანდა ლენინი იდეით, წმინდანთა ნეშტების შეურაცხყოფა კინოში გადაეღოთ. ასეც მოხდა. 1918-1920 წლებში ამოღებულ იქნა 63 წმინდანთა ნეშტი, რომლებიც შემდგომში გადაეცა მუზეუმებს ან საერთოდ დაიკარგა.

ამაოდ ეხვეწებოდა პატრიარქი ტიხონი თავის წერილებში ლენინს, არ შეეგინებინათ რუსეთის დამცველის სერგი რადონეჟელის ნეშტი. ნეშტი მაინც გამოიტანეს ლავრიდან, ხოლო თავად პატრიარქი შემდგომში შეიპყრეს და ციხეში მოათავსეს.

შესაძლოა, თვით ლენინის გარემოცვაში, სადაც ასევე ნეგატიურად ეპყრობოდნენ ეკლესიას, მიაჩნდათ, რომ „ბელადი და მასწავლებელი" ძალიან აჭარბებს. 1923 წლის ივნისში, როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ავადმყოფი ლენინი არ დაუბრუნდებოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, ცეკამ გადაწყვიტა შეეწყვიტათ პატრიარქი ტიხონის დევნა და საერთოდ, შეერბილებინათ ღვთისმსახურთა შევიწროება... რასაკვირველია, დროებით, რათა შემდგომ კვლავ ახალი ტალღა აგორებულიყო მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

**„არგუმენტი ი ფაქტი."**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლუჩანა მოდენეზი

### უცხოური ნოველა



■ იგი ისევ ისეთია, როგორც ოცდაორი წლის წინ გავიცანი. რა თქმა უნდა, ფიზიკურად ოდნავ შეცვლილა, დრო, როგორც ბრძენს უთქვამს, კეთილშობილ რაინდს ჰგავს, სახეში არავის აცქერდება, მაგრამ თავის კვალს ტოვებს. მასაც დასტყობია დროის მსახვრალი ხელი. საგულდაგულოდ წასმული ფერუმარულის ქვეშ აქა-იქ ნაოჭები მოუჩანს. თუმცა, რა გასაკვირია, ორმოცდაათი წელი ყველა ნორმალური ადამიანის სულსაც უნდა ეტყობოდეს და გარეგნობასაც. აი, მას კი დრო ვერაფერს აკლებს.

– ხომ ხარ კარგად? – მითხრა შეხვედრისთანავე თავისი მილანური აქცენტით.

ლექსიკონიც რომ არ შესცვლია?!

კარის გაღებისთანავე ნერვიული ნაბიჯით შემოიჭრა და სასტუმრო ოთახის სავარძელში ჩაეშვა. მზედაკრულზე ქერა თმა უხდებოდა. მაგრამ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სამყარო მთელი თავისი სიმძიმით მას დაყრდნობოდა.

– ნეტა, კიდევ რა დაემართა?! – გავიფიქრე, რადგან მისგან ჩვეულებრივი შეხვედრა არ მახსოვს, ჩემთან მხოლოდ მაშინ მოდიოდა, როცა განმუხტვა სჭირდებოდა. ვინ იცის , მერამდენედ ახსნა, როგორ ჰგავს ცხოვრება პინგ-პონგის მაგიდას, თავად კი პატარა ბურთს, რომელსაც ხან ააფრენენ, ხან მიწაზე ანარცხებენ, ატყუებენ, ათამაშებენ, ანადგურებენ... ისე ხატოვანი ლაპარაკი იცოდა, შენდაუნებურად ჩაგითრევდა საუბარში. ახლაც ზის სავარძელში სახეაჭრილი, თვალებაწყლიანებული და ქოთქოთებს:

– მეტი აღარ შემიძლია, მორჩა, გათავდა, და-მთავრ-და!

– რა დამთავრდა?! – შევუყვირე ვითომ შეშფოთებულმა და უკვე ვიცოდი, რას მიპასუხებდა. მე ვერასოდეს ვახერხებდი, ჩავწვდომოდი მის გაუთავებელ სასიყვარულო თავგადასავლებს.

დაწვრილებით მიამბო ათასნაირი გადახვევებითა და შელამაზებით, სატრფომ რომ მიატოვა. ვაკვირდებოდი მის ნამტირალევ სახეს და ვცდილობდი, ქვეტექსტი ამომეცნო, რადგან უკიდურესობანი სჩვეოდა, კონტრასტული გრძნობების ქალი იყო და ისე სწრაფად ეცვლებოდა გუნება-განწყობილება, ვერ მოასწრებდი, მისი სულიერი მდგომარეობის გაანალიზებას და როგორც კი თანაგრძნობის გამოხატვას დააპირებდი, ისე კი არა, ასე იყოო, მეტყოდა. ამიტომაც ვიჯექი სულ დამდურებულივით და მოთმინებით ვუსმენდი, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მისგან სრულიად განვსხვავდებოდი და ბევრი რამ ჩემთვის გაუგებარი, მიუღებელიც კი იყო.

როცა ის გავიცანი, მესამეზე ვიყავი ფეხმძიმედ. მახსოვს, რა საშინლად გავსივდი, ტრადიციული საორსულო კაბა კიდევ უფრო ხაზს უსვამდა ჩემს სიმსუქნეს და ცოტა პროვინციულობაც დამკრავდა.

ლიფტის კარი გაიღო, ოთხიოდე თვის ახალშობილი აეტატებინა, დედასავით ქერა და მოძრავი. კოჭებამდე ქვედაბოლო ეცვა, ჭყეტელა, ტანზე მუქი ფერის მაისური შემოტმასნოდა, ლამაზ ყელს გემოვნებით შერჩეული ურიცხვი მეწკვი უმშვენებდა. ბედნიერებისაგან ბრწყინავდა და ისე გამომწვევად ეჭირა თავისი ბიჭუნა, თითქოს ყველას დასანახავად სათამაშო გამოეფინოს.

მოგვიანებით შევიტყვე, მუცელი მოშლოდა, ალბათ იმიტომ, რომ ერთ ადგილას გაჩერება არ შეეძლო, ან როგორ გამოტოვებდა შემთხვევას, ახალი საფიქრალი არ მოეგონებინა. საოცარი აღტაცება იცოდა, მოუფერებელი არავინ დარჩებოდა და მეგობრებიც ანებივრებდნენ. ქმარიც მოთმინებით იტანდა მის დაუდგრომელ ხასიათს და ერთადერთი, ვინც გაუთავებლად ლანძღავდა, ბებიამისი იყო, ყველაფერში არანორმალური როგორ არისო – ამბობდა.

იმ პირველი შეხვედრისას მომეჩვენა, რომ მედიდური სიბრალულით გადმომხედა, ალბათ, ჩემი ჩაცმულობისა და ნაჯაფი, მოუვლელი ხელების გამო.

– რა გჭირთ, ყოველ წელიწადს თითო ბავშვი უნდა აჩინოთ?! – გვეტყოდა ხოლმე დაქალებს, – მთლად ნუ ჩამორჩით ცხოვრებასო... და მოჰყვებოდა თავისი მოგზაურობის აღწერას ქვეყნიერების ერთი კიდიდან მეორემდე, არ გვიმალავდა ინტიმურ ამბებსაც და არასოდეს, ვიმეორებ, არასოდეს მსმენია შვილების ავადმყოფობის გამო რაიმე განზრახვაზე უარი ეთქვას.

ორი ვაჟი ჰყავდა. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ისინი რითიმე აწუხებდნენ, პირიქით, გაგაოცებდათ, ისეთ ბავშვად იქცეოდა მათ გარემოცვაში: ატიტინდებოდა, იატაკზე გახოხდებოდა, მოდი, რამე კარგი მოვიფიქროთ, – შეუძახებდა მათ და თამაშით რომ მოქანცავდა, მოხვეტდა მთელი ეზოს ბავშვებს, ხან კინოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პინგ-პონგის ბურთი

მიჰყავდა, ხან ზოოპარკში ან სტადიონზე. ყველასათვის დეიდა იყო და თვითონაც ღვიძლი შვილებივით უყვარდა ჩვენი შვილები.

თავისები ცოტა მძიმე ბიჭები იყვნენ: უფროსი – ჭირვეული, მტირალა, უმცროსი – გულჩათხრობილი, სულ მოღუშული; დღენიადაგ ეკინკლავებოდნენ დედას, რომელსაც იშვიათად ხედავდნენ და ამიტომაც დიდად პატივს არ სცემდნენ. ის კი ცდილობდა ემეგობრა შვილებთან, მათივე ჟარგონით ლაპარაკობდა, ყველაფერში ემორჩილებოდა, ყველაფრის ნებას რთავდა და ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ბიჭები იმ ასაკში იყვნენ, როცა მეტი სიმკაცრე უფრო სჭირდებოდათ. მათთან ყოველგვარი სიახლოვე ჩვეული ფრაზით მთავრდებოდა: „მაცალეთ, საქმე მაქვს", და უკვე სახლიდან იყო გავარდნილი.

უცნაური კია, მაგრამ არ მეგულება მსგავსი გულისხმიერი ადამიანი, საკუთარი შვილებისათვის რომ არ ეცალა. ის იყო პირველი, ვინც წაგყვებოდა ექიმთან, პარიკმახერთან, მკერავთან: ვერავინ დაასწრებდა თანადგომას, იცნობდა ყველას, ვინც კი დაგჭირდებოდა – ადვოკატიდან ოქრომჭედლის ჩათვლით, თავის საქმეს ავნებდა და შენსას გააკეთებდა.

რატომ იქცეოდა ასე?

ნუთუ იმიტომ, რომ უკეთილშობილესი ქალი იყო, ან იქნებ ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო, ეშინოდა გონების თვალით გადაეხედა საკუთარი ცხოვრებისათვის?!

აი ახლაც, დასტირის საკუთარ ბედს, სულაც არ აპირებს ღრმად გაიზიაროს თავისი უბედურების მიზეზი და ერთავად წუწუნებს: „ახლა კი ნამდვილად დამთავრდა ჩემი ცხოვრება". ღმერთო, რამდენჯერ მომისმენია მისგან ეს სიტყვები. მაშინაც ასე გაიძახოდა, როცა დაქვრივდა, ორმოცი წლისაც არ იყო. ის პერიოდი მართლაც მძიმედ გადაიტანა ყოველმა ჩვენთაგანმა, რადგან მისი ქმრის სახით საუკეთესო მეგობარი დავკარგეთ და აღარ ვიცოდით, როგორ გვეთანაგრძნო თუნდაც იმის გამო, რომ მისი ცხოვრების წესი რადიკალურად უნდა შეცვლილიყო. ერთი თვის შემდეგ მთლიანად გადაეშვა ცხოვრების ტალღებში. ყოველ ჯერზე, როცა ახალ მეგობარს გაიჩენდა, იფიცებოდა, ამან გამომიყვანა სასოწარკვეთიდან, სულიერი სიცარიელე შემივსო და ნანგრევებიდან აღმადგინაო. თანაც ისე მტკიცედ სჯეროდა! დაუსრულებლად ადიდებდა ახალ მიჯნურს და დასრულებული ქალისათვის წარმოუდგენელი სიკეკლუცით თავსაც იქებდა.

ეს კაცი სასწაული ვინმეა, ამან მაგრძნობინა, რომ ქალი ვარ და სიყვარულს ვიმსახურებო, – იტყოდა ხოლმე, და აუციმციმდებოდა ლამაზი თვალები.

მაგრამ როდემდე? იქამდე, ვიდრე იმ „არაჩვეულებრივ მამაკაცს" ძალა ეყოფოდა ამ დაუოკებელი ქალის ცხოვრებას აჰყოლოდა: მერე იღლებოდა და ერთ მშვენიერ დღეს აცრემლებულსა და სიკვდილის მონატრულს ტოვებდა.

სიყვარული ხომ მისთვის ყველაფერი იყო. ჯანიერი მამაკაცი მასზე უკეთეს ქალს ვერ ინატრებდა: მხიარული, ქეიფისა და ლხინის წამომწყები, არანაირ პრობლემას რომ არავის შეუქმნიდა. რას არ იზამდა, ოღონდ მარტო არ დარჩენილიყო, რადგან ქვეყანაზე ისე არაფერი სძულდა, როგორც მარტოობა. და ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა: მძიმე ბავშვობა და ახალგაზრდობა გადაეტანა. მამა ნაადრევად დაღუპვოდა, დედა საერთოდ არ ახსოვდა. ჩვენ კი – მისი დაქალები, უბრალო პატარა ადამიანები, ხან თავს ვესხმოდით, ხან მივატოვებდით ბოჰემურ ყოფაში. თუმცა ბევრჯერ გვიცდია, ჩავწვდომოდით მის აბსურდულ საქციელს. ისეც ხდებოდა, ვიწონებდით კიდეც, თუ მისი თაყვანისმცემელი ინტელექტუალი იყო და ჩვენს მეგობარს თან დაატარებდა პრეზენტაციებსა და დაუსრულებელ საღამოებზე. ამით ბედნიერი, მთელი არსებით ეფლობოდა ახალი წიგნებისა და პოლიტიკის გარშემო გამართულ დისკუსიებში.

ამჯერად კი აღარ მქონდა მისი ვიშვიშის მოსმენის სურვილი.

„იცი, რა მითხრა, შენ მე შვილებს დამაშორეო, გჯერა, რომ ამის გამკეთებელი ვარ?!" ან როგორ არ დამეჯერებინა, ის ხომ საკუთარი შვილებისთვისაც არ არსებობდა? მისი უკანასკნელი თაყვანისმცემელი ქვრივი იყო, უკვე მოწიფული შვილები ჰყავდა, არც ფული აკლდა და ჩუმი მეგობარი აჩრდილივით თან დასდევდა ხან სენტ-მორისში და ხან ტაორმინაში.

– მართალი ხარ, ზედმეტი მომივიდა აქეთ-იქით თრევა, მაგრამ თავიდან უჩემოდ ნაბიჯს არ დგამდა, ერთხელაც არ უგრძნობინებია, თუ ვაღიზიანებდი, ბოლოს გამომიცხადა, დამღალა შენი ხასიათის გაუთავებელმა ჭირვეულობამ, მთელი ცხოვრება ვერ გავუძლებ პინგ-პონგის ბურთის ხტუნვასო.

იჯდა და ქვითინებდა, ლანძღავდა საკუთარ თავს, შველას მთხოვდა და ვერ ხვდებოდა, რომ მე არაფერი შემეძლო. მე მხოლოდ სიყვარული ძალმიძდა მისი და ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებით თავად შეპყრობილს, მსურდა მეთანაგრძნო და დამეტუქსა კიდეც, გავჯავრებოდი და იმავდროულად გულშიც ჩამეკრა.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ უცებ ცრემლები შეიმშრალა და წამოხტა:

– მე ვიბრძოლებ, მოვკვდები და დავარწმუნებ, რომ ჩემს იქით გზა არა აქვს, დღესვე წავალ ტორონტოში!

– სად? – წამოვიკივლე.

– ტორონტოში, ერთმა მეგობარმა მიმიწვია ვიღაცის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად. ცოტას გავინავარდებ, იქნებ რაიმე ახალი მოვიფიქრო.

– რა თქვი? – გაოგნებულმა შევხედე და სხვა ველარაფერი მოვიფიქრე, თუმცა თქმას რაღა აზრი ჰქონდა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის საკუთარი არჩევანით იყო შეუპოვარი პინგ-პონგის ბურთი.

იტალიურიდან თარგმნა
**ნუნუ ბელაძე**

■ სულ ახლახან მსახიობმა ხმაურით აღნიშნა თავისი იუბილე. მსოფლიოს თითქმის ყველა ჟურნალმა დაბეჭდა მასალები მის ხანგრძლივ და ბრწყინვალე კარიერაზე. მიმოხილვის სახით გთავაზობთ ალენ დელონის აზრებს ცხოვრებაზე, კინომატოგრაფზე, სიყვარულზე. ყველაფერი ეს ამოკრეფილია ბოლო წლებში და საიუბილეო დღეებში დაბეჭდილი ინტერვიუებიდან.

ახლა ალენ დელონი 60 წლისაა. ორი შვილის — ორი წლის ალენ — ფაბიენის და 5 წლის ანუშკას მამაა.

..

ვერ ვიტან სიტყვას „შეჯამება". ჩემთვის ეს გადადგომის სინონიმია, „გადადგომა" კი სიკვდილის ტოლფასია. ალბათ, ამიტომაც არ ვწერ მემუარებს. მეჩვენება, რომ ცხოვრებამ გიჟური სისწრაფით გაირბინა. მე 30 წლამდე ვცხოვრობდი. 30 წლის მერე კი, თითქოს ერთმა წამმა გაიარა... აი, ერთხელ ამ ფიქრმა გამაღვიძა: „ოჰო, ესესაა 60 წელი შემისრულდა. „შეუძლებელია"! დამიჯერეთ, ჩემთვის ტანჯვაა ამაზე ლაპარაკი, თუმცა, ამ „ღვთიური წამის" გაანალიზებისას მივხვდი, რომ თუკი მამაკაცად და პიროვნებად ჩამოვყალიბდი, ამას უნდა ვუმადლოდე ბავშვობას, ახალგაზრდობას და იმ ოთხ წელიწადს, სამხედრო სამსახურში რომ გავატარე.

ჩემმა ბავშვობამ ბურგლა-რენსა და ფრესნს შორის გაიარა. ძიძა მზრდიდა, რადგან ჩემი მშობლები მუშაობდნენ. ძიძა მაშინაც კი ჩემთან იყო, როდესაც ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. დედა და მამა ერთად არასდროს მინახავს. არ მინახავს, როგორ ულიმოდნენ ისინი ერთმანეთს, არ მინახავს მათი საერთო ფოტოსურათი. დღემდე განვიცდი ამ არყოფნას ჩემს ცხოვრებაში.

ადამიანი იბადება მარტო, მარტო ცხოვრობს და მარტო კვდება. ცხოვრების ყველა უკუღმართობას კოლეჯში, არმიასა და მთელი კარიერის მანძილზე მარტო ვებრძოდი. ჩემთვის სიმარტოვე ლამის ბუნებრივი მდგომარეობა იყო. ვფიქრობ, რომ „სიმარტოვის ბეჭედს" ბედი ბავშვობიდანვე გვამჩნევს კანზე, სვირინგივით, მერე კი მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე ასე დაღდასმულები და დაპროგრამებულები ვცხოვრობთ. მაგრამ მაინც არის რაღაც კეთილშობილური, რაღაც ამაყი და დამოუკიდებელი ამ სიმარტოვეში.

17 წლის ვიყავი, როცა მოხალისედ წავედი არმიაში. წავედი იმ მიზნით, რომ გავქცეოდი მეურვეობას და საკუთარ თავთან დავრჩენილიყავი. მშობლიურ სახლში ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ. არმიამდე პროფესიას წარამარა ვიცვლიდი, რაც შემხვდებოდა, იმას ვაკეთებდი, ოღონდ შინ არ ვყოფილიყავი. სამხედრო სამსახურში ჩავეწერე სამი წლით. იყო 1952 წელი. ყველა ჩემი მეგობარი ინდოჩინეთის ომში მიდიოდა. მეც ჩავეწერე, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მშობლების ხელმოწერაც იყო საჭირო. დედაჩემმა და მამაჩემმა ამ საბუთს ხელი მოაწერეს. სა-



სიკვდილოდ გამიშვეს ომში. დღემდე ვერ მიპატიებია ეს მათთვის. ერთი თვე მივცურავდი „კლოდ-ბერნარით" საიგონამდე. იქ დაცვაში ვმუშაობდი. 1956 წლის I მაისს დავბრუნდი არმიიდან, მაგრამ არ ვიცოდი ნორმალურ სამოქალაქო ცხოვრებაში რა უნდა მეკეთებინა, თავი როგორ დამეჭირა, როგორ მოვქცეულიყავი.

გასაჭირს არასდროს დავნებებივარ. ჩემი გატეხა ვერაფერმა მოახერხა. სულის სიღრმეში იმპრესიონისტად დავრჩი ან, უფრო ზუსტად, ექსპრესიონისტად. ჩემი ფერი ცისფერია, ნარინჯისფერი, მწვანე და წითელი.

თავს უხერხულად ვგრძნობ, როცა ჩემს ბუნებრივ სილამაზეზე ლაპარაკობენ, ასეთი გამაჩინა დედამ. ეს თვისებები ცხოვრებაში დამეხმარა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ მათი არსებობა ან არ არსებობა განსაზღვრავს ადამიანის ბედს. ლამაზსა და ულამაზოს ცხოვრების სხვადასხვა გზა ელის. პირველით აღფრთოვანებულნი არიან, ეპირფერებიან, ცდილობენ ასიამოვნონ, ულამაზომ ასეთ დამოკიდებულებას დიდი შრომით უნდა მიაღწიოს.

ფულისა და დიდებისგან თავბრუ არასდროს დამხვევია. ერთადერთი, რისგანაც მართლა შეიძლება თავბრუ დამეხვეს, მხოლოდ იმის შეგრძნებაა, რომ ყოველივე ეს უაზრობაა. ამ უსიხარულო ფიქრებს მე „ჭკუის კიბოს" ვეძახი. როდესაც ამდენი რა-

მე ახლახან შემისრულდა 30 წელი და ბედნიერი ვარ

ალენ დელონი

მის მფლობელი ხარ, ცხადი ხდება ფასეულობათა მოჩვენებითობა და პატივს აღარ სცემ მათ. თუ ვინმე ღირსია ამგვარი ყოფისა, მხოლოდ ის ადამიანები, თავად რომ სჩადიან სიკეთეს, რომლებიც სხვებს კურნავენ და უანგაროდ ეხმარებიან, მაგალითად, დედა ტერეზა.

ბავშვობაში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მსახიობი გავხდებოდი. სიტყვამ მოიტანა და პროფესიით მეძებვე ვარ. საერთოდაც, სხვებისაგან არაფრით გამოვირჩეოდი. აი, მაგალითად, დალაი-ლამას იმთავითვე ჰქონდა მითითებული — „შენ ცოცხალი ღმერთი ხარ". კინო თვითონ მოვიდა ჩემთან. ერთხელ ქუჩაში გამაჩერეს და მკითხეს, ფილმში გადაღება გინდა თუ არაო. აი, ასე უბრალოდ მოხდა ყველაფერი, არავითარი საოცრება არ ყოფილა. საოცრება ის იყო, როდესაც კამერის წინ აღმოვჩნდი. სწორედ ის მოხდა, რაც მანამდე მაკლდა. ასე გადავწყვიტე გავმხდარიყავი მსახიობი. ჯერ კიდევ ჩინეთში ავირჩიე ცხოვრებისეული პრინციპი. რაც უნდა მეკეთებინა, პირველი ვყოფილიყავი. ვიყო გაზეთების გამყიდველი, — კი, ბატონო, ოღონდ — ყველაზე უკეთესი; ვიყო ფეხსაცმლის მწმენდავი — ოღონდ საუკეთესო საუკეთესოთა შორის.

მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც ფიქრობს, რომ ბედნიერება შეიძლება მარადიული იყოს. ბედნიერება ჩემთვის ხანმოკლე წუთებია, მოუხელთებელი და აუხსნელი. ამის წინასწარ დაპროგრამება შეუძლებელია. ამ წუთში მე ბედნიერი ვარ, ვიცი ისიც, რომ ბედნიერი ვიქნები ამ საღამოს და ხვალ დილითაც. ამჟამად ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემი შვილებია. არაფერი არ მანიჭებს ისეთ სიამოვნებას, როგორც მათი ცქერა, მათთვის თვალყურის დევნება, მათთან ერთად სეირნობა.

მზად ვარ დაუსრულებლად ვუპასუხო მათ კითხვებს, ვეფერო, ვკოცნო და ვეალერსო.

...ივ მონტანის სიკვდილის მერე რაღაც დამემართა. ვგრძნობ, რომ ჩვენ ერთი სისხლისანი ვიყავით. ის მოულოდნელად გარდაიცვალა და ამის შემდეგ მეც დავიწყე სიკვდილზე ფიქრი. ჩვენ, მსახიობებს, ძალიან რთული პროფესია გვაქვს. პროფესია, სადაც კაცები ადრე კვდებიან და ქალები, როგორც რომი შნაიდერი, თავს იკლავენ. ლინო ვენტურა 65 წლისა გარდაიცვალა. მონტანი — 70 წლის, როგორც გაბენი. ივს უამრავი გეგმა ჰქონდა. ამთავრებდა ფილმს, ემზადებოდა თეატრში სპექტაკლისათვის. ის ფეხზე მდგარი, ზეზეურად მოკვდა. ასეთ სიკვდილზე მხოლოდ ოცნება შეიძლება. ასეთი სიკვდილისა მაყურებელს არ სჯერა. როცა ყველას ასე უყვარხარ, როცა ასე არიან აღფრთოვანებულნი შენით, ასე გეფერებიან თვალებით — სიკვდილი თითქოს შეუძლებელია. რატომ იყო ხალხი შოკირებული მონტანის, ვენტურას და გაბენის სიკვდილით? ალბათ იმიტომ, რომ მაყურებლის თვალში ისინი უკვდავნი იყვნენ. მე ამას ბედის უდიდეს უსამართლობად ვთვლიდი. თუმცა, ალბათ არსებობს რაღაც ზღვარი, რის შემდეგ უნდა მიხვდე და დროულად დატოვო კვარცხლბეკი. ხშირად ვიხსენებ შარლ აზნავურის სიმღერის სიტყვებს: „უნდა იცოდე სუფრიდან დროულად წასვლა". რას იზამ, ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. მომეცით ნიშანი, მაყურებლებო. მე განვიცადე არაჩვეულებრივი წამები, არაჩვეულებრივ პიროვნებებთან. ასეთი რამ არ მეორდება. და, თუ მკითხავენ, ცხოვრების რომელ პერიოდში ისურვებდი დაბრუნებასო, უსათუოდ ვუპასუხებდი: ინდოჩინეთში, როცა 18 წლის ვიყავი.

კინოში მხოლოდ ერთი ოცნება მხიბლავს — ოდესმე ვითამაშო მარლონ ბრანდოს გვერდით.

ჩემი ეპიტაფია — ალფრედ დე მიუსეს სიტყვებია: „მე ბევრი ვიტანჯე, ზოგჯერ ვცდებოდი, მაგრამ მიყვარდა და ყველა განსაცდელი თვითონ გავიარე". ვფიქრობ, საკუთარ ეპიტაფიას ხშირად უნდა წაკითხვა. ცხოვრებას აადვილებს — მე ვცხოვრობდი, ვკვდებოდი სიყვარულისაგან, მაგრამ ეგოისტი არასდროს ვყოფილვარ. ბევრი ვიტანჯე, მიყვარდა ღრმად, ნამდვილი სიყვარულით და არასდროს მრცხვენოდა ჩემი გრძნობის აშკარად გამოხატვისა. ეს ყოველივე ჩემია, მე გამოვცადე ყველაფერი, ჩემი სისხლით, ჩემი ტკივილით.

... ჩემს თავს მეყსეულ სიკვდილს ვუსურვებდი, სიკვდილს ლომისას და არა ცხვრისას.

... 60 წელი შემისრულდა. უკან დარჩა 38 წლის კარიერა. რა შემიძლია ვთქვა დღეს? — „მე სულ ახლახან შემისრულდა 30 წელი, და ბედნიერი ვარ".

მოამზადა
**ეკა ჩილაჩავამ**

# კროსვორდი



**თარაზულად:** 8. მსახიობ ზაზა კოლელიშვილის მიერ განსახიერებული პერსონაჟის სახელი ფილმში „ნატვრის ხე“. 9. რაიმე გზის, დისტანციის ცალკეული მონაკვეთი, უბანი. 10. თითბრის ჩასაბერი საკრავი, რომელიც შედის სასულე ორკესტრის შემადგენლობაში. 11. იტალიელი კინორეჟისორი. 12. ამა თუ იმ პროფესიის, ხელობის ადამიანთა გაერთიანება რაიმე სამეურნეო საქმიანობისათვის, ამხანაგობა. 13. კოლექტიური შუამდგომლობა. 18. თბილისში მოღვაწე ჩეხი მომღერალი და ლოტბარი. 19. ამერიკელი ზანგების სიმებიანი საკრავი. 21. ამერიკის კინოაკადემიის პრემია. 22. ხელოვნების თვითმოქმედი ძალების დიდი გამოსვლები, მათი სახალხო დათვალიერება. 23. ფრანგი კომპოზიტორი, „ინტერნაციონალის“ მუსიკის ავტორი. 25. ამა თუ იმ დამწერლობაში გამოყენებული ასოების ერთობლიობა, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით არის დალაგებული. 26. ერთგვარი თეთრი თიხა, რომლისგანაც ჭურჭელს აკეთებენ. 27. ერთგვარი ცეკვა. 29. განსაკუთრებული ნიჭი. 35. მექანიკური სამუსიკო საკრავი. 36. პირისახის მომრგვალებული ბოლო. 37. მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ პირთან დაკავშირებულ მოქმედებას ან მდგომარეობას. 38. ვაშლის ღვინო. 39. სახელმწიფო სამხ. ამერიკაში.

**შვეულად.** 1. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი. 2. მუნიციპალიტეტი. 3. XIX საუკ. ფრანგი მწერალი. 4. ორკუზიანი აქლემი. 5. ყაჩაღი მეფის დროს (გურიაში). 6. ირანელი გოლიათი ქვემძიმე წონაში. 7. სინათლის სიკაშკაშის საერთაშორისო ერთეული. 14. ერთგვარი ხელოვნური ბოჭკო. 15. უდიდესი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 16. დროის ძალიან მცირე მონაკვეთი. 17. ვულკანური მასივი მდ. არაქსის შუაწელში, თურქეთში. 19. სპორტული იარაღი — მრგვალი ბრტყელი ლითონი მანძილზე სასროლად. 20. სასტუმრო. 24. ძველებური ესპანური ცეკვა. 28. კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო პიესა. 30. გრამატიკული მნიშვნელობის მქონე სიტყვის ნაწილი. 31. სოფელი ბოლნისის რაიონში. 32. 1972 წ. თეთრი ოლიმპიადის ჩატარების ადგილი იაპონიაში. 33. საგრილებელი. 34. იტალიელი მომღერალი.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**

## „დროშა“ №11—12-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 2. პასპორტი. 7. „დროება“. 9. სტენდი. 11. ლისტი. 12. იონჯა. 13. მონეტა. 14. გალიფე. 15. არაბიკა. 16. არშია. 19. ფეტრი. 20. რასტაბაზარი. 21. პრიზი. 23. რბოლა. 25. სირია. 27. ოლიმპიადა. 28. პილიგრიმი. 29. ინტერიერი. 31. სემინარია. 33. აბატი. 36. ისარი. 37. იმიჯი. 38. პლუტოკრატია. 39. დიქტი. 40. კაფკა. 43. ადაბაში. 46. ალონჟი. 47. „ლონდრე“. 48. სკენე. 49. ოპალი. 50. ემისია. 51. ავერსი. 52. აბილილი.

**შვეულად:** 1. როინაშვილი. 2. პასკა. 3. სეიდაბადი. 4. ორიგინალი. 5. იუნგა. 6. ინდიქტიონი. 7. დამღა. 8. ალაო. 9. საგა. 10. ირემი. 17. კარგარეთელი. 18. პროკლამაცია. 21. პროფილი. 22. იმპორტი. 23. რეგენტი. 24. ათინათი. 25. სალია. 26. აპისი. 30. ტრაექტორია. 32. რაისფედერი. 34. ბროკატელი. 35. „ტარტაროზი“. 39. დრაჟე. 41. აბედი. 42. ქისა. 43. ადესა. 44. ილაჯი. 45. ალია.

გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია რუსუდან ჩიკვილაძის პორტრეტი. რუსუდანი სწავლობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის არაბული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. გარდა იმისა, რომ იგი წარჩინებული სტუდენტია, როგორც ხედავთ გამოირჩევა ლამაზი გარეგნობით.

ამას წინათ „ქალთა გაზეთმა“ გადაწყვიტა გამოევლინებინა წლის საუკეთესო ფოტომოდელი გოგონათა შორის. ეს გოგონები შეირჩა, მათ შორის რუსუდანიც აღმოჩნდა. ბოლო ტურში დარჩა ხუთი ფოტომოდელი, საიდანაც გაზეთის მკითხველთა შეფასებით პირველ ადგილზე გავიდა რუსუდან ჩიკვილაძე.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების
გამომცემლობა „სამშობლოს“
სტამბა
მ. კოსტავას ქ. № 14




# იუმორი

– რატომ მძღოლიანად?
– ველარ გამოგვყავს, ძმაო!





– შენს ხეს ფოთლების მაგივრად დოლარები
რომ ესხას, ნახევარს ხომ მომცემდი?
– რაღა ჩემსას მიადექი, მანდ არ გიდგას ხე!..

მხატვარი **გიორგი ჩაჩანიძე**

